PRIME Time

N10 (311) ორშაბათი, 16 მარტი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

ექსკლუზიური ინტერვიუ თბილისის მერთან



საკადრო ცვლილებებზე, კორუფციის საქმეზე, ნაციონალების საბოტაჟზე, ალასანიას პარტიაზე, საკუთარ გუნდსა და ბიძინა ივანიშვილზე:

- **თბილისის მერი დღეს სანდრა რულოვსის მშობლების გამონაცვალი მანქანით დადის. ასე რომ, მანქანა და მანქანები ნამდვილად არ შეგვიძენია**
- **ბოდოკიას საკითხს მე უფრო თაღლითობას დავარქმევდი, ვიდრე კორუფციას**
- **გიგი უგულავა რამდენჯერ აწსოვთ თბილისის საკრებულოში ანგარიშით? მით უფრო, ოპოზიციის მიწვევით, მე რომ მიწვევენ ახლა?..**

აუხდენელი ოცნებები

EXCLUSIVE

ვაზაგაშვილის აფეთქების ადგილას აღმოჩენილი მეორე დეენემი ქალს ეკუთვნის

SCANDAL

რას უმხელს ვაზაგაშვილის მეუღლე „პრაიმტაიმს“

მერიის სკანდალური გადაწყვეტილება

ბრაილის შრიფტით გამომავალ ერთადერთ გაზეთს მერიამ დაფინანსება შეუწყვიტა

თამარ ფხაკაძე: „ამისთვის პირადად მე, თაკო ფხაკაძე, უსინათლოთა კავშირს ვუხდი ბოდიშს და ვპირდები, რომ ამ ნომრიდანვე ჩვენი საკუთარი გაზეთის სახსრებით აღდგება ბრაილის შრიფტით გაზეთის ბეჭდვა“

„ამ გაზეთის არსებობით ჩვენ ჩვეულებრივ, ჯანმრთელ ადამიანებთან ვთანაბრდებოდით“

„მხედველს თუ აქვს უფლება, არჩევანი გააკეთოს და წაიკითხოს ის, რაც მას სურს, მე ინფორმაციის ერთადერთ წყაროს რატომ მისპობ?“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პროკურატურაში დაიბარებენ?

კორუფციული პირამიდა და დაკითხული მაღალჩინოსნები

დავით ერისთავი: „სახალხო ბანკი“ შეიძინეს 2008 წელს დევნილთა საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოყოფილი თანხებით“

EXCLUSIVE

სკანდალური ინფორმაცია

თეა წულუკიანის უნყების მაღალჩინოსანს სერიოზულ ბრალდებას უყენებენ

„გამოიძიონ, რა ხდებოდა რეალურად ადეიშვილის სამსახურში და ვინ არის გენინსპექციის დღევანდელი ხელმძღვანელი, რომელიც თეა წულუკიანმა თანამდებობაზე დატოვა“

დაზარალებულები ლევან ვასაძისგან ქონების დაბრუნებას ითხოვენ

როგორ აღმოჩნდა ლევან ვასაძის ხელში ადეიშვილის მიერ სიღნაღელებისთვის ჩამორთმეული ქონება?

„მივმართავ ლევან ვასაძეს, თუ სინდისი აქვს, დაგვიბრუნოს ჩვენი საკუთრება“

საქართველოში სამოქალაქო ომი იწყება

„მაისში ძალიან სერიოზული მოვლენები დაიწყება... ველოდები დიდ შეხლა-შემოხლას, სამოქალაქო დაპირისპირებას...“

ვინ ვის რა მიზნით უდგამს კამერებს?

რატომ უხდის ქართველი გადამხდელი ხელფასს ადამიანს, ვინც გაგრამიანის გატალიონში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ?

EXCLUSIVE

ირაკლი სესიაშვილი:

„არ ვთვლით, რომ ეს საკითხი საჭიროებს შიდა გარჩევის მოწყობას და ხელოვნურად დაძაბულობის შექმნას“

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის გამოყოფილი თანხებიდან მითვისებული ათასები

EXCLUSIVE

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

სკანდალი რკინიგზაში

„საქართველოს რკინიგზამ“ რუსული კომპანიის სასარგებლოდ 100-მილიონიანი ჩინური ინვესტიცია დაბლოკა EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბრაილით კითხვა ჩვ
ტოლფასია, ნერვულ

ხათუნა მგალობლიშვილი

დედაქალაქის მერიამ უსინათლოთა კავშირს მათთვის მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა. უკვე ექვსი წელია, გაზეთ „პრაიმტაიმის“ თითოეული ნომერი უსინათლოთა კავშირისთვის ბრაილის შრიფტით იბეჭდება. ეს ერთადერთი და პირველი გაზეთია საქართველოში, რომელსაც უსინათლოები ყოველკვირეულად ეცნობიან, იღებენ ინფორმაციას და შემდეგ ამაზე მეორე კვირის ორშაბათამდე მსჯელობენ.

თამილა აბაშია: „თქვენს გაზეთს დიდი წვლილი მიუძღვის სამსახურში ჩემს აღდგენაში“

მერიის გადაწყვეტილებით, უსინათლოებისთვის ინფორმაციის მიწოდება დღეიდან პროექტის დაუფინანსებლობის გამო გაჩერდა. მერიის მხრიდან გადაწყვეტილებას სარეზერვო ფონდის მკაცრი გაკონტროლებით ხსნიან, ეს არგუმენტი თავად უსინათლოთა კავშირისთვის სრულიად მიუღებელია.

„პრაიმტაიმის“ დამფუძნებლის თაკო ფხაკაძის გადაწყვეტილებით, გაზეთის ბრაილის ვერსია ერთწლიანი წყვეტის შემდეგ თავად გაზეთის სახსრებით აღდგება.

თამარ ფხაკაძე, „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი:

– როდესაც 2009 წელს გაზეთ „პრაიმტაიმის“ შექმნის იდეა მომივიდა, მაშინ გადავწყვიტე, რომ გამეკეთებინა რამე საინტერესო სოციალური პროექტი. როდესაც „პრაიმტაიმი“ ბრაილის შრიფტით იბეჭდებოდა, პოლონელები გვყავდნენ სტუმრად, რომლებიც სწორედ უსინათლოთა საზოგადოებიდან იყვნენ და მათ აღნიშნეს, რომ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველკვირეული გაზეთი ნოვაცია იყო, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული გახლდათ. ჩვენ არა მარტო გაზეთს ვუშვებდით ბრაილის შრიფტით, არამედ გამოფენაც გავაკეთეთ უსინათლოების დასახმარებლად, სადაც ხმოვანი სინთეზატორის გამოყენების პრაქტიკა გვინდოდა დაგვეხერგა. მაშინ კონკრეტული თანხაც კი შევაგროვეთ ამისთვის, თუმცა სახელმწიფო ვერაფრით ვაიძულეთ, თანხის საჭირო რაოდენობა გამოეყო, რომ ხმოვანი სინთეზატორის პირობებში საზოგადოებაში უსინათლოების სრული ინტეგრირება მომხდარიყო.

– ხმოვანი სინთეზატორი მათ რაში დაეხმარებოდა?

– ხმოვანი სინთეზატორის მეშვეობით ისინი შეძლებენ იმუშაონ ნებისმიერ თანამდებობაზე, ნებისმიერი პროფესიით. თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობისთვის სხვა, ბევრად მნიშვნელოვანი პრიორიტეტები არსებობს, ვიდრე, როგორც თავად ამბობენ, უსინათლოთა საზოგადოებაა. დღეს ბევრი იდეა ჩნდება, როგორ უნდა მოხდეს უნარშეზღუდული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება, სწორედ ამიტომ ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა, როდესაც მერიამ პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ერთი წლის წინათ დასრულდა ჩვენი პროექტის დაფინანსება მერიიდან. ჩვენ ხელახლა შევიტანეთ პროექტის დაფინანსებაზე განაცხადი.

– რა თანხაზეა საუბარი, ანუ რამდენია საჭირო ბრაილის შრიფტით გაზეთის დასაბეჭდად?

– მერია უსინათლოებს ურიცხავს კონკრეტულ თანხას, უსინათლოთა კავშირს აქვს ბრაილის შრიფტის სტამბა, თავად სტამბაში დასაქმებულები არიან უსინათლოები. როდესაც ჩვენი პროექტი დაიწყო, მაშინ სტამბაში ბატონი სიმონი მუშაობდა. მოგვიანებით ბატონი სიმონი ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემების გამო მისმა ქალიშვილმა ჩაანაცვლა. მერიამ განაცხადა, რომ სარეზერვო ფონდიდან ფულის გაცემა ძალიან მკაცრად კონტროლდება და ამ ეტაპზე მერიას არ გააჩნია თანხა აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად. მერიის პასუხს ერთი წლის განმავლობაში ველოდებოდით და სწორედ ამიტომ უსინათლოთა კავშირისთვის ერთი წლის განმავლობაში ჩვენი გაზეთი არ იბეჭდებოდა. ძალიან ვნანობ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მინდობილი ვიყავი მერიაზე და მათ პასუხს ველოდებოდი. ისინი მუდმივად გვეუბნებოდნენ, უახლოეს დღეებში გადაწყდება აღნიშნული საკითხი, როგორც კი ახალი ბიუჯეტი შედგება მაშინვე გიპასუხებთო. სწორედ ამიტომ გვქონდა ერთი წელი ჩავარდნა. ამისთვის პირადად მე, თაკო ფხაკაძე, უსინათლოთა კავშირს ვუხდი ბოდიშს და ვპირდები, რომ ამ ნომრიდანვე ჩვენი საკუთარი გაზეთის სახსრებით აღდგება ბრაილის შრიფტით გაზეთის ბეჭდვა. ძალიან სამწუხაროა, როცა დედაქალაქის მერია აცხადებს, რომ მათ უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები აქვთ, ვიდრე უსინათლოთა კავშირია. მაშინ როდესაც საკმაოდ სოლიდურ პრემიებს გასცემენ და ეს პრობლემად არ ითვლება, არ მიაჩნიათ, რომ 40 და 80 ათასი ლარის ოდენობით ქრთამის აღება პრობლემა არ არის, სამაგიეროდ პრობლემა აღმოჩნდა გარკვეული თანხის გამოყოფა უსინათლოთა კავშირისთვის. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან უსამართლო გადაწყვეტილებაა. ჩემი აზრით, მერია არ არის მართალი, ისინი არ არიან ორიენტირებულები თანამედროვე ცხოვრებაზე, არ არიან ორიენტირებულები სოციალურ პროექტებზე, არ არიან ორიენტირებულები იმაზე, რომ დღეს უნარშეზღუდული ადამიანების ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში. ზოგადად, ყველა ქვეყნის დონე დღეს იმით განისაზღვრება, რამდენად არიან საზოგადოებაში ინტეგრირებული უნარშეზღუდული ადამიანები. დღეს არსად, არც ერთ ქვეყანაში აღარ ითვლება პრობლემად ის, რომ ადამიანი ვერ ხედავს, იმდენად კომფორტულად არის მოწყობილი ყველაფერი მათთვის, რომ პრობლემას არ წარმოადგენს არც ქუჩაში დამოუკიდებლად სიარული, რადგან შუქნიშნებზე დაბეჭდილია ბრაილის მინიშნებები, რომ უსინათლომ უპრობლემოდ შეძლოს გზაზე გადასვლა, სკოლებში მოაჯირებზე ბრაილის შრიფტით დაბეჭდილია მიმართულების აღმნიშვნელი ინფორმაცია. ჩვენთან კი აღმოჩნდა, რომ მერია ვერ გამოყოფს რამდენიმე ათას ლარს იმისთვის, რომ მთელი საქართველოს უსინათლოებს დაუბეჭდოს ყოველკვირეული გაზეთი. ეს მათი არჩევანია, პირადად მე კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს უსინათლოთა კავშირს იმისთვის, რომ მერიის პასუხის მოლოდინში ერთი წელი დავაკარგვინე მათ. ვიცი, რომ უსინათლოთა კავშირში მათ ჰყავთ ფავორიტი ჟურნალისტები „პრაიმტაიმში“ და ვპირდები, რომ მათ მასალებს არ მოვაკლებ. უკვე ეს ნომერი „პრაიმტაიმის“ ხარჯებით დაიბეჭდება ბრაილის შრიფტით.

– უსინათლოებს სურვილია, „პრაიმტაიმს“ სხვა გაზეთებმაც მიჰბაძონ...

– სხვათა შორის, როდესაც მე „ოქროს ფრთა“ მივიღე ჯილდოდ, სწორედ ბრაილის შრიფტით გაზეთის დაბეჭდვის იდეისთვის, მაშინ სხვა გაზეთებს შევთავაზე რომ მოეწოდებინათ სტატია, მასალა, რომელიც სურდათ, რომ უსინათლოთა კავშირისთვის, მათი წევრებისთვის დაბეჭდილიყო.

როგორც თავად უსინათლოთა კავშირში აცხადებენ, „პრაიმტაიმი“ ნოვატორი აღმოჩნდა სოციალურ პროექტებში, რადგან აქამდე არც ერთ გამოცემას მსგავსი იდეა არ გასჩენია, გარდა იმისა, რომ მიმდინარე სიახლეები ამ ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი სწორედ 2009 წლიდან გახდა. ბრაილის სტამბას თავად უსინათლოთა კავშირი ფლობს, შესაბამისად, „პრაიმტაიმის“ ბრაილის ვერსიის შექმნაზეც თავადვე ზრუნავდნენ. დღეს ეს ადამიანები, ინფორმაციული ვაკუუმის გარდა, უმუშევართა რიცხვსაც შეუერთდნენ.

ხათუნა გოგიძე:

– მსოფლიოში მიღებული ფორმა არის ბრაილი. როდესაც ინვალიდი, სმენადაქვეითებული, ყრუ-მუნჯი კითხულობს და ხედავს, ეს მისთვის უკვე დიდი ბედნიერებაა. ბრაილი კი საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია. ჩვეულებრივ მხედველ ადამიანს გაზეთების, წიგნების, ჟურნალების ფართო არჩევანი აქვს, ჩვენ კი ეს ერთადერთი გაზეთი მოგვეწოდებოდა, რომელიც ჩვენთვის ძალიან სასურველი იყო. წარმოიდგინეთ, მხედველს თუ აქვს უფლება, არჩევანი გააკეთოს და ნაიკითხოს ის, რაც მას სურს, მე ინფორმაციის ერთადერთ წყაროს რატომ მისპობ? ამ გაზეთის არსებობით ჩვენ ჩვეულებრივ, ჯანმრთელ ადამიანებთან ვთანაბრდებოდით. ბავშვები არიან, რომლებსაც ისე უყვართ და ისე აკლიათ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, რომ ოღონდ რამე იყოს წასაკითხი და ყველაფერს კითხულობენ. მაგალითად, სანამ „პრაიმტაიმის“ პროექტი დაიწყებოდა, ერთი მოსწავლე გვყავდა, რომელიც კომუნისტური პერიოდის სხდომების ჩანაწერებს კითხულობდა, იმდენად უნდოდა კითხვა. ასეთი ბავშვებისთვის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ნებისმიერი თანამედროვე გაზეთი ბედნიერებაა. სხვათა შორის, როდესაც გითხარით, „პრაიმტაიმის“ ნომრებს რაიონებში ვაგზავნიდით-მეთქი... მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში უსინათლოებისთვის ნებისმიერი გზავნილი უფასოა. ჩვენთანაც უფასო რომ ყოფილიყო, „პრაიმტაიმის“ ახალ ნომერს მეორე დღესვე გავაგზავნიდით რაიონებში.

– ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ბეჭდავდნენ „პრაიმტაიმს“, პროექტის შეწყვეტის შემდეგ უმუშევრები დარჩნენ?

თამილა აბაშია: „მთავრობა ქამრების შემოჭერაში ჩვენს ვაკუუმში მოქცევას თუ გულისხმობს, ეს ქამარი კი არა, ყულფი უფროა ჩვენთვის განკუთვნილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ენთვის მკურნალობის სისტემას ამშვიდებს“

თამარ ფხაკაძე: „ამისთვის პირადად მე, თაკო ფხაკაძე, უსინათლოთა კავშირს ვუხდი ბოდიშს და ვპირდები, რომ ამ ნომრიდანვე ჩვენი საკუთარი გაზეთის სახსრებით აღდგება ბრაილის შრიფტით გაზეთის ბეჭდვა“

– კი, ისინი უკვე უმუშევრები არიან. ძალიან მნიშვნელოვანია როდესაც უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი მუშაობს და ოჯახში ხელფასი შეაქვს, ამ დროს ის წელგამართულია. უსინათლო ადამიანები დასაქმდნენ საჯარო უწყებებში, გვყავს უსინათლოები შემოსავლების სამსახურში, ფინანსთა სამინისტროში... გვყავს უსინათლო, რომელიც საიტებს ახმოვანებს.

„პრაიმტაიმის“ ბრაილის ვერსია საქართველოს რეგიონებშიც იგზავნებოდა. იქ ძველ ნომრებსაც კი ზუსტად ისეთივე სიხარულით ელოდებოდნენ, როგორც ახალს, რადგან მათთვის ეს ერთადერთი წყარო იყო ინფორმაციის მიღებისა.

ამირან ლოლაძე, უსინათლო:

– ჩვენ „პრაიმტაიმს“ საინგილოშიც კი ვაგზავნიდით. სკოლაში გვყავდა ბავშვი საინგილოდან, რომელიც იხვენებოდა, „პრაიმტაიმი“ გამოგვიგზავნეთო. ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც გეტყვით, სულერთია, გაზეთს დაგვიბეჭდავენ თუ არაო. ეს თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი იყო. „პრაიმტაიმი“ თემატურად ძალიან მდიდარია, მრავალფეროვანი, ყველანაირი მკითხველისთვის საინტერესოა. გარდა ამისა, როდესაც მოსაუბრეს კონკრეტულ თემაზე საუბრისას მაგალითს მოვუყვანდი და ვეტყოდი, ეს „პრაიმტაიმში“ წავიკითხე-მეთქი, საზოგადოების თვალში ეს რაღაცნაირად გვამაღლებდა. სასურველია, „პრაიმტაიმის“ დაბეჭდვა კი არ შეგვიწყვიტონ, არამედ სხვებმაც მიჰბაძონ „პრაიმტაიმს“. ვფიქრობ, ჩვენ ჩვენს პოზიციას აქციის ფორმა უნდა მივცეთ. რაიონებში „პრაიმტაიმის“ თითოეულ ნომერს ელოდებოდნენ, თუნდაც ერთი თვის დაგვიანებით რომ ჩასულიყო ძველი ნომერი, მაინც ბედნიერები იყვნენ, ოღონდ წასაკითხი ჰქონოდათ.

როგორც თავად უსინათლოები აცხადებენ, ხელის შეხებით კითხვა მათთვის მკურნალობის ტოლფასია, რადგან ნერვულ სისტემას ამშვიდებს... გაზეთს კი ასეთ დროს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს, რადგან მათი უმრავლესობა ტელევიზორისა და რადიოს მოყვარული ნაკლებად არის.



ნინო ასათიანი, „პრაიმტაიმის“ უსინათლო მკითხველი:

– უპრეცედენტო შემთხვევა იყო „პრაიმტაიმის“ ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა. თავად ფაქტი იყო საინტერესო და მისასალმებელი. პირადად მე ძალიან აქტიურად ვკითხულობდი და მინდა გითხრათ, რომ უამრავი მკითხველი ჰყავდა. ეს ნამდვილად სიახლე იყო ჩვენთვის, ქვეყანაში მიმდინარე სიახლეებს საკუთარი ხელით ვეცნობოდით. როდესაც თავად კითხულობ ახალ ამბავს, ეს სულ სხვაა. თითოეული სტატია მსჯელობის საგანი ხდებოდა, სხვადასხვა განსახილველი საკითხები რომ წამოიჭრებოდა, ამას მრავალფეროვნება შემოჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. ერთმანეთში განვიხილავდით, რას ვეთანხმდებოდით, რას არ ვეთანხმდებოდით. ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გაგრძელდეს აღნიშნული პროექტის დაფინანსება.

– ამ ეტაპზე ინფორმაციის მიღების საშუალებად რა რჩება თქვენთვის?

– სიმართლე გითხრათ, პირადად მე არც ტელევიზორის მოყვარული ვარ და არც რადიოს ვუსმენ. შესაბამისად, ჩემთვის გაზეთი მნიშვნელოვანი იყო.

„პრაიმტაიმის“ პროექტები გაზეთის ბრაილის ვერსიით არ შემოიფარგლებოდა. უსინათლოების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პროექტი წიგნი „გმირია“, რომელსაც მათ შემოქმედებითი საღამო მიუძღვნეს და თითოეული ისტორია სათითაო ნომრიდან საკუთარი ინიციატივით ამობეჭდეს, შეაგროვეს და წიგნად გამოცემის პროცესში თავადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები.

თამილა აბაშია, უსინათლო:

– „პრაიმტაიმი“ ნოვატორი იყო, რადგან მანამდე ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით, ბრაილის გაზეთი მნიშვნელოვანი იყო ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც სახლში ზის, 150 ლარი პენსია აქვს, არ მუშაობს და უამრავი თავისუფალი დრო აქვს. ეს ადამიანები სხედან და ამ გაზეთს ელოდებიან კვირიდან კვირამდე. მართლა ძალიან განიცდიან პროექტის შეწყვეტას. უმნიშვნელოვანესი იყო პროექტი „გმირი“. გმირების ისტორიებს ყოველი ნომრიდან ვკრეფდი და საბოლოოდ ერთ წიგნად შევკარი, შემდეგ გავაკეთე კომპოზიცია, გავაკეთე ინსცენირება, მოვაწყვეთ ულამაზესი თეატრალური საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღო ყველა ასაკის ადამიანმა 12 წლიდან 60 წლამდე, კითხულობდნენ ისტორიებს. სწორედ მაშინ გაჩნდა „გმირის“ წიგნად დაბეჭდვის იდეა. დღეს, როდესაც ბევრს ლაპარაკობენ თანასწორობაზე, უფლებების, შესაძლებლობების გათანაბრებაზე, რაღაც პროექტებს იგონებენ და თავად ირჩევენ, რომელი პროექტი დადგან, თანაც ისე, რომ არავინ არაფერს ეკითხება ბენეფიციარებს, რომელი პროექტია სასურველი თუ სასარგებლო მათთვის, მიმაჩნია, რომ ეს უფრო ავტორების იმიჯის შესაქმნელად კეთდება. მაგალითად, მე სულაც არ მჭირდება ნელინადში ერთი დღე „თეთრი ჯოხის“ დღის აღნიშვნა, ან თუნდაც „შავი სათვალის დღე“, როდესაც კონკრეტული ჩინოვნიკები გამოდიან ჯოხებით, შავი სათვალეებით... რა მოაქვს ასეთ ერთდღიან პროექტებს შედეგად? არაფერი. იმ დღით იწყება და იმ დღით სრულდება ჩვენზე ზრუნვა. ამის იქით ვერ მივდივართ. ამ ყველაფერს მარტო შოუს სახე არ უნდა ჰქონდეს.

– „პრაიმტაიმის“ ბრაილის შრიფტით დაბეჭდვის შეწყვეტის შემთხვევაში პირადად თქვენ რა მოგაკლდებათ?

– როდესაც გაზეთს ვკითხულობდით, ბუნებრივია, მასში დაბეჭდილ ბევრ მასალაზე ვკამათობდით, განვიხილავდით, ბევრს ვეთანხმებოდით, ბევრს არ ვეთანხმებოდით, შედეგად ჩვენ ინფორმაციას ვიღებდით, ანალიზს ვაკეთებდით და ვიგებდით, ხალხი როგორ აზროვნებდა, როგორ მსჯელობდა... ამ დეტალებს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავრობა ქამრების შემოჭერაში ჩვენს ვაკუუმში მოქცევას თუ გულისხმობს, ეს ქამარი კი არა. ჩვენთვის განკუთვნილი ყულფი უფროა. ძალიან გული მწყდება. რომ ბევრად მეტი თანხა იხარჯება უსარგებლო პროექტებში. ჩვენი პროექტის შეწყვეტის ხარჯზე ვიღაცის შიმშილის პრობლემას რომ უგვარებდნენ, ხმას არ ამოვიღებდით და მოვითმენდით, ისევე როგორც ვითმენდით „პრაიმტაიმის“ ბრაილის შრიფტით დაბეჭდვამდე, მაგრამ დღეს, როდესაც აღარავინ იმყოფებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში, მაინცდამაინც მე რატომ უნდა ვიყო გამონაკლისი? ესეც რომ არა, ბრაილით კითხვა ჩვენთვის მკურნალობის ტოლფასია, ნერვულ სისტემას ამშვიდებს, აწყნარებს.

– სხვა გაზეთი არ გამოიცემოდა „პრაიმტაიმამდე“?

– არის ჟურნალი „სინათლე“, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ბეჭდავს, იქ შეზღუდული ინფორმაციები გადის და ერთმანეთის შესახებ უფრო ვაწვდით ინფორმაციებს, შინაარსი მკაცრად დაცულია, მასში არ ხვდება ეგრეთ წოდებული ყვითელი ინფორმაცია. „პრაიმტაიმში“ მეტი თავისუფლებაა, მას მარტო ჩვენ კი არა, უსინათლო ბავშვებიც დიდი ინტერესით კითხულობენ. უსინათლოთა კავშირში მოდიან სპეციალურად იმისთვის, რომ გაზეთი წაიღონ და წაიკითხონ. ესეც რომ არა, შეიძლება „პრაიმტაიმმა“ არც კი იცის, როგორი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. მე მასწავლებლად ვმუშაობდი სკოლაში, სადაც უსიამოვნო შემთხვევის გამო გამომიშვეს სამსახურიდან. სხვისი უფლებების დაცვისთვის დავიწყე ბრძოლა და საბოლოოდ ჩემი უფლებები დაირღვა. თქვენს გაზეთს დიდი წვლილი მიუძღვის სამსახურში ჩემს აღდგენაში. ჟურნალისტები მოვიდნენ, დაინტერესდნენ ჩემი ბედით და შედეგად დალაგდა სიტუაცია – სკოლაში დამაბრუნეს. მაშინ თქვენგან მირიან ბოქოლიშვილი იყო მოსული, ის ყოველთვის ინტერესდებოდა ჩვენით, ხშირად

რატი იონათამიშვილი: „სარეზერვო ფონდიდან თანხის გადარიცხვის საკითხი მკაცრად კონტროლდება და იქიდან, საგანგებო სიტუაციის გარდა, რამის დაფინანსება, ფაქტობრივად, შეუძლებელია“

მოდიოდა. სხვათა შორის, მირიანის მასალებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობდით.

– აღნიშნეთ, რომ „პრაიმტაიმის“ ნომრები რეგიონებშიც იგზავნებოდა...

– კავშირი თვეში ერთხელ ატარებს სხდომებს, რომელსაც საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოსული წარმომადგენელი ესწრება. წარმომადგენელს, რომელიც მანქანით ჩამოდიოდა, დაგროვილ ნომრებს ვატანდით ადგილობრივებისთვის. ჩვენ ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ, თქვენ ხომ მუშაობთ? ჩვენც გვინდა მუშაობა, გვინდა ჩვენი შვილები უზრუნველვყოთ, სრულფასოვანი განათლება მივცეთ, რომ შემდეგ მათ გადავბარდეთ და მოგვიაროს. როდესაც შვილი ხედავს, დედას არ აქვს მხედველობა, მაგრამ მაინც მუშაობს, მაინც ამდენს აღწევს, ეს მისთვის სტიმულია. მაგალითად, ჩემს შვილს უთქვამს ჩემთვის, დედა ვერც შენ, ვერც მამა ვერ ხედავთ, მაგრამ მაინც ამდენს მიაღწიეთ და მე აღარ მაქვს უფლება, რომ რამე არ გამომივიდეს...

„პრაიმტაიმი“ მერიის პასუხს პროექტის გაგრძელების შესახებ ზუსტად ერთი წლის განმავლობაში ელოდებოდა. ერთწლიანი ლოდინის შემდეგ კი უარი მიიღო. მიზეზი სარეზერვო ფონდის მკაცრი კონტროლი აღმოჩნდა.

რატი იონათამიშვილი, თბილისის მერთან არსებული შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს ხელმძღვანელი: „მინდა, იცოდეთ, რომ მხარს ვუჭერ თქვენს პროექტს და გულით მინდა მისი განხორციელება, მაგრამ პრობლემები მექმნება იმიტომ, რომ კანონმდებლობით მხოლოდ შესყიდვებით შეიძლება მერიამ ეს დააფინანსოს, ანუ ტენდერი უნდა გამოცხადდეს (ვინაიდან გრანტის გამცემი არ არის) და ტენდერზე რა იქნება, წინასწარ ვერ იტყვი. ადრე მსგავსი პროექტები სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა. ანუ სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემა არ კონტროლდებოდა და წინა წლებში მილიონობით ლარი იყო გახარჯული, ამიტომ მაშინ არ ითხოვდნენ არც ანგარიშებს და არც ფინანსურ დოკუმენტაციას, ახლა სარეზერვო ფონდიდან თანხის გადარიცხვის საკითხი მკაცრად კონტროლდება და იქიდან საგანგებო სიტუაციის გარდა, რამის დაფინანსება ფაქტობრივად, შეუძლებელია. მოკლედ, ბევრ რამეზე გვეძლება ამით ხელი, მე მაქვს იდეა, რომელსაც ახლა ვამუშავებთ და მომავალ წელს, ანუ 2016 წელს, დიდი შანსია, მერიამ დააფუძნოს ფონდი, რომელიც უკვე შეძლებს გრანტების გაცემას და ვფიქრობ, ეს ამ პრობლემას გადაჭრის. თუმცა ჯერ ტენდერს ვერ ვაცხადებთ, სწორედ ამიტომ ვამუშავებდი ყველანაირ ვარიანტს“.

თავად მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, მერიასთან არსებული შშმ პირთა საბჭო უკვე მიმდინარე კვირაში შეიკრიბება და როგორც დედაქალაქის მერი აცხადებს, ყველა საინტერესო წინადადებას განიხილავს.

დავით ნარმანია, თბილისის მერი:

– ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, დავეხმაროთ შშმ პირებს, ამისთვის თბილისის მერთან სპეციალური საბჭოც კი შევქმენით. საბჭო უკვე იწყებს მუშაობას სპეციალურ პროგრამებზე. შესაბამისად, ამ თემასთან უფრო სისტემური მიდგომა გვექნება. შშმ პირებთან დაკავშირებით რამდენიმე პროგრამა უკვე 2015 წელს არის გათვალისწინებული, მათ შორის უსინათლო ადამიანების ხელშეწყობის პროგრამა. ჩვენ მივილებთ ყველა საინტერესო პროექტს და წინადადებას, რაც ბრაილის შრიფტით დაბეჭდვასთან იქნება დაკავშირებული. საბჭო მომდევნო კვირას შეიკრიბება, ამ და სხვა საკითხებზე მსჯელობა დაიწყება და გადაწყვეტილებები მიიღება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერ

EXCLUSIVE

„ასეთი აბსურდული ბრალდებით მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული მერის გადაყენება ან იმპიჩმენტი არ ხდება“

ქეთი ხატიაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ თბილისის მერთან. დავით ნარმანია საკადრო ცვლილებებზე, ჯოკია ბოდოკიასთან დაკავშირებულ სკანდალზე, საკრებულოზე, ოპოზიციაზე. მერიაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე თბილისის მერი პირველად „პრაიმტაიმთან“ საუბრობს.

– ბატონო დავით, ჯოკია ბოდოკიას დაკავების შემდეგ, მერია ხმაურისა და, შეიძლება ითქვას, სკანდალების ეპიცენტრადაც კი იქცა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, კორუფციის ბრალდებით დაკავებულმა ბოდოკიამ თანამოაზრეები დაასახელა. ეს მცდარი შთაბეჭდილებაა? იყო მაინც რაიმე კავშირი ბოდოკიას დაკავებასა და საკადრო ცვლილებებს შორის?

– ჯოკია ბოდოკია უნდა განვიხილოთ როგორც ცალკე მოვლენა. სხვა საკითხები მისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი თემებია. უბრალოდ, ვინაიდან ეს დროსა და სივრცეში ერთმანეთს დაემთხვა, პოლიტიკურმა ოპონენტებმა საზოგადოებაში ისეთი განცდა გააჩინეს, თითქოს საკადრო გადაადგილება ჯოკია ბოდოკიას „კორუფციულ სქემასთან“ იყო დაკავშირებული. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, ბოდოკიასთან ამ ადამიანებს არანაირი კავშირი არ აქვთ, არც სამსახურებრივად და არც რაიმე გავლენა ჰქონდათ იმ საკითხთან მიმართებაში, რაზეც ჯოკია ბოდოკიაა დაკავებული.

მის საკითხს მე უფრო თაღლითობას დავარქმევდი, ვიდრე კორუფციას. მას თბილისის მერიასთან არსებულ საბჭოზე არანაირი გავლენა არ ჰქონდა, არც საკითხი იყო მერიაში შემოსული. შესაბამისად, მისი მხრიდან ფულის აღება დასახმარებლად, როცა დახმარება არ შეეძლო, ჩემი აზრით, თაღლითობაა და არა კორუფცია...

საკადრო გადაადგილებები დაკავშირებულია თბილისის მერიის ეფექტურობის გაზრდასთან. რაც შეეხება მარგიშვილს, ჯერ კიდევ ბოდოკიას დაკავებამდე ჰქონდა მას გადაწყვეტილება მიღებული, ამ თემაზე ვისაუბრეთ კიდეც. მას სურდა, თბილისში შეგვექმნა მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი და თვითონ ეხელმძღვანელა მისთვის... ამ საკადრო ცვლილებისთვის ვემზადებოდით. ამ გადაწყვეტილებას სამართალდამცავების მხრიდან ბოდოკიას დაკავება დროში დაემთხვა. ვინაიდან შესაბამისი ცვლილებები დაგეგმილი იყო, ის სისრულეში მოვიყვანეთ, დრო რომ არ დაგვეკარგა.

– თქვენ დარწმუნებით საუბრობთ იმიტომ, რომ იცნობთ გამოძიების დეტალებს და იცით, რომ ეს ლოკალური შემთხვევა იყო და არა კორუფციული გარიგება?

– ჩვენ გამოძიებას ვაწვდით ყველა მასალას და ყველა ინფორმაციას, რაც გამოძიებას დაეხმარება, საქმე ბოლომდე მიიყვანოს. თუმცა, ცალკეული ნიუანსებზე, რა თვალსაზრისით და რა კუთხით მიდის ძიება, ეს ინფორმაცია არ გვაქვს და, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებელიცაა, ჩვენ ეს ინფორმაცია გვქონდეს.

მაგრამ დარწმუნებით ამას იმიტომ ვამბობ, რომ არც სამსახურებრივად ჰქონიათ ადამიანებს მასთან შეხება – არ იყო ის მათ დაქვემდებარებაში – და არც საბჭოსთან არანაირი შეხება არა ჰქონია...

– თქვენ აღნიშნეთ და დაგეთანხმებით, რომ პოლიტიკოსებმა ამ ორ პროცესში თანხვედრა კარგად გამოიყენეს. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ბოდოკიამ თითქოს დაასახელა მერიის მაღალჩინოსნები... მამუკა არეშიძემ ისიც კი თქვა, თითქოს არსებობს ჩანაწერია, სადაც მარგიშვილსა და ბოდოკიას შორის ტენდერის თაობაზე გარიგებაზეა საუბარი...

– რა იციან გამოძიების დეტალები ან პოლიტიკოსებმა ან ექსპერტებმა, მათ შორის მამუკა არეშიძემ? ეს იქნებოდა კითხვა, რომელსაც ამ კითხვის საპასუხოდ შევაბრუნებდი. ეს იცის გამოძიებამ და დაველოდოთ... ის, რომ ამას ოსტატურად იყენებდნენ ოპონენტები, ფაქტია და ეს მათ სინდის-ნამუსზე იყოს. როცა არ აქვთ კონკრეტული ინფორმაციები, მტკიცებულებები და ადამიანს ჩირქს სცხებენ, ეს მათ სინდისსა და ადამიანობაზე იყოს. თუმცა, ჩვენი პოლიტიკური ოპონენტებისთვის ადამიანობა, ღირებულებები და მსგავსი ფასეულობები, პრაქტიკულად, არ არსებობს და ნულის ტოლია.

– ანუ დარწმუნებული ხართ...

– დარწმუნებული ვარ, რომ ბოდოკია ლოკალური შემთხვევა იყო; დარწმუნებული ვარ, რომ მას არ ჰქონდა ფართო მასშტაბები...

– საკადრო ცვლილებებზე რომ ვისაუბროთ... როდის დაინახეთ ასეთი ცვლილებების საჭიროება?

– მუდმივად მოვუწოდებდი და დღესაც მოვუწოდებ ჩვენი სისტემის თანამშრომლებს, უფრო სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილებები, უფრო გაბედულად იმოქმედონ – ყველა ის წვრილმანი საკითხი, რაც შეიძლება ქვედა დონეზე გადაწყდეს, ჩემამდე არ უნდა მოდიოდეს, ეს მენეჯმენტის ანბანია. ყველამ თავის დონეზე სწრაფად და ეფექტურად უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. შეუძლებელია, ყველა გადაწყვეტილება ერთმა ადამიანმა მიიღოს. ხელმძღვანელმა უფრო საკვანძო და პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, დანარჩენი ადგილზე უნდა იქნას მიღებული. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ მიდგომებს ვერ ვხედავდი, ბევრი საკითხი მაინც ჩემამდე მოდიოდა.

– შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები მოიყვანოთ? კონკრეტულად რამ გამოიწვია თქვენი უკმაყოფილება, რა გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, რა დაზიანდა?

– დაზიანებით არაფერი დაზიანებულა. თუმცა, საზოგადოება ყოველთვის სწრაფად ითხოვს პრობლემების მოგვარებას, ყოველთვის სწრაფად ითხოვს პროგრესს. მეც ბუნებით ასეთი ვარ – მინდა ამ მოთხოვნებს რაც შეიძლება სწრაფად და ადეკვატურად ვუპასუხო. მინდა, პროგრესი – უფრო სწრაფი და მმართველობა უფრო ეფექტური გვქონდეს...

– თქვენ აღნიშნეთ, რომ პრობლემები მენეჯმენტში იყო, ეს ის გუნდია, რომელიც თქვენ შეკარით, შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდმა არ გაამართლა? ასეთ საკადრო გადაწყვეტილებაში საკუთარ სისუსტეს ხედავთ?

– გუნდი, რომლითაც ჩვენ მოვედით მერიაში, საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა, მაგრამ დაგვხვდა ძალიან ბევრი წინააღმდეგობა, ბევრი პრობლემა, რომლის დაძლევასაც საკმაოდ დიდი ენერგია მოვანდომეთ და საკმაოდ დიდი ნერვები დავახარჯეთ. დაგვხვდა ძალიან ბევრი მოუწესრიგებელი პროგრამა და პროექტი, უნებართვო მშენებლობები, ჩავარდნილი ტენდერები; დაგვხვდა ძალიან ბევრი საკადრო პრობლემა, „ნაციონალური მოძრაობის“ სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანები ყოველდღიურად საბოტაჟის რეჟიმში გვამუშავებდნენ. ამ პრობლემებს დაძლევა სჭირდებოდა. პირველი ექვსი თვის განმავლობაში ეს ამ გუნდთან ერთად დავძლიეთ. ახლა განვითარების დროა და განვითარების დროს გარკვეული გადაადგილებები საჭიროა, რადგანაც ახალი შემართებითა და შეცვლილი გუნდით მოხდეს უფრო

„ბოდოკიას საკითხს მე უფრო თაღლითობას დავარქმევდი, ვიდრე კორუფციას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიუ თბილისის მერთან

„თბილისის მერი დღეს სანდრა რულოვსის მშობლების გამონაცვალი მანქანით დადის. ასე რომ, მანქანა და მანქანები ნამდვილად არ შეგვიძენია“

„გიგი უგულავა რამდენჯერ ახსოვთ თბილისის საკრებულოში ანგარიშით? მით უფრო, ოპოზიციის მიწვევით, მე რომ მიწვევენ ახლა?..“

სწრაფი პროგრესის მიღწევა.

– საკადრო დანიშვნების დროს რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ? თქვენ ხომ მაღალი თანამდებობის პირებს ნიშნავთ, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ?

– პიროვნულად მხოლოდ სამსახურის ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებსა და მსხვილი მუნიციპალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ვნიშნავ. სხვა საკადრო გადაწყვეტილებები ქვემოთ მიიღება კურატორი მოადგილეების ან სამსახურების ხელმძღვანელების მიერ. ვისზეც მე ვიღებ გადაწყვეტილებას, რამდენიმე მოთხოვნას ვუყენებ: სანდოობა, პროფესიონალიზმი, გუნდურობა, მართვის უნარი და გამოცდილება. ეს არის ოთხი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ადამიანებს ვუყენებ შერჩევის დროს...

– უკვე თვეებია, ოპოზიცია თქვენს წინააღმდეგ კამპანიური ხასიათის დარტყმებს ახორციელებს... რატომ? ძალა იგრძნეს თქვენში? როგორ ფიქრობთ, როგორია თქვენ მიმართ ოპოზიციის დამოკიდებულება?

– ბოლო თვეების განმავლობაში თბილისის მერია მათი ერთ-ერთი სამიზნე გახდა. მიზეზის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს... როგორც ჩანს, ეფექტური გუნდი, ძალიან ბევრი პროგრესი მათთვის მიუღებელია, ამიტომაც ცდილობენ, დარტყმები მოგვაყენონ და ამ გზით შეეცადონ, მერიის რეიტინგი შეამცირონ. ჩვენ რომ მართლა უსუსურები ვიყოთ, დარტყმის განხორციელება არ დასჭირდებოდათ. ძლიერ ძალას ხედავენ, ამიტომაც ცდილობენ, ათასგვარი მაქინაციით, ხშირ შემთხვევაში სიცრუითა და ამორალური ქცევებით, მოგვაყენონ დარტყმები. მათი მისვლა სხვადასხვა გამგეობებში, თბილისის მერიის წინ მუდმივი აქციები... ამ ადამიანების ამოცანობა მარტივია – ეს მათი აქტივისტები არიან, რომლებსაც ხან ვითომ გული წაუვათ, ხან კიდევ სხვა რამ შეემთხვევათ... ძალიან მარტივად იშიფრებიან. სახეზე ვცნობთ ამ ადამიანებს, პოლიტიკური ბრძოლა გვიწევდა წინასაარჩევნოდ და ბევრს იქიდან ვცნობთ. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში დაიღლებიან და მოსწყინდებათ, იმიტომ რომ ასეთი ქმედებებით შედეგს ვერ მიაღწევენ. ამიტომაც ჩემს თანამშრომლებს ხშირად მოვუწოდებ ხოლმე, საქმეს მიხედონ და ნაკლები ყურადღება მიაქციონ მათს ასეთ ქმედებებს. აქციის გამართვისა და აზრის გამოხატვის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს, გამოხატონ თავისი აზრი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ამოცანები გვაქვს ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით და ამას ყოველდღიურ რეჟიმში ვასრულებთ.

– ამ კამპანიის კულმინაციად, თქვენი იმპიჩმენტის მოთხოვნა შეიძლება დავასახელოთ. ასეთი განცხადებები თითქოს საკრებულოშიც გაისმა. ფიქრობთ, რომ შესაძლოა, პროცესებმა ქუჩიდან საკრებულოში გადაინაცვლოს და რეალური პრობლემა დადგეს?

– სასაცილო და ღიმილისმომგვრელია ეს ყველაფერი... გადადგომისა თუ იმპიჩმენტის მოწოდება ისმის იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც დამნაშავეთა რეჟიმს წარმოადგენდნენ და ამ რეჟიმის ცენტრში იდგნენ. გადაყენება უნდა მოითხოვონ იმ ადამიანის, ვინც კორუფციაშია, არაფერს აკეთებს... ჩვენი გუნდი ღიად და გამჭვირვალედ მუშაობს. ეს ბანალური ფრაზები, რასაც ისინი გაიძახიან, რა თქმა უნდა, არის აბსურდული. ასეთი აბსურდული ბრალდებით მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული მერის გადაყენება ან იმპიჩმენტი არ ხდება.

– გასაგებია, რომ ნაციონალების კამპანიაა თქვენს წინააღმდეგ, თუმცა აქვე მინდა გკითხოთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზეც. საკადრო გადაადგილებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მან მოგიწოდათ, გუნდისთვის გადაგეხედათ და მერია გააკრიტიკა... გქონდათ მასთან შეხვედრა? მისი კრიტიკა იყო თქვენთვის მოტივაცია, რომ უფრო სწრაფად მოგეხდინათ საკადრო ცვლილებები?

– ასეთი პათოსით გაკეთებულ განცხადებას ვერ ვიხსენებ. მისი განცხადების ძირითადი პათოსი თბილისის მერიის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა იყო და გადაწყვეტილებების უფრო სწრაფად მიღება, რასაც მანამდეც ვამბობდი... ამაზე იყო საუბარი და, რა თქმა უნდა, აქ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთთან თანხვედრაშია.

– „კრიზისის“ ფონზე თქვენ თითქოს დუმილის უფლებას ინარჩუნებდით, საკრებულოში კი განმარტებების გაკეთებისკენ მოგიწოდებდნენ...

– ეს რას ნიშნავს? ვის მოწოდებებზე უნდა გავქცეულიყავი საკრებულოში, ნაციონალებისა და ერთი დამოუკიდებელი დეპუტატის დაძახებაზე? მე კანონმდებლობით დადგენილი წესით წარვდგები საკრებულოს წინაშე და წარვადგენ ანგარიშს... სხვათა შორის, ეს არ იქნება საკრებულოში ჩემი პირველი მისვლა, ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც ვიყავი, პერიოდულად უმრავლესობასთანაც მაქვს კონსულტაციები... ნაციონალებისა და ერთი დამოუკიდებელი დეპუტატის ყოველ დაძახებაზე იქ მისვლას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ დასამალი არაფერი მაქვს და ყოველთვის შემიძლია, არგუმენტირებული პასუხი გავცე ყველას. შემიძლია ფაქტებით გავაკეთო იმის პრეზენტაცია, რა უბედურება დაგვხვდა ჩვენ აქ, რა გავაკეთეთ... ასე რომ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ვკითხო მათ; გიგი უგულავა რამდენჯერ ახსოვთ თბილისის საკრებულოში ანგარიშით? მით უფრო ოპოზიციის მიწვევით, მე რომ მიწვევენ ახლა?..

– ყველა მერს ჰქონდა ოპოზიციასთან ურთიერთობა და კონსულტაციები, თქვენ მათთან კომუნიკაცია გაქვთ?

– უგულავას ვისთან ჰქონდა ოპოზიციაში კომუნიკაცია?

– თუნდაც, ალასანიას პარტიის წევრებთან... ახლა სწორედ მისი პარტიის წევრებმა არ მოაწერეს ხელი, სხვათა შორის, თქვენს საკრებულოში „დაბარების“ მოთხოვნას...

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ოთხეულს, რომლებმაც მოთხოვნას ხელი არ მოაწერეს, ეს მათი მხრიდან დასაფასებელია, ისინი ნაციონალებისა და ერთი დამოუკიდებელი დეპუტატის ინიციატივას არ აჰყვნენ... რაც შეეხება ოპოზიციას, ზოგიერთ მათგანთან შეიძლება მქონდეს კომუნიკაცია. თუმცა, ეს არის ჩემი საკრებულოში მისვლის დრო და კანონიერების ფარგლებს არ სცდება, რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან გარიგებაში ნამდვილად არ ვიმყოფები და არც მაქვს სურვილი.

– თუმცა, ალასანიას პარტიაზე უკვე თქვეს, რომ თქვენთან გარიგებაში იმყოფებიან...

– რაზე უნდა გავრიგდეთ? არც გასაყოფი გვაქვს რამე და არც საერთო.

– როგორ ემზადებით ანგარიშისთვის საკრებულოში? განმარტებაში აღნიშნეთ, რომ აპირებთ, საკრებულოს მოუყვეთ, როგორი მძიმე მემკვიდრეობა დაგხვდათ მერიაში. რას გულისხმობთ? ნაციონალები აცხადებენ, რომ მათ ბიუჯეტიც სავსე დატოვეს, სისტემაც გამართული და კადრიც პროფესიონალი. ახლა კი იჭერენ კორუფციისთვის, ათავისუფლებენ მაღალჩინოსნებს, იწერენ მაღალ პრემიებს, ყიდულობენ ძვირადღირებულ მანქანებს, სკანდალურად ჩატარდა ატესტაციები... რა შეგიძლიათ ამას დაუპირისპიროთ?

– ციფრებით მივალ საკრებულოში...

– ციფრები ხალხს არ ესმის, მათ კონკრეტული საკითხები უფრო აინტერესებთ...

– რატომ აყენებთ ხალხს შეურაცხყოფას? ხალხს ძალიან კარგად ესმის ციფრები და შეუძლია შეადაროს, მაგალითად, რამდენი ადამიანი იყო დაჭერილი ნაციონალების მმართველობის დროს თბილისის მერიაში და რამდენი დააკავეს ჩვენი მმართველობის დროს. მეორე, რამდენი მანქანა იქნა შესყიდული მათი მმართველობის პერიოდში, გარკვეულ პერიოდში, და რამდენი შევისყიდეთ ჩვენ. არც ერთი მანქანა არ შეგვიძენია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იციან ამის შესახებ, თქვეს, თბილისის მერმა 100-ათასიანი მანქანა თბილისის ბიუჯეტიდან არა, მაგრამ დაცვის სამსახურიდან შეიძინაო. მაშინ, როცა ძალიან კარგად იციან, ეს მანქანა სწორედ მათი მმართველობის დროს არის შეძენილი. კერძოდ, 2011 წელს დაცვის სამსახურის მიერ და სანდრა რულოვსის მშობლები დადიოდნენ. ანუ თბილისის მერი დღეს სანდრა რულოვსის მშობლების გამონაცვალი მანქანით დადის. ასე რომ, მანქანა და მანქანები ნამდვილად არ შეგვიძენია. რაც შეეხება სავსე ბიუჯეტს, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩამორჩენა ჰქონდათ და შესაბამისად მართლაც იყო გაუხარჯავი ბიუჯეტი. მაგრამ ამხანაგობებისა და სოციალურ ნაწილში, საიდანაც მარტივად უნდოდათ, ხმები ეყიდათ, ბიუჯეტი პრაქტიკულად ცარიელი იყო. ამიტომაც მის შესავსებად ფულის სესხება მოგვინია. რაც შეეხება კადრებს, ხაზს ვუსვამ, „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან ბევრი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრი დაგვხვდა მერიაში. ბევრმა თვითონ დაწერა განცხადება და წავიდა, სხვები ჩვენ გავათავისუფლეთ. შეუსაბამო იყო მათი კვალიფიკაცია, ქცევები და საქმიანობა დადგენილ მოთხოვნებთან... ჩავატარეთ ატესტაცია...

– უსამართლო ატესტაცია...

– არა, სამართლიანი. ვაპირებთ, რომ მომავალშიც გამოვაცხადოთ კონკურსი დარჩენილ ვაკანსიებზე... სხვათა შორის, მათი მმართველობის დროს, როცა იცოდნენ, რომ ახალი ხელისუფლება მოდიოდა, კონკურსი ჩაატარეს მხოლოდ გასაუბრების წესით, ყოველგვარი გამჭვირვალობისა და გარედან კომისიის წევრების მოწვევის გარეშე. გასაუბრებით ადამიანები უვადოდ დანიმნეს, რითაც დაარღვიეს კანონი. ახლა ჩვენ მოგვინოდებენ, რომ ვიყოთ ღია და გამჭვირვალე. და ეს მაშინ, როცა ჩვენ ამ პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ჩავრთეთ.

– ადამიანური თვალსაზრისით თქვენში რა ბრალდებები იწვევს ყველაზე მეტად გაღიზიანებას?

– ყველაზე მეტად მაინც დაუნახაობა მოქმედებს ჩემზეც და ჩემს გუნდზეც... როცა გუნდთან ერთად დღე და ღამე ვმუშაობთ, ოპონენტები კი ცდილობენ, ათასგვარი მეთოდებით ამის დისკრიმინაცია მოახდინონ... მაგრამ ჩვენ ჩვენი ამოცანა გვაქვს და ნაკლებად გვაინტერესებს მათი პათოსი... საზოგადოებას მოვუწოდებთ, ყური არ უგდონ მათ გამონათქვამებსა და შეფასებებს... თუმცა, ეს საზოგადოებამ ისედაც კარგად იცის...

– მაშინ ერთი პრობლემა... თბილისის ქუჩებში რამდენიმე დღეა, ამოღებულია ასფალტი და ახალს არ აგებენ, მაგალითად, სანაპირო-ზე...

– დღეს დაიგო... ოთხი დღე იყო, არა, სამი დღე და მეოთხე დღეს დაიგეს... არის ასეთი ცალკეული შემთხვევები, როცა კონტრაქტორი ორგანიზაციები მოჭრიან გზას და დადგენილი წესის შესაბამისად – მათ 24 საათის განმავლობაში უნდა შეავსონ ორმო ახალი ასფალტით – ვერ აგებენ სხვადასხვა მიზეზით: ვერ იღებენ ასფალტს ქარხნიდან ან ტექნიკა უფუჭდებათ, ჩვენ მათ ვაჯარიმებთ... გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა კომპანიას კონტრაქტი გავუწყვიტეთ და შევიყვანეთ სხვა... ცალკეული შემთხვევები არის, მასიური – არა...

– რაც შეეხება სავალუტო კრიზისს, როგორ იმოქმედებს ეს დედაქალაქის ბიუჯეტზე?.. აპირებთ ცალკეული პროექტების შემცირებას?..

– დოლარის მიმართ ლარის კურსის სწრაფი მერყეობა მოქმედებს სატენდერო ფასებზე, მაგრამ არ შეიძლება ამას სავალუტო კრიზისი ვუწოდოთ, ეს გადაჭარბებული შეფასებაა. რამდენიმე შემთხვევაში მოგვინია ტენდერის ხელახლა გამოცხადება და ფასების გაზრდა. მოგეხსენებათ, სამშენებლო მასალებზე ფასები გაიზარდა და კონტრაქტორებისთვის ძველი ფასები წამგებიანი იყო. ამ მიმართულებით გეგმები გადავალაგეთ. თუმცა, ზაფხულიდან აქტივობა მოიმატებს და კურსი დასტაბილურდება...

– რაც შეეხება ფასების ზრდას პროდუქტებზე, მერიაც ჩაერთვება ამ პროცესში თუ ეს მხოლოდ ხელისუფლების ფუნქციაა? ვგულისხმობ ისეთი ზომების მიღებას, რომელიც პროდუქტებზე ფასებს მნიშვნელოვნად არ გაზრდის...

– რა თქმა უნდა, ეს არის ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება. როგორც ფისკალურ, ისე მონეტარულ პოლიტიკას შესაბამისი უწყებები ხელმძღვანელობენ. თბილისის მერიის ფუნქცია და როლი აქ არის ის, რომ ხელი შეუწყოს საინვესტიციო პროექტებს, ხელი შეუწყოს კაპიტალური პროექტების სწრაფ განხორციელებას, რაც ბიუჯეტიდან ფინანსდება, რათა შეამსუბუქოს ეკონომიკაში არსებული ტვირთი...

– საკადრო ცვლილებების შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კრიზისი“ დაძლეულია? რას ელოდებით ახალი გუნდისგან?

– ახალი გუნდისგან მეტ აქტივობასა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას ველოდები, „კრიზისი“ არ არსებობდა, სტაბილურად ვვითარდებოდით, მაგრამ ახლა უკვე სწრაფი და მდგრადი განვითარების დროა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კორუფციული გარიგება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში?!



საკვები პროდუქტების შესყიდვისას ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კვების მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე, ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა კვების მენეჯერსა და მიმწოდებელს შორის კავშირი

რეესტრის მონაცემებით, ინდმეწარმე „კახაბერ ბერიშვილის“ სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე 10 დღით ადრე. მიუხედავად ამისა, მან ცენტრისგან, საერთო ჯამში, ნახევარ მილიონ ლარზე მეტი მიიღო

მირიან ბოქოლიშვილი

დღეს საქართველოს მასშტაბით ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებისთვის რამდენიმე დაწესებულება არსებობს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თუმცა რამდენად ხმარდება ეს სახსრები დაავადებულ ადამიანებს, ძნელი სათქმელია. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ აუდიტის სამსახურმა სახელმწიფო ბალანსზე არსებული ფსიქიატრიული დაწესებულებები შეამოწმა და მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა, როგორც პაციენტების კვების, ისე მედიკამენტების ხარჯვის თვალსაზრისით. ამჯერად მკითხველის ყურადღებას „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ გამოვლენილ სავარაუდო კორუფციულ სქემაზე გიამბობთ, რომელიც მალე საგამოძიებო ორგანოების შესწავლის საფუძველი გახდება.

ირკვევა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საკვები პროდუქტების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, კერძოდ, ორი წლის განმავლობაში საკვები პროდუქტების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 1 მილიონ 453 ათასი ლარი შეადგინა, რაც ცენტრის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულების 31%-ს შეადგენს.

აუდიტორთა ინფორმაციით, საკვები პროდუქტების შესყიდვისას ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კვების მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე, ყოველგვარი ბაზრის კვლევის გარეშე. აუდიტის პროცესში შესწავლილ იქნა იმ მიმწოდებლების შესახებ რეესტრში არსებული ინფორმაცია, რომელთაც აუდიტირებულ პერიოდში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება საკვები პროდუქტების მიწოდებაზე.

ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კვების მენეჯერსა და მიმწოდებელს შორის კავშირი. მაგალითად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით საკვები პროდუქტების მიწოდებაზე ხელშეკრულება გაფორმდა ინდმეწარმე „მარინე კიკალიშვილთან“. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 240 ათასი ლარი. დაახლოებით 6 თვის შემდეგ მიმწოდებელმა წერილობით მიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. იმ დროისთვის მარინე კიკალიშვილისთვის გადახდილმა თანხამ 108 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულების შეწყვეტიდან მე-2 დღეს, მარინე კიკალიშვილის რეკომენდაციით საკვები პროდუქტების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაუფორმდა ინდმეწარმე „ლია ბზეკალავას“. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 132 ათასი ლარი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, „ლია ბზეკალავას“ სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე 30 დღით ადრე. აღნიშნული ინდმეწარმის იურიდიული მისამართი კი ემთხვევა მარინე კიკალიშვილის იურიდიულ მისამართს, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ „მარინე კიკალიშვილი“ და „ლია ბზეკალავა“ არაფორმალურად ერთ სუბიექტს წარმოადგენენ.

სავარაუდო კორუფციულ გარიგებაზე მიანიშნებს საჯარო რეესტრის კიდევ ერთი მონაცემი, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კვების მენეჯერის თამარ კობახიძის უძრავ ქონებაზე, რომელიც თბილისში, ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარეობს, დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს მარინე კიკალიშვილი. ერთი ნლის განმავლობაში აღნიშნულმა პირებმა გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ცენტრისგან 212 ათასი ლარი მიიღეს.

კიდევ ერთი სავარაუდო კორუფციული გარიგება ინდმეწარმე „კახაბერ ბერიშვილს“ უკავშირდება, რომელმაც გამარტივებული შესყიდვის გზით სამედიცინო დაწესებულების კვებით უზრუნველყოფაზე ხელშეკრულება გააფორმა, საერთო ჯამში, 312 ათასი ლარის ოდენობით. ამის შემდეგ ცენტრმა დაიწყო ელექტრონული ტენდერების ჩატარება. მის მიერ კვებით მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერებში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სწორედ „კახაბერ ბერიშვილი“. მაგალითად, მხოლოდ 2012 წელს საკვები პროდუქტების შესყიდვაზე გამოცხადდა 10 ტენდერი, მათ შორის 2 ტენდერი შეწყდა, ხოლო 8 ტენდერიდან 7 ტენდერში მონაწილეობა მიიღო ინდმეწარმე „კახაბერ ბერიშვილმა“ და მიუხედავად კვების სფეროში არსებული მაღალი კონკურენციისა გამარჯვებულად გამოცხადდა 6 ტენდერში. ტენდერების პარალელურად კვების პროდუქტების შესყიდვაზე ცენტრმა გამარტივებული შესყიდვით 27 ხელშეკრულება გაუფორმა „კახაბერ ბერიშვილს“, ხელშეკრულების ღირებულებამ კი შეადგინა 312 ათასი ლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, ინდმეწარმე „კახაბერ ბერიშვილის“ სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე 10 დღით ადრე, რაც ქმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ საქმე გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან, რომლის ფარგლებშიც კახაბერ ბერიშვილს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრისგან 2 წლის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი, კერძოდ, 511 ათასი ლარი აქვს მიღებული.

რა ხდება ზემოხსენებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ვინ ითბობს ხელს რეალურად ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების ხარჯზე? ამის გასარკვევად ჩვენ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელს ბიძინა მგალობლიშვილს დავუკავშირდით, რომელიც აუდიტის მიერ გამოვლენილ დარღვევებს კატეგორიულად უარყოფს. მგალობლიშვილის განცხადებით, კვების მენეჯერი, თამარ კობახიძე, რომელიც აუდიტის დასკვნაში ფიგურირებს, ცენტრში აღარ მუშაობს.

ბიძინა მგალობლიშვილი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი:

– არანაირი დარღვევა აქ არ ყოფილა. ეს არის აბსოლუტური სისულელე. როდესაც აუდიტი წერს, რომ მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე დაინტერესებულ პირს წარმოადგენს ცენტრის კვების მენეჯერი, აქ პასუხი მარტივი: ის ქალბატონი მიდიოდა საჯარო რეესტრში და სთხოვა, ჩემი ამონაწერიც აიღეო. სწორედ ამიტომ ფიქსირდება ის დაინტერესებულ პირად, რადგან ამონაწერის ამოღება მოახდინა. ეს ძალიან კარგად ავუხსენით აუდიტორებს, უბრალოდ, რაღაც მაინც ხომ უნდა დავწეროთო, თქვეს და დაწერეს ეს აბსურდი.

– რაც შეეხება კახაბერ ბერიშვილს... რამდენად კანონიერად მოხდა მასთან, ერთი მხრივ, ტენდერში მისი გამარჯვება და, მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულების გაფორმება?

– კახა ბერიშვილმა მონაწილეობა მიიღო ელექტრონულ ტენდერში. იქ გამარჯვებულს ვავლენ არა მე, ან კონკრეტული პიროვნება, არამედ კომპიუტერი. იმ პერიოდში, როდესაც მან პირდაპირი შესყიდვით მოგვაწოდა პროდუქცია, მაშინ ტენდერების ჩატარების ვალდებულება არ გაგვაჩნდა. არსებობს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი ბრძანება ამის თაობაზე.

– ანუ არ იზიარებთ აუდიტის დასკვნაში გამოთქმულ დარღვევებს?

– რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ. იქ უწერიათ, ეს ფაქტები ეჭვს ბადებსო. ეჭვი შეიძლება მეც ბევრ რამეზე მქონდეს, მაგრამ ამის ოფიციალურ დოკუმენტში ჩაწერა არასწორია.

– ეჭვს არც ის იწვევს თქვენში, რომ ბერიშვილი ინდმეწარმედ დარეგისტრირდა ხელშეკრულების გაფორმებამდე სულ რაღაც 10 დღით ადრე?

– რატომ არის ეს საეჭვო? შემიძლია, მე დღეს დავრეგისტრირდე ინმეწარმედ და ხვალ დავიწყო საქმიანობა. ეს არანაირი კანონდარღვევა არ არის.

– კვების მენეჯერად თქვენთან აღარ მუშაობს?

– არა, ის საკუთარი სურვილით წავიდა. როგორც მახსოვს, სხვა სამსახურში გადავიდა სამუშაოდ. არანაირ კავშირში მისი წასვლა ამ ფაქტებთან არ არის.

ვინ ითბობს ხელს ფსიქიკურად დაავადებულთა ხარჯზე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური მოძრაობა“ „თელასში“ გავლენებს ინარჩუნებს?

მარიამ ნადირაძე

დიდი ხანია უკვე დავის საგანია, რა გავლენები აქვს ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე იმ კომპანიებს, რომლის უკანაც ხშირად უცხო ქვეყნების ინტერესები მოიაზრება...

ვინ არის დირექტორი, ვინც ქართველების წინააღმდეგ ბაგრამიანის ბატალიონში იბრძოდა?..

ამ შემთხვევაში ვისაუბრებთ ერთ-ერთ მათგანზე. ეს არის „თელასი“...

ჩვენი რესპონდენტი ვინაობას არ ამჟღავნებს, თუმცა დეტალურად გვიამბობს იმ ვითარებაზე, რაც ამ კომპანიაშია.

მაშ ასე, ვინ მართავს პროცესებს „თელასში“?

რატომ ჩივიან უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები?

ვინ ვის რა მიზნით უდგამს კამერებს?

რატომ უხდის ქართველი გადამხდელი ხელფასს ადამიანს, ვინც ბაგრამიანის ბატალიონში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ?

რა კავშირები ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას რუსულ კომპანიასთან?

რა სქემით დააფინანსა რუსეთმა ნაციონალები 2012 წლის არჩევნებისთვის?

ეს და კიდევ სხვა არცთუ ნაკლებად სკანდალური საკითხი იყო ჩვენს რესპონდენტთან საუბრის თემა.

„თელასი“ ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით მაშინ მოექცა, როდესაც 2012 წლის ნოემბერში გასაოცარი კორუფციული სქემა გაშიფრა ფინანსურმა პოლიციამ, რომლის მიხედვითაც გაირკვა, როგორ ფინანსდებოდა „ნაციონალური მოძრაობა“ კომპანიიდან, რომლის უკანაც ყველა დროში პუტინის ადმინისტრაცია მოიაზრებოდა... როგორც ჩანს, ამ პოლიტიკურ სკანდალს აერიდა საქართველოს სახელმწიფო და სასამართლომ თავისი განაჩენით ეს სქემა არ დაადასტურა. არადა ამ საქმეში ბრალდებულებად იყვნენ წარმოდგენილი ნაციონალური ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები – ალეკო ხეთაგური, ნიკა გვარამია, კახა დამენია და სხვანი... სქემა შემდეგში მდგომარეობდა: „თელასმა“, „მტკვარმა“ და „ხრამი 1-2“-მა უზენაესი სასამართლოს მანდატურის მიერ ერთი კვირით ადრე შექმნილ შპს-ს, ჯამში, მილიონი დოლარი გადაუხადეს ანალიტიკური სამუშაოების ჩატარებისთვის. ეს ის დრო იყო, როცა 2012 წლის არჩევნები ახლოვდებოდა. ცხადია, პარტიას ფული ძალიან სჭირდებოდა, ოლიგარქის ფინანსურ შესაძლებლობებთან დასაპირისპირებლად...

ყოფილი დირექტორი, აშოტ მანუკიანი 2012 წლის 10 ნოემბერს ისე გაქრა საქართველოდან, რომ მისი ლანდიც აღარავის უნახავს...

როგორც ირკვევა, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ სკანდალის შემდეგაც ინარჩუნებს „თელასში გავლენებს...

დაახლოებით ორი წლის წინათ „თელასის“ გენერალური დირექტორი ვინმე სერგეი კობცევი გახდა, რომელიც, როგორც მისი დანიშვნის დროს ელექტრონული მედია იუწყებოდა, მანამდე ტაჯიკეთში მუშაობდა, სადაც რუსული ფულით აშენებული ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი იყო. ამ დროს გენერალური დირექტორის პოსტი ვაკანტური იყო, ვინაიდან ყოფილი დირექტორი, აშოტ მანუკიანი 2012 წლის 10 ნოემბერს ისე გაქრა საქართველოდან, რომ მისი ლანდიც აღარავის უნახავს...

აშოტ მანუკიანიც დაიბარეს 9 ნოემბერს ფინანსურ პოლიციაში, სადაც ზემოხსენებულ კორუფციულ სქემას იძიებდნენ. დილით გამოუშვიათ. მანუკიანი პირდაპირ სომხეთისკენ გაიქცა. მას შემდეგ „თელასში“ მისთვის თვალი აღარავის მოუკრავს...

კობცევმა კი საქართველოში დანიშვნისთანავე გაუშვა სამსახურიდან „თელასის“ კომერციული დირექტორი, ცნობილი ნაციონალი ზურაბ არსოშვილი, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ იქ თავის დროზე სიტუაციის საკონტროლებლად ჩასვა. მას მიაყოლეს ფინანსური და ტექნიკური დირექტორებიც. ეს ის ხალხი იყო, ვინც „თელასში“ საკადრო წმენდებს ახორციელებდა პოლიტიკური ნიშნით...

ამ საკადრო წმენდამ სულ ცოტა ხნით დატოვა შთაბეჭდილება, რომ „თელასი“ ნაციონალების კონტროლისგან თავისუფლდებოდა. მალე ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა ვახტანგ ქინქლაძე, რომელიც პირდაპირ ასოცირდებოდა ზემოხსენებული კორუფციული სქემის ავტორებთან – ალეკო ხეთაგურთან და დევი კანდელაკთან. ქინქლაძე ნიკა გილაურის უახლოეს გარემოცვაშიც მოიაზრება...

ქინქლაძის პროტექტორად სახელდება ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი, რომელიც მანამდე ვანო მერაბიშვილის მიერ დაკომპლექტებული „ნიუ ენერჯის დირექტორი იყო...

როგორც ამბობენ, „თელასში“ „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს უკვე ოთხი წელია რუსეთის „გრუ“-ს ოფიცერი ლევონ სტეპანიანიც იცავს. სწორედ მის დიდ მცდელობას უკავშირდება ნაციონალური ხელისუფლების დროს სამსახურიდან ოპოზიციურად განწყობილი 19 თანამშრომლის დათხოვნა...

„პრაიმტაიმს“ ატყობინებენ, რომ ეს ადამიანი აფხაზეთის ომის დროს ბაგრამიანის ბატალიონში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. დღეს კი „თელასში“ ქართველი გადამხდელებისგან მიღებული თანხით საკმაოდ სოლიდურ ხელფასს იღებს...

„პრაიმტაიმმა“ ინკოგნიტო წყაროსგან მოწოდებული ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, მაინც გადაამოწმა სამხედრო ექსპერტ ტრისტან წითელაშვილთან: „ვადასტურებ, რომ ეს ადამიანი ნამდვილად იბრძოდა ამ ბატალიონში. მასზე მე ბევრი ინფორმაცია მაქვს. ამ ეტაპზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ მისი სპეცსამსახურული მეტსახელი იყო „შვარაცკა“, – განაცხადა ექსპერტმა.

ლევონ პეტროსიანს სხვა სკანდალებიც უკავშირდება. როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, დაახლოებით ერთ თვეში გაიმართება სასამართლო „თელასის“ უსაფრთხოების სამსახურის ორი თანამშრომლის სარჩელის საფუძველზე. ეს ის ხალხია, ვისაც სტეპანიანმა სამუშაო ოთახში ფარულად დაუმონტაჟა კამერები. თუმცა, თავის მხრივ, არც ისინი დარჩნენ ვალში... როგორც ირკვევა, გრუს გენერალს ისეთივე კამერები დაუმონტაჟებია საკონფერენციო დარბაზშიც, სადაც კომპანიის გენერალური დირექტორი ზოგჯერ კონფიდენციალურ შეხვედრებს მართავს მაღალი რანგის სტუმრებთან...

ვფიქრობთ, ჩამოთვლილი ფაქტები საკმარისად ქმნის სურათს ეჭვისთვის, რომ, თუ დღეს თბილისის მოსახლეობა წუხს ელექტროენერგიის ხშირი გათიშვების გამო, ეს პირდაპირ კავშირში შეიძლება იყოს ერთი პოლიტიკური პარტიის სურვილებთან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

თეა წულუკიანის უწყების მაღალჩინოსანს სერიოზულ ბრალდებას უყენებენ

ირაკლი მამალაძე

ყოფილი პატიმრის სერიოზული და სკანდალური ბრალდება. თუ ეს ფაქტი დამტკიცდება, თეა წულუკიანს მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. პატიმარი ირწმუნება, რომ შურისძიება არ ამოძრავებს. ის რამდენიმე კითხვას სვამს, რომელზე პასუხიც ჯერ არქეოლოგებსაც არ აქვთ. სკანდალში იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანი გაეხვია. ახლა ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს. უპასუხო შეკითხვები, სკანდალური ინფორმაცია, უძველესი საგანძურის ბუნდოვანი ისტორია... „პრაიმტაიმი“ დაკარგული ქართული საგანძურის შესახებ მოგითხრობთ.

ყოფილი პატიმარი იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს საჯაროდ სდებს ბრალს ეროვნული საგანძურის მითვისებაში! ანტონ ქაჯაიას მტკიცებით, გენერალური ინსპექციის უფროსმა საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენიმე ყორღანი გაძარცვა და იქ არსებული ოქროს უნიკალური ნაკეთობები, ზურაბ ადეიშვილის დახმარებით, ქვეყნიდან გაიტაცა. ანტონ ქაჯაია „პრაიმტაიმს“ შესაძლო დანაშაულის კონკრეტულ დეტალებს უყვება:

– ბატონო ანტონ, თქვენ ძალიან მაღალი თანამდებობის პირს ადანაშაულებთ ეროვნული საგანძურის მითვისებაში. გაქვთ შესაბამისი მტკიცებულებები?

– მტკიცებულებებსა და ფაქტებს იმ შემთხვევაში დავდებ, თუ უსაფრთხოების გარანტიებს მივიღებ. ამ ეტაპზე კი არ ვაპირებ, ჩვეულებრივ პროკურორს მივცე ჩვენება გენერალური ინსპექციის უფროსზე. რა აზრი აქვს, საქმე მაინც ჩაიფარცხება და თაროზე შემოიდება. ნიკოლოზ ბიწკინაშვილის დასჯა მხოლოდ პრემიერის დონეზე თუ მოხერხდება.

– მოდით, თავიდან დავიწყოთ. რა შეხება გქონდათ ნიკოლოზ ბიწკინაშვილთან?

– 2 პიროვნებასთან ერთად დამაკავეს 2012 წლის სექტემბერში. საქმე ეხებოდა კონტრაბანდული გზით ანტიკური ხანის ნივთების ქვეყნიდან გატანას. ეს ნივთები იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნის მოოქროვილი თასი და ოქროს რამდენიმე სამკაული. ამ საქმეში თავიდანვე ჩაერთო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და საქმეს მისი უფროსი ნიკოლოზ ბიწკინაშვილი ხელმძღვანელობდა. ნივთები ჩამოგვართვეს და დაიწყო ზეწოლა, მუქარა, რომ გვეთქვა, როგორ ჩაგვივარდა ხელში ეს ნივთები. ჩვენ ავუხსენით, რომ კერძო კოლექციაში გვქონდა, მაგრამ ამის დაჯერება არ უნდოდათ. ზეწოლით რომ არაფერი გამოუვიდათ, მერე პირდაპირ გვითხრეს, საპროცესოთი გაგიშვებთ, ოღონდ გვითხრით, საიდან გაქვთ წამოღებული ეს საგანძურიო. ალბათ, ეგონათ, რომ რომელიმე მუზეუმის საკუთრება იყო. ბოლოს ერთ-ერთმა ჩვენგანმა, ვისაც უშუალოდ ეკუთვნოდა ნივთები, თქვა, ოქროს სამკაულები ლაგოდეხში, ერთ-ერთ ყორღანთან ახლოს აღმოვაჩინეო...

– ეს სიმართლე იყო?

– როგორც გირკვა, სიმართლე იყო, ოღონდ ჩვენც ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ამის შემდეგ წაგვიყვანეს ლაგოდეხისკენ და ამ ადამიანმა აჩვენათ ტერიტორია, სადაც უძველესი სამარხი იყო. გადაიღეს ფოტოები, დაათვალიერეს ტერიტორია, შეისწავლეს. როგორც ჩანს, რაც აინტერესებდათ, კითხვებსაც უსვამდნენ, ოღონდ არ ვიცი, რას ეკითხებოდნენ. ერთი სიტყვით, რაც ანტერესებდათ, გაიგეს და წამოგვიყვანეს.

– საპროცესო გარიგება შედგა?

– დიახ, გაკეთდა საპროცესო და სამივე გამოგვიშვეს ციხიდან, მანამდე კი, სანამ გაგვათავისუფლებდნენ, პირადად ნიკოლოზ ბიწკინაშვილმა შემოგვთავაზა თანამშრომლობა... პირდაპირ გვითხრა, თუ სხვა უძველეს დიდგვაროვანთა სამარხებზე მივაწვდიდით ინფორმაციას, პრივილეგიებსა და ფულად ჯილდოსაც კი მივიღებდით. და იქვე დააყოლა, რომ ამ ინფორმაციით ზურაბ ადეიშვილიც იყო დაინტერესებული და წინასწარ მადლობაც გადაგვიხადა...

– და როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდებოდათ ეს ინფორმაცია?

– როგორ თუ რაში? თავად იყვნენ დაინტერესებულნი სამარხებიდან საგანძურის ამოღებითა და მითვისებით. ეს ნივთები შავ ბაზარზე ძალიან მაღალ ფასად იყიდება. მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ მათ რამდენიმე ყორღანი გახსნეს, მათ შორის ლაგოდეხშიც. სწორედ ის სამარხი, რომელიც ვაჩვენეთ.

– უკაცრავად, მაგრამ ამას იმიტომ ხომ არ გვიყვებით, რომ შური იძიოთ ნიკოლოზ ბიწკინაშვილზე, რომლის სამსახურმაც ანტიკური ხანის ნივთების ქვეყნიდან გატანის ფაქტზე დაგაკავათ?

– არა, დამიჯერეთ, არანაირი შურისძიება და მონანიება არ მჭირდება. არ ვაპირებ პროკურატურაში მისვლას. ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ მაღალი რანგის პირები დაინტერესდნენ, ეს საქმე გამოიძიონ და მაშინ გაიგებენ, რა ხდებოდა რეალურად ადეი-

„ჩვენ ნივთებიც შევაფასეთ, გვაჩვენეს ამოღებული ნივთები, რომელიც სარფის საბაჟოზე დააკავეს. იქ იყო რაღაც ნივთები, რომლებიც შესაძლოა, სამარხიდან იყო ამოღებული. სად წავიდა ეს ნივთები და რა შედეგით დასრულდა გამოძიება, ჩემთვის უცნობია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყორღანი გახსნა ეროვნულმა მუზეუმმა, გენინსპექციას ვინ ჰკითხავდა, ნივთები არის ეროვნულ მუზეუმში, შეგიძლიათ, იქ იხილოთ...“

„პრაიმტაიმმა“ ინფორმაციის მოპოვება იუსტიციის სამინისტროში სცადა და კითხვები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს გადაუგზავნა.

მარიამ სხილაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

– მარიამ, ყოფილი პატიმარი გენერალური ინსპექციის უფროსს ყორღანების თვითნებურად გახსნასა და საგანძურის მითვისებაში ადანაშაულებს...

– რა მიითვისეს? ყორღანი გახსნა ეროვნულმა მუზეუმმა. გენინსპექციას ვინ ჰკითხავდა? ნივთები არის ეროვნულ მუზეუმში, შეგიძლიათ იქ იხილოთ..

– კი, მაგრამ ეს ყორღანები გაიხსნა გენერალური ინსპექციის ზედამხედველობით...

– ვინ მოგაცათ ეს მცდარი ინფორმაცია?

– ამ საქმეზე დაკავებულმა პირებმა და ისიც გვითხრეს, რომ ნიკოლოზ ბიწკინაშვილი სხვა სამარხებითაც იყო დაინტერესებული, მათ თანამშრომლობას სთავაზობდა?

– ჰო, გაიხსნა ყორღანები მუზეუმის მიერ და ამოიღეს ნივთებიც, ახლა მაგათ ვინ ავალებს ამ ყველაფერს?..

– და სხვა ყორღანებით რატომ იყო დაინტერესებული გენერალური ინსპექცია? ამ ფაქტს არქეოლოგიც ადასტურებს ჩვენთან საუბარში. შეგიძლიათ, გვითხრათ, სადამდე მივიდა გამოძიება?

– რას ნიშნავს, რატომ იყო დაინტერესებული?.. გენერალური ინსპექცია იყო დაინტერესებული ამ საქმით და შავი არქეოლოგია არის დანაშაული...

– და რა შეგიძლიათ, უპასუხოთ ბრალდებას, რომელსაც ამ საქმის მონაწილეები უყენებენ გენერალურ ინსპექციას?

– გენერალური ინსპექცია ამ ბრალდებებს სარჩელით უპასუხებს და თუ ვერ დაამტკიცეს, რომ რაღაც არის მიტაცებული, პასუხს აგებენ...

„დაინტერესდნენ მაღალი რანგის პირები, ეს საქმე გამოიძიონ და მაშინ გაიგებენ, რა ხდებოდა რეალურად ადეიშვილის სამსახურში და ვინ არის გენინსპექციის დღევანდელი ხელმძღვანელი, რომელიც თეა წულუკიანმა თანამდებობაზე დატოვა“

შვილის სამსახურში და ვინ არის გენინსპექციის დღევანდელი ხელმძღვანელი, რომელიც თეა წულუკიანმა თანამდებობაზე დატოვა. თუმცა, მთავარი ეს არ არის. მთავარია ის დანაშაული, რომელიც ამ ადამიანმა ჩაიდინა. მერწმუნეთ, ჯერ კიდევ შესაძლებელია, ეს საქმე გაიხსნას...

რამდენად არსებობს დანაშაული და არის თუ არა ჩადენილი ის სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, ამის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის გამო, რომ ოფიციალურად საქმეზე გამოძიება არ მიმდინარეობს. „პრაიმტაიმმა“ ანტონ ქაჯაიას მიერ მოყვანილი ფაქტები გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ მისი დაკავებისა და შემდგომში საპროცესო გარიგებით განთავისუფლების ისტორია სწორედ ლაგოდეხის რაიონში სოფელ ჭაბუკიანთან არსებულ უძველეს ყორღანს უკავშირდება, სადაც დიდგვაროვანთა საფლავებია განთავსებული და ის ანანურის ყორღანის სახელით არის ცნობილი არქეოლოგებისთვის. ეროვნულ მუზეუმში აცხადებენ, რომ უძველესი სამარხით გენერალური ინსპექციის თანამშრომლები იყვნენ დაინტერესებული და სწორედ მათი თანდასწრებით გაიხსნა სამარხი. კიდევ რომელი ყორღანებით იყო დაინტერესებული მაშინდელი ადეიშვილის უწყება ეროვნული მუზეუმისთვის, უცნობია, თუმცა ინტერესი, რომ დიდი იყო, ამ ფაქტს არქეოლოგი გიორგი გოგოჭური გვიდასტურებს..

გიორგი გოგოჭური, არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომელი:

– ბატონო გიორგი, რა ინტერესი ჰქონდათ გამომძიებლებს არქეოლოგიურ ობიექტებთან დაკავშირებით?

– როგორც მე მახსოვს, ეს იყო პროკურატურასთან არსებული რაღაც ჯგუფი, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა შავ არქეოლოგიასთან დაკავშირებით. გვაჩვენეს ფოტოებიც, სადაც სამარხები იყო და აინტერესებდათ, გვქონდა თუ არა ჩვენ გათხრილი ეს სამარხები და მუშაობდა თუ არა ექსპედიცია. მე რაც ვნახე, ის სამარხები არ იყო ჩვენ მიერ გათხრილი.

– თუ იყო საუბარი ანანურის სამარხზე?

– დიახ, ჩვენ ნივთებიც შევაფასეთ. გვაჩვენეს ამოღებული ნივთები, რომელიც სარფის საბაჟოზე დააკავეს. იქ იყო რაღაც ნივთები, რომლებიც შესაძლოა, სამარხიდან იყო ამოღებული. სად წავიდა ეს ნივთები და რა შედეგით დასრულდა გამოძიება, ჩემთვის უცნობია.

რა მასალები ჰქონდა საგამოძიებო უწყებას შავი არქეოლოგიის ფაქტებთან დაკავშირებით და სადამდე მივიდა გამოძიება?.. დეტალები, როგორც არქეოლოგებისთვის, ასევე, საზოგადოებისთვისაც უცნობია.

კორექტული ბრალდებებისა და ფაქტების გადამოწმების შემდეგ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კოკო გამსახურდია: „ჩვენ ნამდვილად არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ ნაციონალები და „ქართული ოცნება“ მიგვეღო შედეგად, როგორც ორი ძლიერი გიგანტი“

ხათუნა მგალობლიშვილი

პარტია „თავისუფლების“ ლიდერი აქტიურ პოლიტიკას უბრუნდება. კოკო გამსახურდია ბრძოლას საარჩევნო გარემოს უკეთესობისთვის შეცვლის მცდელობით იწყებს და დარწმუნებულია, რომ საბოლოოდ ქვეყანაში დამკვიდრებულ ამერიკულ სისტემასაც მოუღებს ბოლოს. ეს კი იმას ითვალისწინებს, რომ ქვეყანაში ორი „გიგანტი“ პარტიის გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიებიც უნდა იყვნენ წარმოდგენილები პოლიტიკურ ასპარეზზე.

კოკო გამსახურდია, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი:

– ვაპირებ პოლიტიკურად გააქტიურებას. მართალია, ჯერჯერობით კონსულტაციები არავისთან არ მაქვს, უბრალოდ, ყველაფერს ესაჭიროება განახლება. ბუნებრივია, როდესაც მე დავბრუნდი პოლიტიკაში, თამაშის სრულიად ახალი წესები დამხვდა.

– დღეს როგორი წესებია?

– დღეს რადიკალურად განსხვავებული წესებია.

– უფრო კარგი თუ უფრო ცუდი?

– გაძნებელებულია უფრო, თანაც ბევრად. გაძნელდა იმ გაგებით, რომ დღეს პოლიტიკაში რეალურად ორი ძალაა დარჩენილი. ეს ამერიკული სისტემაა, რომელიც საქართველოსთვის ნამდვილად არ მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ორიენტაციით მე პროდასავლელი ვარ, ამერიკული სისტემა მაინც არ მიმაჩნია საქართველოსთვის სწორი და მისაღები. ვგულისხმობ იმას, რომ ასეთი სისტემის არსებობის დროს მესამე ძალას, როგორც წესი, არ ახარებენ ხოლმე. ჩვენ ნამდვილად არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ ნაციონალები და „ქართული ოცნება“ მიგვეღო შედეგად, როგორც ორი ძლიერი გიგანტი. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში თავის დამკვირდება გაცილებით ძნელია. ჩვენ შევებრძოლებით იმას, რომ ასეთი სისტემა არ დამკვიდრდეს და დიდხანს არ დარჩეს.

– ვისთან ერთად აპირებთ ბრძოლას?

– ჯერჯერობით არ მყავს ასეთი გამორჩეული პარტნიორი, თუმცა, როგორც კი ვინმეს გამოვარჩევ, მაშინვე გავამჟღავნებ.

– ელოდებით, რომ სერიოზული ცვლილებები განხორციელდება პოლიტიკურ ძალებში?

– დიდი შანსია, რომ გადაჯგუფებების პროცესი განახლდეს. „თავისუფალი დემოკრატების“ შემდეგ შესაძლოა, კიდევ მოხდეს გამოყოფა. თუმცა არ მიმაჩნია, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება.

– რომელი დაჯგუფება შეიძლება გამოეყოს?

– ამაზე დეტალურად საუბარი მიჭირს, ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოიქცევიან რესპუბლიკელები.

– მიგაჩნიათ, რომ კოალიციაში პრორუსული ძალები გაძლიერებულები არიან?

– პრორუსული ძალები რომ არიან, ეს ფაქტია. ეს ძალები ყოველთვის იყვნენ, დღეს არ გამოჩენილან. რაც შეეხება მათ გაძლიერებას, ვიტყვი, რომ პრორუსული ორიენტაციის ძალებს მხარდამჭერები რეგიონებში უფრო მოუმრავლდნენ. თუმცა დასავლეთ საქართველოში პროდასავლური ძალები ლიდერობენ, ეს ყოველთვის ასე იყო ადრეც. აღმოსავლეთ საქართველო უფრო პრორუსული ორიენტაციის ძალების მხარდაჭერით გამოირჩევა.

– თქვენ ხელი მოაწერეთ მემორანდუმს, რომლის თანახმადაც იგეგმება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელება...

– პარლამენტის თავმჯდომარემ გვითხრა, რომ მან ჯერ კიდევ 2008 წელს მოაწერა ხელი აღნიშნულ მოთხოვნებს და, შესაბამისად, ის დღესაც ერთგული რჩება ამ მოთხოვნების. სხვათა შორის, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოდიოდა, საკუთარ პროგრამაში სწორედ ეს ცვლილებები ჰქონდა გაწერილი. შესაბამისად, დღეს ჩემთვის გაუგებარია, რომ ამ საკითხებზე ყურადღებას აღარ ამახვილებენ. ამის მიზეზი შესაძლოა, ის არის, რომ ხელისუფლებაში მოსულები ფიქრობენ, რომ რეფორმების დრო არ არის. პირადად მე მიმაჩნია, რომ ასეთი მიდგომა მცდარია. ასე აზროვნება ნამდვილად ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ამით კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

სამოქალაქო



ქეთი ხატიაშვილი

მაისში სამოქალაქო დაპირისპირებას ელოდებიან. ნაციონალები მიჩნევენ, რომ ისინი თავს იცავენ, რაკიღა ხელისუფლებას მთავარი ოპოზიციური პარტიის განადგურება სურს, მმართველ კოალიციაში კი მიიჩნევენ, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება ეჩქარება და არჩევნებამდე ვერ ითმენს, ამიტომაც არეულობის პროვოცირებას ელოდებიან.

ჯერჯერობით პროცესები პარლამენტის დარბაზში მწვავდება ხოლმე. თუმცა, ახლა ახალ ოპოზიციურ გეგმაზეც ალაპარაკდნენ. ეს ორი პარალელური პროცესია. პირველად ამ თემაზე საუბარი ირაკლი ალასანიამ დაიწყო. თავდაცვის გადაყენებულმა მინისტრმა „რუსთავი 2“-ის ეთერით განაცხადა, რომ პრემიერის გადაყენების მოთხოვნით პარლამენტში ხელმოწერების შეგროვება უნდა დაიწყოს.

მოგვიანებით ელისო კილაძემ, „ქრონიკა+“-ის რედაქტორმა განაცხადა, რომ ხელმოწერების შეგროვება დაწყებულია და რომ მიზნის მისაღწევად ოპოზიციას, სულ რაღაც, 15 დეპუტატის ხელმოწერა აკლია.

15 დეპუტატის ხელმოწერის მოპოვება მარტივი ამოცანა არ არის. პოლიტტექნოლოგიებში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ, თუ ვითარება არ შეიცვალა, ამ ციფრის შემცირება შეუძლებელი იქნება.

ამიტომაც, პოლიტიკიდან წასული ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ნაციონალები ცდილობენ ქუჩაში პროცესების აგორებას, რათა პარლამენტში ვითარების გარდატეხას მიაღწიონ. ხომ ყველამ იცის, რომ მაჟორიტარები, მაგალითად, ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს დგებიან. ასე რომ, თუკი გარეთ აირევა სიტუაცია, მაშინ პარლამენტში ხელისუფლება უმრავლესობას დაკარგავს...

– ჩემი ანალიზით, მაისში ძალიან სერიოზული მოვლენები დაიწყება... ველოდები დიდ შეხლა-შემოხლას, სამოქალაქო დაპირისპირებას... ნაცებმა თუ 21 მარტს ქუჩაში ბევრი ხალხი გამოიყვანა აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მაშინ ხელისუფლებაც მოუწოდებს ნაციონალების მოწინააღმდეგეებს ქუჩაში გასვლისკენ... ეს კი უკვე სამოქალაქო დაპირისპირებაა. – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში **ვალერი გელბახიანი**. მისი განმარტებით, ამ დაპირისპირებაში ძლიერი გაიმარჯვებს, თუმცა ეს ცუდ შედეგებს მოიტანს.

ერთ-ერთი ინფორმაციით, ნაციონალებმა კი მოითხოვეს ერთდღიანი აქცია და მერიაში სწორედ ერთი დღის უფლება აიღეს, თუმცა, როგორც ირწმუნებიან, ეს აქცია ისეთივე ფორმატის არ იქნება, როგორც ნოემბრის ან მანამდე აპრილის აქციები იყო. როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე საუბარი ჯერ ნაციონალებსაც უჭირთ. ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ხალხი შეიკრიბება რუსთაველზე.

მთავარ ოპოზიციურ პარტიაში მიიჩნევენ, რომ მათ, ქუჩაში გამოსვლის გარდა, გადარჩენის სხვა შანსი აღარ დარჩათ.

გია ბარამიძის განმარტებით, ხელისუფლება ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა. პირველი ეტაპი იყო დაპატიმრებები და დაკავებები:

– ახლა კი მეორე ეტაპზე გადავიდა, ცხადია, ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება აქვს დაგეგმილი.

ვარაუდობენ, რომ ნაციონალები შიმშილობას დაიწყებენ, ეს უვადო შიმშილობა იქნება, მოთხოვნა – ხელისუფლების გადადგომა. გია ბარამიძე შიმშილობის დაწყებას ან კარვების გაშლას უარყოფს და აცხადებს, რომ ნაციონალები ძველ ოპოზიციას არ დაემსგავსებიან:

– პერმანენტული საპროტესტო აქციები გვექნება. არც შიმშილობას ვაპირებთ და არც კარვებსა თუ გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაპირისპირების ზღვართან

„მაისში ძალიან სერიოზული მოვლენები დაიწყება... ველოდები დიდ შეხლა-შემოხლას, სამოქალაქო დაპირისპირებას...“

ლიებს დავდგამთ... თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ოპოზიციის განადგურებას აპირებს, ვითარებას სერიოზულად ძაბავს... სამოქალაქო დაპირისპირებას სწორედ ხელისუფლება უკეთებს პროვოცირებას... ის ოპოზიციად ნინო ბურჯანაძესა და ირმა ინაშვილს მოიაზრებს და მთავარი ოპოზიციის განადგურების გეგმასაც ბოლო დროს თამამად ახმოვანებენ... ახლა ყველაფერი საზოგადოების განწყობაზე იქნება დამოკიდებული... ხელისუფლებამ უნდა დაინახოს და იგრძნოს, რომ რადიკალური მეთოდებით ბრძოლა არ გამოუვა... ერთი ეტაპის დაჭერების შემდეგ, მეორე ეტაპი ჩვენი ფიზიკური ლიკვიდაციაა დაგეგმილი. არ გამორიცხავ, რომ ხელისუფლება სწორედ ამ მიმართულებით ფიქრობდეს... მე მაგალითად, როგორც შს ყოფილ მინისტრს, დაცვა მეკუთვნის და მომიხსნეს, არც გიგა ბოკერიას ჰყავს დაცვა და არც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებს... ჰო, გასაგებია ყველაფერი, კაცი ამხელა ოპერაციით, ასე დავარქმევდი, მოვიდა ხელისუფლებაში – ცოცხები დადგეს და ჟვანიას საქმეზე ისპეკულანტეს – და ახლა ის ძალაუფლებას



არჩევების გზითაც კი არ დათმობს.

– აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში გია ბარამიძე.

ბარამიძე დარწმუნებულია, რომ თავის დროზე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ბიძინა ივანიშვილს არ ეგონა, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდოდა:

– კი, ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ხელისუფლებას არ დავთმობდით და სისხლი დაიღვრებოდა და მაშინ ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა ჩვენს წინააღმდეგ. ისედაც ამდენი წელი სულ აჯერებდნენ ხალხს, რომ ჩვენ ბავშვებს ვჭამთ და ადამიანებს ვაუპატიურებთ... მაგრამ ასე არ მოხდა... ჩვენ მათ არჩევნების გზით გადავეცით ხელისუფლება... ასე რომ, ახლა ჩვენც ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავდივართ. შეგონებისა და ჩიჩინის ეტაპიდან უკვე შეგონების ეტაპზე გადავდივართ.

ვითარება პოლიტიკურად დაძაბულია. გავრცელებული ხმების თანახმად, საპრეზიდენტო ინაუგურაციამ გადაწყვიტა, ისეთივე გამოცდა მოუწყოს ამ ხელისუფლებას, როგორი გამოცდაც თავად მას მოუწყვეს 7 ნოემბრის სახით. თუმცა, აქ ერთი დეტალია.

ვალერი გელბახიანის შეფასებით, სპეცრაზმი ხელს ნაციონალების წინააღმდეგ არ აღმართავს. მიზეზად ის კორტების საქმეზე დაკავებულ სპეცრაზმს ასახელებს. ამ ბიჭების დაკავების შემდეგ, სპეცრაზმში ხელისუფლების მიმართ ანტიპათია გაჩნდა და ისინი ხელისუფლებას არ დაემორჩილებიან, თუკი ამის აუცილებლობა დადგა, აღნიშნავს გელბახიანი.

> **„ერთი ეტაპის დაჭერების შემდეგ, მეორე ეტაპი – ჩვენი ფიზიკური ლიკვიდაციაა დაგეგმილი, არ გამორიცხავ, რომ ხელისუფლება სწორედ ამ მიმართულებით ფიქრობდეს“**

21 მარტისთვის მზადება კი დაწყებულია....

„ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა არც ერთი პოლიტიკური პარტია არ შეუერთდება. 21 მარტს ისინი ქუჩაში მარტო გავლენ. მარტივად რომ ვთქვათ, ოპოზიციამ ახლა ნაციონალები გაამინუსა, ისევე, როგორც თავის დროზე ნოღაიდელი ჰყავდა გამინუსებული.

ნოღაიდელს პრორუსობის გამო ჭირხვნიდნენ. მისთვის ხელის ჩამორთმევაც კი რეიტინგებზე აისახებოდა. ეს გაკვეთილი თავის დროზე ირაკლი ალასანიამ გაიარა, როცა მერობის საარჩევნო რინგზე ნოღაიდელს საჯაროდ ჩამოართვა ხელი. ამის შემდეგ სოცკვლევებში „ალიანსის“ ლიდერის რეიტინგი რამდენიმე პუნქტით დაეცა.

ახლა ნაციონალები გაამინუსეს. ამბობენ, რომ პათოსს ეთანხმებიან – ხელისუფლება უნდა გადადგეს, თუმცა, ქუჩაში მაინც არ გავლენ, მიზეზი – მოთხოვნა არარეალურია და უადგილო. მოტივი ისევ რუსეთია, არეულობა ახლა მხოლოდ რუსეთს აწყობს, – ასე ფიქრობენ არასაპარლამენტო ოპოზიციაში.

სხვათა შორის, პრორუსული ძალები დარწმუნებულები არიან, რომ 21 მარტს აუცილებლად მოხდება რაღაც. უკვე დაგვიანონსეს კიდეც სხვადასხვა სცენარები. ერთ-ერთი განსაკუთრებულად შთამბეჭდავია. თურმე, სნაიპერები უკვე ჩამოვიდნენ და რუსთაველზე დიდი სისხლისღვრა იქნება.

პროდასავლელი პარტიებისთვის 21 მარტი საზომია. ანუ ნაციონალები, უბრალოდ, გამოვლენ და საკუთარი ძალების დემონსტრირებას მოახდენენ. აქ კი ციფრები ყოველთვის იწვევს განხეთქილებას. ნაციონალებმა უკვე იციან, რომ ეს გრანდიოზული მიტინგი იქნება და რომ ქუჩაში 100 ათასი ადამიანი გამოვა ერთადერთი მოთხოვნით – გადადგეს მთავრობა. დანარჩენები კი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსთაველზე 10-12 ათასზე მეტი არ გავა.

სავარაუდოდ, ციფრებით ომი გაგრძელდება.

არის სხვა ინფორმაციებით, რომელსაც ვარაუდობენ, რომ ნაციონალები აანონსებენ. მაგალითად, მალე სააკაშვილი თბილისში ჩამოვა. ვალერი გელბახიანი იმ დროს იხსენებს, როცა აქციების წინ ბადრი პატარკაციშვილის ჩამოსვლა ანონსდებოდა ხოლმე. მისი აზრით, ეს მხოლოდ პიარსვლები და პიარტექნოლოგიებია. ამით ხალხში მხოლოდ ამ იდეის მოსინჯვა ხდება, ანუ დატესტვა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნაციონალები მხოლოდ საკუთარ ძალებს მოსინჯავენ; რომ ეს აქცია იქნება სტარტი, რომელმაც სხვა პროცესები უნდა შექმნას.

ვარაუდობენ, რომ მთავრობის გადაყენების შემდეგ, ნაციონალები ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ.

და მაინც, რა პროცესებზეა საუბარი? პირად საუბრებში ნაციონალებიც და მმართველი კოალიციაც მიიჩნევს, რომ სამოქალაქო დაპირისპირების ზღვართან ვდგავართ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყარაფილის სასაფლ
დეენემი ქალბა

რატომ ავრცელებენ ადვოკატები ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციას?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

როდესაც კითხვა გაგვიჩნდა და მასზე პასუხის გასაცემად რესპონდენტების წრე მოვხაზეთ, გულწრფელად, სულაც არ გვქონია გათვლა იმ სკანდალურ ინფორმაციებზე, რაც ამ თემაზე მუშაობის პროცესში მივიღეთ.

კითხვა იყო მარტივი – რატომ ხდება ისე, რომ ვაზაგაშვილის ოჯახის ორი ადვოკატი ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა პრესკლუბში მართავს პრესკონფერენციას და საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო კითხვას – ვისია ყარაფილის სასაფლაოზე აღმოჩენილი მეორე დეენემი? – ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულად პასუხობს?

თავშივე გეტყვით: „პრაიმტაიმმა“ იცის ვისია დეენემი და ისიც, რატომ აკეთებენ ადვოკატები განსხვავებულ შეფასებებს.

ახლა კი მკითხველთან ერთად გავივლით იმ გზას, რაც ორიოდე დღის წინ უთქვენოდ გავიარეთ:

2013 წელს დააკავეს რამდენიმე პოლიციელი. საქმე შს მაშინდელი მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრისთვის, თამაზ თამაზაშვილისთვის ნაციონალების ხელისუფლების დროს იარაღის ჩადების ფაქტს უკავშირდებოდა. ცოტა ხანში ყველა დაკავებულ პოლიციელს აღმკვეთ ღონისძიებად გირაო (მინიმალური თანხით. – მ.ნ.) შეეფარდა. მაშინ ერთ-ერთი მათგანის, გოჩა ბაღათრიშვილის ადვოკატი გახლდათ ირმა ჭკადუა და ამ რანგში მას „პრაიმტაიმისთვისაც“ აქვს ინტერვიუ მიცემული... იგივე საქმეში, სადაც ჭკადუა ბრალდებულების სასარგებლოდ იბრძოდა, ფიგურირებს პოლიციის გამომძიებელი გრიგოლ კვინიკაძე, რომელიც 2014 წელს ისევ ბრალდებულის სახით გამოჩნდა კორტების საქმეში, თუმცა ირმა ჭკადუა მაშინ არ აქტიურობდა, როგორც ვაზაგაშვილის ადვოკატი, და შესაბამისად, არც პრესას გასჩენია რამე კითხვა...

2015 წლის 20 იანვრის შემდეგ საქართველომ შეიტყო, რომ ქალბატონი ირმა არათუ მხოლოდ კორტების საქმეში იყო ვაზაგაშვილების მხარის ადვოკატი 2006 წელს, არამედ კვლავაც ამ ოჯახის ინტერესებს წარმოადგენდა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგაც. რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს, ან კითხვას არ ექნებოდა საფუძველი, რომ არა, ერთი შეხედვით, მცირე გაუგებრობა – რამდენიმე დღის წინ „კვირის“ პრესკლუბში პრესკონფერენციას მართავს ირმა ჭკადუა და აცხადებს, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი საეჭვო დეენემის იდენტიფიცირება არ მომხდარა, როცა ზუსტად ერთი საათის შემდეგ „რეპორტიორში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, ასევე, ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი და დამოუკიდებელი ექსპერტი ზაზა ალთუნაშვილი საზოგადოებას არწმუნებენ, რომ იდენტიფიცირება მომხდარია და გამოძიებისთვის უკვე ცნობილია, ვისია მეორე საეჭვო დეენემი. იგივეს ადასტურებს საგამოძიებო ორგანო...

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ დაზარალებულ ციალა შანავას (გარდაცვლილ იური ვაზაგაშვილის მეუღლე. – მ.ნ.) და მის ადვოკატებს მასალების გაცნობის უფლება თავიდანვე მისცა, ეჭვი ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ ორ ადვოკატს შორის (ორს ვამბობთ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ, რომ გაგი მოსიაშვილი და მერაბ ჩიქოვანი ერთ საადვოკატო ფირმას წარმოადგენენ. – მ.ნ.) ერთ-ერთს არ აქვს წვდომა ამ მასალებზე და, შესაბამისად, განცხადებები ჰაერზე კეთდება.

ციალა შანავა

ციალა შანავა: „ირმა ჭკადუა არ არის ჩემი ადვოკატი. არ აქვს ორდერი, არც საქმის მასალები. მე არ ვიცი, რა ხდება!“

„პრაიმტაიმი“ ამ ეჭვს გაჰყვა და სწორედ აქ მოიხაზა რესპონდენტთა წრე, რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით. პირველად კითხვით გაგი მოსიაშვილს მივმართეთ:

– მეც და ბატონი მერაბ ჩიქოვანიც ჩვენს კოლეგასთან, ქალბატონ ირმა ჭკადუასთან კოორდინაციის რეჟიმში, რა თქმა უნდა, ვართ. თუმცა, რაკი მე და ბატონი მერაბი ერთ ოფისში ვმუშაობთ, ერთმანეთთან მეტი კომუნიკაცია გვაქვს.

– თუ ირმა ჭკადუასთან ერთად კოორდინებულად მუშაობთ, მაშინ რატომ მოხდა საკვანძო საკითხზე ასეთი უხეში აცდენა?

– გიდასტურებთ, რომ დეენემის მეორე კვალზე იდენტიფიკაცია მომხდარია და პირი გამოძიებისთვის ცნობილია, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მის ვინაობას ვერ გავასაჯაროებთ.

– თუ პირის იდენტიფიცირება მომხდარია, რას ელოდებიან, ბრალს რატომ არ უყენებენ?

– არსებობს გარკვეული საპროცესო სტანდარტი იმისთვის, რომ პირი პასუხისგებაში მიეცეს.

გაგი მოსიაშვილი

„გიდასტურებთ, რომ დეენემის მეორე კვალზე იდენტიფიკაცია მომხდარია და პირი გამოძიებისთვის ცნობილია“

გამოძიება სწორედ ამ მიმართულებით არის დაკავებული...

– რატომღაც ამ გამოძიებისთვის ეს სტანდარტი არ ყოფილა დაცული სოსანაშვილის შემთხვევაში. მას მაშინვე წარუდგინეს ბრალი, როცა ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიაზე აღმოჩენილი დეენემის იდენტიფიკაცია მოხდა...

– სოსანაშვილის დეენემი ამოვიდა დანაშაულის იარაღზე... რაც შეეხება მეორე დეენემს, ის აღმოჩენილი იყო შემთხვევის ადგილზე, საფლავის ფილაზე. ამდენად პირის იდენტიფიკაცია ამ შემთხვევაში საკმარისი ვერ იქნება ბრალის წარსადგენად.

– რასაც თქვენ ამბობთ, ეს ინფორმაცია ირმა ჭკადუას არ აქვს? თქვენ ხომ ორივე ვაზაგაშვილების ოჯახის ინტერესებს წარმოადგენთ?

– გარკვეული თანამშრომლობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვაქვს, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც პრესკონფერენცია ჩატარდა, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა და ამან გამოიწვია ეს გაუგებრობა.

– არა მარტო ინფორმაციის ურთიერთსაპირისპიროდ განხილვამ, არამედ ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა ადგილზე ჩატარებულმა პრესკონფერენციებმაც გააჩინა გარკვეული კითხვები... ყველაფერი ერთდროულად დაემთხვა?

– ამას არ დავარქმევდი არც დამთხვევას და არც მიზანმიმართულ ქმედებას. რატომ გაავრცელა ქალბატონმა ირმამ ინფორმაცია იმ სახით, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ... ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ეს ინტერვიუ ჟურნალისტს ძირითად კითხვაზე პასუხის მიღებას კიდევ უფრო მეტად მოანდომებდა და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი შემდეგი ადრესატი ქალბატონი ირმა გახდა. თუმცა ერთ-ერთი ჟურნალისტური ხრიკის გამოყენებით კითხვის დასმა ბოლოდან დავიწყეთ:

– თუ შეიძლება, სამართლებრივად შეგვიფასეთ, რამდენად ეთიკურად, ან ინტერესთა კონფლიქტის მიღმა იქცევა ადვოკატი, რომელიც ერთ საქმეში იცავს პირს, რომლის თანამო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲐᲝᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲭᲝᲜᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

ნაწილეც მეორე საქმეში მისი მეორე მხარეა (ვგულისხმობთ სტატიის დასაწყისში მოხსენიებულ გრიგოლ კვინიკაძეს, რომელიც ამჟამად საფრანგეთშია გაქცეული)?..

– გარემოებები უნდა ვიცოდე, ისე ვერ გიპასუხებთ...

– თქვენ იყავით გოჩა ბაღათრიშვილის ადვოკატი, რომლის დანაშაულში თანამონაწილედ გრიგოლ კვინიკაძეც გადიოდა. ამავდროულად ბრძანდებოდით იური ვაზაგაშვილის ადვოკატიც კორტების საქმეზე, სადაც ერთ-ერთ ბრალდებულად გრიგოლ კვინიკაძე ცნეს...

– როცა ბაღათრიშვილს ვიცავდი, მაშინ კვინიკაძე ვაზაგაშვილის საქმეში ბრალდებული არ იყო. მეტიც, ამ მიმართულებით ამ საქმეზე გამოძიებაც არ მიდიოდა. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, კვინიკაძის წინააღმდეგ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ბაღათრიშვილს ჩვენება არ მიუცია. ამდენად, რომელ ინტერესთა კონფლიქტზეა საუბარი...

– იური ვაზაგაშვილს იმ ეტაპზე კითხვები არ ჰქონია კვინიკაძის მისამართით?

– პირიქით, კვინიკაძემ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიაწოდა მაშინ ბატონ იური ვაზაგაშვილს.

– ჟურნალისტები ეჭვიანი ხალხი ვართ, შესაბამისად, როდესაც თქვენ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე თქვენი კოლეგებისგან რადიკალურად განსხვავებული განცხადება გააკეთეთ, რომ უცნობია, ვისია ყარაფილის სასაფლაოზე აღმოჩენილი მეორე დეენემი, თანაც ერთი საათით დაასწარით მათ პრესკონფერენციას სულ სხვა პრესკლუბში, მაშინვე ეს საქმე გაგვახსენდა და ეჭვიც, დაგვეთანხმეთ, ლოგიკურად გაჩნდა...

– ეს იყო დამთხვევა. 10 დღის განმავლობაში მირეკავდნენ იმ

„გარკვეული თანამშრომლობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვაქვს, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც პრესკონფერენცია ჩატარდა, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა და ამან გამოიწვია ეს გაუგებრობა“

პრესკლუბიდან, რომ მივსულიყავი. თავშივე ვუთხარი, რომ ახალს ვერაფერს ვიტყოდი. რაც შეეხება განსხვავებულ განცხადებებს, განსხვავება მხოლოდ სიტყვებშია და არა შინაარსში. იქ არა ორი, არამედ რამდენიმე დეენემი ამოვიდა. ყველას პატრონი დაკითხულია და იდენტიფიცირებულია. მათთან გამოძიებას კითხვები არ აქვს, რადგან ისინი არიან ექსპერტები, რომლებიც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობდნენ. დარჩენილია მხოლოდ ერთი საეჭვო დეენემის პროფილი, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული. სხვა მხრივ, ჩვენ, ადვოკატები, რა თქმა უნდა, კოორდინებულად ვმუშაობთ. შესაძლოა, ერთდროულად ვერ მივდივართ პროკურატურაში, მაგრამ აუცილებლად ვუზიარებთ ერთმანეთს მოსაზრებებს.

მართალია, ქალბატონი ირმა განცხადებებში სხვაობას ვერ ხედავს, მაგრამ არის თუ არა სხვაობა, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია...

საბოლოოდ, „პრაიმტაიმმა“ შეკითხვით ქალბატონ ციალა შანავას (იური ვაზაგაშვილის მეუღლეს) მიმართა:

– ჩემი ადვოკატები არიან მერაბ ჩიქოვანი და გაგი მოსიაშვილი. ირმა ჭკადუა უწინ იყო ჩვენი ადვოკატი, მაგრამ დღეს ის ჩვენი ადვოკატი არ არის. არც საქმის მასალებს არ არის გაცნობილი.

– ორდერი აქვს ირმა ჭკადუას ამ საქმეზე?

– არ აქვს ორდერი, არც საქმის მასალები და მე არ ვიცი, რა ხდება.

– მაშინ როგორ მართავს პრესკონფერენციას თქვენი სახელით და აკეთებს კომენტარებს, როგორც ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი?

– ნამდვილად არ შემიძლია ამის თქმა, რადგან მე არც შევხვედრივარ და არც მისაუბრია. არც დაურეკავს. არც ის ვიცოდი, პრესკონფერენციას რომ მართავდა.

– თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ ორი წლის წინათ ირმა ჭკადუა იცავდა ბაღათრიშვილს, რომელ საქმეშიც ბრალდებული იყო გრიგოლ კვინიკაძეც?

– რა თქმა უნდა, საქმის კურსში ვარ... შეიძლება, ეს ყველაფერი ერთმანეთთან იყოს კავშირში... არ ვიცი... მაგრამ ეს იცოდა ჩემმა მეუღლემ... მე დღეს არავის ვენდობი, ისეთი რაღაცები გადამხდა...

– დაბოლოს, ბოლოს და ბოლოს, თქვენთვის ცნობილია, იმ საეჭვო დეენემის იდენტიფიკაცია მოხდა თუ არა?

– მეორე დეენემი ქალის არის...

ამის შემდეგ ქალბატონმა ციალამ დაგვიკონკრეტა ისიც, ვინ არის ეს ქალბატონი, თუმცა „პრაიმტაიმი“, თავის მხრივ, თავს იკავებს ამის საჯაროდ გამოქვეყნებისგან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს არის საიდუმლო ინფორმაცია გამოძიებისთვის, რომელიც ქალბატონ ციალას ჩვენთან საუბარში, შესაძლოა, ემოციურად წამოსცდა.

„ᲤᲝᲜᲓᲛᲐ ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲛᲐ“ 166 ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ

12 მარტს, სასტუმრო Holiday Inn--ში „ფონდმა ნატახტარმა“ საზოგადოებას პროექტის „იზრუნე მომავალზე“ მეოთხე ტალღის ანგარიში წარუდგინა. პროექტის ფარგლებში 161 313 ლარის შეგროვება მოხერხდა. მეოთხე ფაზა წელსაც, ტრადიციულად - 25 თებერვალს დასრულდა ამ თანხით 169 ბენეფიციარი ისარგებლებს.

პროექტის მეოთხე ტალღის ანგარიში საზოგადოებას „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა და ასოციაცია, „ჩვენი სახლი – საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა - მანანა ომარაშვილმა წარუდგინეს.

ღონისძიებაზე 2014 წლის შედეგებიც გამოცხადდა და აღინიშნა, რომ წლის განმავლობაში 166 ბენეფიციარს გაეწია მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით. მათგან 10 უკვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია, 61 - დასაქმებული, 56 - კოლეჯის მოსწავლე, ხელობა შეისწავლა და სტაჟირება გაიარა 41-მა ბენეფიციარმა და ა.შ.

საქართველოს მასშტაბით უკვე 30 მცირე საოჯახო ტიპის სახლია, მათ შორის თბილისში - წალენჯიხაში, დუშეთში, ზუგდიდში, რუსთავში და ა.შ. 10 ფსიქოლოგი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, როგორიცაა მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაცია, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, სასკოლო საგნებში მომზადება, სხვადასხვა ხელობის სწავლება, მოტივაციის ამაღლება და ა.შ. ფონდმა მოახერხა შშმ პირების სწავლება და დასაქმება, აგრეთვე მოსახლეობის ჩართვა ქველმოქმედებაში.

შემოსულ თანხას საკოორდინაციო საბჭო მართავს, რომელიც 13 ადამიანისგან შედგება. საბჭო თვეში ერთხელ იკრიბება და განიხილავს გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებს.

,,სამწუხაროდ, თანხა მაინც არ არის იმდენი, რომ ყველა ბენეფიციარის საჭიროებას გასწვდეს. ამიტომ ჩვენ, სხვა ორგანიზაციებთანაც ვთანამშრომლობთ. ძალიან დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, იმისთვის, რომ ამ საქმეს ასეთი ენთუზიაზმით აკეთებენ“, - განაცხადა მანანა ომარაშვილმა.

ანგარიშის წარდგენას აგრეთვე მოზარდებთან მომუშავე ფსიქოლოგებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც რამდენიმე მოზარდის უკეთესობისაკენ შეცვლილი ცხოვრების მაგალითი მოიყვანეს ფონდის წარმატებული მუშაობის დასტურად.

„ფონდი ნატახტარი“ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით 2010 წლის ნოემბერში შეიქმნა, მისი საქმიანობა კი - 2011 წლიდან 2015 წლამდე პერიოდს მოიცავს, რომლის ფარგლებშიც 587 657 ლარი შეგროვდა და 246 ბენეფიციარის დახმარება მოხერხდა. თანხის შეგროვების პრინციპი შემდეგნაირია - ყოველი წლის 25 ნოემბრიდან 25 თებერვლამდე „ნატახტარის ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან 1, 3 და 5 თეთრი (ბოთლის მოცულობის შესაბამისად 0,33ლ. 0,5ლ. 1ლ.და 2ლ.) ფონდში ირიცხება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ჩვენ არ გვაქვს სრულყოფილი ეტიკეტი, შესაბამისად, არ ვიცით, რომელი საღებავებისა და რომელი საკვები დანამატების გამოყენება ხდება“

ხათუნა მგალობლიშვილი

მომხმარებელმა მათ „ზებრა პურები“ უწოდა. ეს ხუმრობით, ისე კი ცნობილია რომ „შავ პურს“, როგორც წესი, დიაბეტით დაავადებულები იღებენ, მათი რაციონიდან თეთრი პური საერთოდ ამოღებულია. შესაბამისად, როდესაც დიაბეტის მატარებელი ადამიანი მოტყუებით მიიღებს თეთრ პურს, უბრალოდ მინარევებით, თუნდაც ბალახეულით „გაშავებულ“ პურს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რამხელა რისკის წინაშე დგება თითოეული მათგანი.

Naniko Tabatadze added 2 new photos.
23 hrs

#იფქლი გულმოდგინედ ზრუნავს ჩვენს გაფერადებაზე, კი ვიცოდი რომ ღებავდნენ ესენიც პურს. მაგრამ ჭრელი ეფექტებიც თუ ქონდათ არვიცოდი..
იმედია ლიტვურშიც არ აღმოვაჩენ იფქლის მსგავსად..... ☹



EXCLUSIVE

„საქართველოში არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც შეძლებს პურში საღებავის აღმოჩენას“

სოციალურ ქსელში უკვე ძალიან ბევრჯერ გავრცელდა კონკრეტული ადამიანების მიერ ნაყიდი რუხი პური, რომელსაც ზებრისებურად დაჰყვება თეთრი ზოლები. ეს არის ფაქტები, რომ რუხი პური საქართველოში, როგორც წესი, იღებება. მომხმარებლებმა იმასაც მიაქციეს ყურადღება, რომ შავი პურის მწარმოებელი კომპანიები საკუთარ პიარს, მაგალითად, შემდეგ სლოგანზე აგებენ: „ჩვენ არ ვღებავთ“. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვები ღებავენ?

ამ კონკრეტულ შემთხვევაში შარში კომპანია „იფქლი“ გაეხვია. ინტერნეტში სწორედ მის მიერ წარმოებული „ზებრა პურების“ ფოტომასალა გავრცელდა. თავად კომპანიაში განაცხადეს, რომ „იფქლი“ პურს არ ღებავს და ეს ფაქტი ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვია: „გვინდა გითხრათ, რომ ფოტო, რომელზეც შავ პურში თეთრი ხაზებია ასახული, მარტივად აიხსნება. ქარხნის დიდ დანადგარებში თავდაპირველად თეთრი პურის ცომი გადის და იჭრება ავტომატურად. ამის შემდეგ დანადგარი საგულდაგულოდ ინმინდება და მასში დასამუშავებლად გადის რუხი პურის ცომი. თუმცა, ზოგჯერ საზელი აპარატი, ე.წ. „საგუნდავებელი“, თეთრი ცომის ნაწილს იკრავს და ის რეცხვის დროს აპარატს არ შორდება. შესაძლოა, შავი ცომის ზელის დროს, ცომში ზემოხსენებული თეთრი ცომის ნაწილი მოხვდეს და ცხობის შემდეგ პურში ისეთი „ხაზი“ დატოვოს, როგორიც ეს ფოტოებზეა ასახული. ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია, თუმცა პურის მაწარმოებელ ნებისმიერ ქარხანაში შეიძლება მოხდეს, რადგან პურის საწარმოებლად ერთი დანადგარი გამოიყენება. გარწმუნებთ, რომ ფოტოზე სწორედ ამ იშვიათი შემთხვევის შედეგია ასახული და მას არაფერი აქვს საერთო ცომის შეღებვასთან“.

მადონა კოიძე: „ბევრნაირი მეთოდი არსებობს რუხი პურის გაყალბებისა და მომხმარებლის მოტყუებისა. გააჩნია, რომელი მეთოდის გამოყენება ხდება“

როგორც აღმოჩნდა, მომხმარებელთა ფედერაციას საკმაოდ ხშირად მიმართავენ რუხი პურის შემოწმების მოთხოვნით. ფედერაციის თავმჯდომარის, მადონა კოიძის განცხადებით კი, ეს შეუძლებელია, რადგან საქართველოში შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც რუხ პურში საღებავების არსებობას გამოიკვლევს, არ არსებობს...

მადონა კოიძე, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე:

– სამწუხაროდ, სოციალურ ქსელშიც არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია და მომხმარებლისთვის ისედაც ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში მომხმარებლებს ატყუებენ და რუხი პურის ნაცვლად, მას შეფერადებულ, თეთრი ხორბლისგან დამზადებულ პურს სთავაზობენ. ასეთი ფაქტები, დასურათებული მასალით, არაერთხელ გავრცელდა. იყო ფაქტები, როდესაც მომხმარებელმა იყიდა რუხი პური, რომელშიც კარგად არ იყო გადანაწილებული საღებავი.

– შემოწმება შესაძლებელია? საქართველოში არსებობს შესაბამისი ლაბორატორია?

– სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში რუხი პურის შემოწმება შეუძლებელია, რადგან არ არსებობს შესაბამისი ლაბორატორია. დღეს ძალიან ბევრი სახეობის საღებავი არსებობს, რომელსაც პურის შესაღებად გამოიყენებენ, ამიტომ, როდესაც საუბარია შემოწმებაზე, პირველ რიგში, ზუსტად უნდა იცოდე, რაზე ამოწმებ, გარკვეული ინფორმაციაც რომ გვქონდეს, შემოწმება საქართველოში მაინც შეუძლებელია. შემოწმების ერთადერთი მცდელობა საზღვარგარეთ გადაგზავნაა, ფედერაციას ნამდვილად ჰქონდა ასეთი მცდელობა

– როგორი შედეგი მიიღეთ?

– რომ ვთქვა, საქართველოში საერთოდ არ არსებობს ნამდვილი ჭვავის პური, არასწორი იქნება, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით არის და კომპანიამ, რომელიც ასპროცენტიანი ჭვავის ფქვილისგან ამზადებდა რუხ პურს, სამწუხაროდ, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან მისი პროდუქტის ფასი ჩვეულებრივი პურის ფასს აღემატებოდა. ბუნებრივია, დღეს ბაზარზე არსებული პროდუქტიდან ყველაზე ვერ ვიტყვით, რომ უვარგისია. რა თქმა უნდა, არსებობს მცირე რაოდენობით რუხი პური, ასევე, არსებობს ნაზავი, სადაც გამოიყენება როგორც ჭვავის, ასევე თეთრი ფქვილი. ასეთ დროს მთავარია, შესაბამისობაში მოდიოდეს ეტიკეტზე მინიშნება შემადგენლობის შესახებ, რომ მომხმარებელმა შეძლოს მისთვის საჭირო არჩევანის გაკეთება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში იყოს ლაბორატორია, რომელიც მსგავსი კვლევების წარმოებას შეძლებს და სახელმწიფო სტრუქტურასა თუ არასამთავრობო სექტორს მიეცეს შესაძლებლობა, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, შეძლოს კონკრეტული პროდუქტების შემოწმება, ამ შემთხვევაში რუხი პურის.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის საღებავი, რომლის მეშვეობითაც ხდება რუხი პურის შეფერადება. რამდენად საშიშია ეს საღებავები ჯანმრთელობისთვის?

– საღებავი არსებობს ძალიან ბევრნაირი, ასევე ბევრნაირი მეთოდი არსებობს რუხი პურის გაყალბებისა და მომხმარებლის მოტყუებისა. გააჩნია, რომელი მეთოდის გამოყენება ხდება. თუკი არის, ვთქვათ, უვნებელი საკვები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, ეს, როგორც წესი, თანდართულია ხოლმე ეტიკეტზე. მომხმარებელმა ამის შესახებ უნდა იცოდეს, ხოლო თუ ხდება ისეთი საღებავის გამოყენება, რომელიც მავნებელია მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის, ამ შემთხვევაში აღნიშნული პური მომხმარებლისთვის სახიფათოც იქნება. ჩვენ არ გვაქვს სრულყოფილი ეტიკეტი, შესაბამისად, არ ვიცით, რომელი საღებავებისა და რომელი საკვები დანამატების გამოყენება ხდება. სწორედ ამიტომ ირღვევა მომხმარებლის უფლება, მისი უფლებების დაცვა კი შეუძლებელია, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც პურში საღებავის აღმოჩენას შეძლებს.

– რაც შეეხება ეტიკეტს, მას ხომ კანონი არეგულირებს?

– კანონში პირდაპირ არის გაწერილი, როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ეტიკეტი და რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს მომხმარებელს. ყველა საკვები დანამატი, ყველა ინგრედიენტი უნდა იყოს გაწერილი ეტიკეტზე, ყველა პირობა, რომლის დაცვაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროდუქტმა ხარისხი შეინარჩუნოს, უნდა იყოს ეტიკეტზე მითითებული და ასევე, სავალდებულოა, ვის მიერ, სად არის დამზადებული პროდუქტი, რომ მომხმარებელმა პრეტენზიის შემთხვევაში დაკავშირება შეძლოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს რკინიგზამ“ 100-მილიონიანი ჩინური ინვესტიცია დაბლოკა

EXCLUSIVE

საქართველოს რკინიგზა GEORGIAN RAILWAY

ხათუნა მგალობლიშვილი

„საქართველოს რკინიგზა“ კორუფციულ სკანდალში ეხვევა. უწყების ხელმძღვანელობამ 100-მილიონიანი ჩინური ინვესტიცია დაბლოკა და სანაცვლოდ რუსული კომპანია შემოჰყავს - ასეთია ეჭვები. ბიზნესმენ ავთანდილ საყვარელიძის განცხადებით, ადგილი აქვს ქვეყნის განვითარების წინააღმდეგ მიზანმიმართულ საბოტაჟს, რომელშიც მთავარ როლს რკინიგზაში ეზუგბაიას ხელმძღვანელობის დროს მისული თანამშრომლები და უწყების მოქმედი ხელმძღვანელობა ერთობლივად არის ჩართული.

ჩინური კომპანიის შეთავაზება, რომლის პირობებითაც ავთანდილ საყვარელიძემ რკინიგზის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება სცადა, ჩავარდა. შემთავაზებლისთვის უარის ოფიციალური მიზეზი არავის აუხსნია, პირად საუბრებში კი, როგორც საყვარელიძე აცხადებს, რკინიგზის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მათი მთავარი ინტერესი ფულადი მოგება უფროა, ვიდრე ხარისხიანი ელმავლის შეძენა. სწორედ ამიტომ შპს „ა.ს.ჯგუფი1990“-ის დირექტორს ეჭვი აქვს, რომ რკინიგზამ ტენდერი ექსკლუზიურად რუსული კომპანიისთვის გამოაცხადა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის დეტალიც, რომ სატენდერო პირობები მხოლოდ რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სხვა საერთაშორისო კომპანიები, უბრალოდ, ვერც კი წაიკითხავდნენ...

ავთანდილ საყვარელიძე, შპს „ა.ს.ჯგუფი1990“-ის დირექტორი:

– რკინიგზა ბევრად მეტს იხდის გაცილებით დაბალი ხარისხის პროდუქციაში, მაშინ როდესაც ჩვენ ვთავაზობთ გაცილებით ნაკლები თანხის გადახდას ბევრად უკეთესი პროდუქტის შესაძენად. ამის მიზეზი არის მიზანმიმართული საბოტაჟი, კორუფცია, არაპროფესიონალიზმი, თუ კიდევ უფრო მძიმე რამ, ეს ჩვენ უკვე აღარ ვიცით. ჩვენ, ქართულმა კომპანიამ, წარმოვადინეთ ჩინელი მწარმოებელი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ლიდერია, ვგულისხმობ კორპორაცია „სიესეს-სიერენის“. მათ ყველაზე მაღალი ხარისხის პროფილის პროდუქტი აქვთ და რაც მთავარია, ყველაზე კარგი ფასი. მათ აქვთ უზარმაზარი საინვესტიციო პროგრამა საქართველოში ინვესტიციების ჩადების და ახალი საწარმოს შექმნის თაობაზე.

– რკინიგზა სრულად ფლობს ამ ინფორმაციას?

– რა თქმა უნდა და მიუხედავად ამისა, მათ ჩვენი შეთავაზება არც კი განიხილეს. ისინი პირდაპირ გადავიდნენ იმ მომწოდებელზე, რომლისთვისაც გამოცხადდა აღნიშნული ტენდერი.

– რა კომპანიაა?

– ის არის რუსული კომპანია „ურალის ლოკომოტივების ქარხანა“, მან გამარჯვება უკანონოდ მოიპოვა, რადგან ტენდერის პირობები სპეციალურად იყო მორგებული აღნიშნულ კომპანიაზე.

– კონკრეტული მაგალითი რომ მოგვიყვანოთ...

– ტენდერის გამოცხადებამდე, რკინიგზაში მომუშავე წინა ხელისუფლების წარმომადგენელმა გადაწყვიტა, საკუთარი კეთილდღეობისა და გამორჩენის მიზნით ჩაეტარებინათ ტენდერი. მათ თანხა გადაუხადეს რუსულ კომპანიას რუსული ელმავლების აღსაწერად, რათა შემდგომ ამ მონაცემების მიხედვით აეწყოთ სატენდერო წინადადება. დღეს გაცილებით მაღალი ხარისხისა და კლასიფიკაციის ელმავლის მოთხოვნაა ბაზარზე, ვიდრე რუსული კომპანიები აწარმოებენ. რუსულ კომპანიას პრობლემა რომ არ შეჰქმნოდა ტენდერში, „საქართველოს რკინიგზამ“ სპეციალურად მისთვის სიმძლავრის შეზღუდვა დააწესა. მარტივად რომ ავხსნა, თქვათ, თქვენ გინდათ მძლავრი ძრავის ავტომობილი, მწარმოებელი გთავაზობთ ზუსტად ისეთ ავტომობილს და თქვენ ეუბნებით, გადავიხდი ზუსტად იმდენ თანხას, ოღონდ მძლავრი ძრავი შემიცვალეთ სუსტით. ეს ხომ ალოგიკურია? ანუ შეზღუდვა დააწესეს და ჩაწერეს, რომ ელმავლის ძრავი უნდა იყოს არაუმეტეს 9200 კილოვატის, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ამაზე მძლავრ ელმავლის ძრავს რუსული კომპანია ვერ აკეთებს. მაშინ როდესაც ჩინური კომპანია ბევრად ნაკლებ თანხაში 9600 სიმძლავრის მქონე ძრავის ელმავალს ამზადებს.

– თანხაში როგორი სხვაობა იყო?

– სატენდერო ფასში სხვაობა არის 210 ათასი ლარი, ანუ ჩვენ 210 ათასი ლარით ნაკლების გადახდას ვთავაზობდით გაცილებით მაღალი ხარისხის პროდუქტში, ტექნიკური მონაცემების შედარება შეუძლებელიც კი არის, ისეთი მაღალი დონის ნაკეთობაა ჩინური ლოკომოტივი. ერთს ვიტყვი, რომ არ არსებობს ფაქტი, ჩინური ლოკომოტივი სადმე გაფუჭებულიყოს, ან მწყობრიდან გამოსულიყოს. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მასშტაბით, რუსეთის გარდა, ყველგან გამოყენებულია სწორედ ჩინური ტექნიკა. ახლა კი რუსეთს საქართველოც მიემატება.

– თქვენ ტენდერში ჩართვის საშუალება არ მოგეცათ?

– ტენდერში განაცხადი გავაკეთეთ, დავაფიქსირეთ უკეთესი ფასი, უკეთესი პირობები, უკეთესი ხარისხის პროდუქტი, მაგრამ სატენდერო კომისიამ გამოგვიცხადა, რომ მათ აქვთ ტენდერების მართვის შიდა წესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ფორმალური მიზეზი შეუძლიათ გამოიყენონ იმისთვის, რომ შეთავაზებული წინადადება არ განიხილონ.

– ისე, რომ არც ახსნიან, რა გახდა წინადადების ჩაგდების მიზეზი?

– დიახ, ეს მათთვის ყველაზე მარტივი ფორმაა სამართლებრივად, რადგან დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ისინი ვალდებულები არიან, უარის არგუმენტაცია მოახდინონ. ამ შემთხვევაში კი ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე ხდება უარის თქმა.

– ანუ მიზეზი არ დაუსახელებიათ?

– გვითხრეს, რომ ჩვენ დაზღვევის გარანტიის ასლი არ ავტვირთეთ სისტემაში, თუმცა აღნიშნული გარანტიის დედანი, შეთავაზებასთან ერთად, წარვადგინეთ. ისინი აღიარებენ, რომ ჩვენ დაზღვევა გვაქვს და იმასაც აღიარებენ, რომ დედანი წარდგენილი გვაქვს. როდესაც ვიკითხე, მაშინ რა არის წინადადების ჩაგდების მიზეზი, გვიპასუხეს, რადგან სისტემაში არ ატვირთეთ გარანტია, უფლება გვაქვს, ჩავაგდოთ თქვენი წინადადებაო.

– ვის ინტერესს ხედავთ რუსული კომპანიის შემოყვანის უკან?

– მე ყველას ვხედავ, სატენდერო კომისია არ არის უწყებიდან ამოგლეჯილი სტრუქტურა, რა თქმა უნდა ისინი, თავის მხრივ, ხელმძღვანელობასთან გადიან კონსულტაციებს, როგორ უნდა იმოქმედონ, როგორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. თუმცა მთავარი აქ ის არის, რომ რკინიგზის ინტერესები ზარალდება. გარდა იმისა, რომ უფრო მეტი თანხის გადახდა უწევთ რუსული კომპანიისთვის, შედეგად უხარისხო პროდუქტს მიიღებენ, ან დიდი შანსია, რომ ეს პროდუქტი საერთოდ ვერ მიიღონ...

– რატომ?

– ელმავალი გახლავთ ორმაგი დანიშნულების პროდუქტი, ანუ სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების. შესაბამისად, როდესაც ქვეყანასთან არ გაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მსგავსი პროდუქციით ვაჭრობა აკრძალულია, ანუ შესაძლოა, პროდუქტის ექსპორტი საერთოდ ვერ მოხდეს რუსეთიდან იურიდიული ბარიერის გამო. რკინიგზას ბაზარზე შემოჰყავს რუსულ კომპანია, რომელსაც არ აქვს ორმაგი დანიშნულების ელმავლის გაყიდვის უფლება. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ, სასამართლოს მივმართოთ და მიღებული ზიანის ანაზღაურება მოვითხოვოთ.

– რა ოდენობის შეიძლება იყოს ეს ზიანი, ანუ რა ოდენობის თანხას მოითხოვთ?

– მიღებული ზიანი ნიშნავს მიუღებელ მოგებას, რომელსაც დავითვლით და აუცილებლად მოვითხოვთ.

– რამდენი შეიძლება იყოს ეს ზიანი?

– დაახლოებით მილიონ ლარამდე იქნება მინიმუმ, მოპასუხე მხარე, რა თქმა უნდა, რკინიგზა იქნება და თეორიულად ჩვენ მოვიგებთ კიდეც ამ საქმეს. სასამართლოში დავის შემდეგ სახელმწიფო 1-მილიონიან ზარალს მიიღებს. ქვეყნის განვითარების წინააღმდეგ სისტემური ბრძოლა მიმდინარეობს „საბოტაჟნიკების“ მხრიდან.

– ვინ არიან ეს „საბოტაჟნიკები“?

– კრინიგზაში ესენი არიან ეზუგბაიას მოყვანილი კადრები და მისი ახლობლები, ოჯახის წევრები, რომლებიც დღემდე მუშაობენ იქ. ზუსტად ვიცი, რომ ეს ადამიანები მართავენ და იღებენ ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს. რა თქმა უნდა, რკინიგზის ხელმძღვანელობაც საქმის კურსშია, ისინი ერთობლივად მოქმედებენ.

– კონკრეტული გვარები შეგიძლიათ გვითხრათ?

– მაგალითად, შესყიდვების სააგენტოს უფროსი, თამარ გურგენიძე... ზოგადად, პრობლემა არის შესყიდვების კანონში, შესყიდვების კანონი საქართველოში აბსურდულია, მხოლოდ შემსყიდველს აქვს ყველანაირი უფლება, მიმწოდებელს არ აქვს არანაირი უფლება. მართალია, არის სასამართლო, თუმცა ამ გზის არჩევის შემთხვევაში პროცესი მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში იწელება, ამ პერიოდში კი ტენდერიც დასრულდება, გადაწყვეტილებაც მიიღება და, ბოლოს და ბოლოს, ინვესტორსაც მოსწყინდება ლოდინი. ერთი მხრივ, ქვეყნის მთავრობა ხელს აწერს ჩინური ინვესტიციების მოზიდვის შეთანხმებას, ამ დროს კი უკვე მეორე ფაქტი ფიქსირდება, როდესაც ჩინური მრავალმილიონიანი ინვესტიციები ადგილობრივი დარგის წარმომადგენლების მიერ იბლოკება.

– პირველ ფაქტში რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ ეგრეთწოდებულ ავტობუსების საკითხს, უზარმაზარი ინვესტიციების ჩადება იგეგმებოდა, უნდა აშენებულიყო ავტობუსების ქარხანა, თუმცა მერიის წინა შემადგენლობამ ყველაფერი გააკეთა, რომ პროექტი ჩაშლილიყო და ქარხანა თბილისში არ აშენებულიყო. ასეთ დროს ინვესტიციის ჩამდებს, ამ შემთხვევაში ჩინურ მხარეს, ძალიან ბევრი კითხვა უჩნდება, რომელსაც პასუხს არავინ სცემს.

– რა რაოდენობის თანხის ჩადება იგეგმებოდა?

– ჩინელი ინვესტორები 54 მილიონი ლარის ჩადებას აპირებდნენ ავტობუსების ქარხნის ასაშენებლად, ხოლო რკინიგზის შემთხვევაში 100-მილიონიანი ინვესტიცია იყო განსაზღვრული, ორივე შემთხვევაში მოხდა ინვესტიციის დაბლოკვა.

– ახალი მერის არჩევის შემდეგ საკითხი ხელახლა არ დააყენეთ?

– როდესაც ნარმანია გახდა მერი, ჩვენ პროექტის პრეზენტაცია მოვაწყვეთ მერიაშიც, საკრებულოშიც, მაშინ მარგიშვილი ხელმძღვანელობდა აღნიშნულ დარგს. ყველა საკითხი, რომელიც მაშინ საკრებულოს ეხებოდა, ოპერატიულად გადაწყდა, ხოლო მერიამ საქმე არც კი დაძრა. მერიის პოზიცია აბსოლუტურად გაუგებარია, ახლაც უგულავა ხომ არ არის პრობლემა? ჩვენსა და მერიას შორის დავაც იყო, ჩვენ მოვიგეთ სასამართლო, მათი დაეკისრათ ტენდერის დასრულება, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ ზეწოლა მაინც შენყვიტეს.

„საქართველოს რკინიგზა“ აღნიშნულ ბრალდებებს არ აღიარებს, კომენტარის გაკეთებაზე კი უარს აცხადებს. ავთანდილ საყვარელიძის განცხადებით, საქმე აუცილებლად წავა სასამართლოში, იმ შემთხვევაში კი, თუკი დამტკიცდება, რომ გამოცხადებულ ტენდერს შპს „ა.ს.ჯგუფი1990“ უსამართლოდ გამოაკლდა, ხელისუფლებას რკინიგზის შეცდომის გამო კომპანიის სასარგებლოდ მილიონი ლარის გადახდა მოუწევს.

რკინიგზის კორუფციული გარიგების გამო სახელმწიფოს შესაძლოა, მილიონი ლარის გადახდა დაეკისროს

„სასამართლოში დავის შემდეგ სახელმწიფო ერთმილიონიან ზარალს მიიღებს“

ავთანდილ საყვარელიძე: „მიღებული ზიანი ნიშნავს მიუღებელ მოგებას, რომელსაც დავითვლით და აუცილებლად მოვითხოვთ... დაახლოებით მილიონ ლარამდე იქნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ აღმოაჩინა გოდერძი

my View
თამარ გონგაძე

მომღერალი გოდერძი შარაშია რუსა მორჩილაძის აღმოჩენაა. „იმედის“ ჟურნალისტის მონაცემები კომპოზიტორმა ძალიან შემთხვევით აღმოაჩინა. „იმედის გმირებში“ ყველა გმირის წარმდგენს რაღაც ნომერი უნდა ჰქონოდა. ინგა გრიგოლიას შესთავაზეს, რომ ემღერა. გოდერძიმ არხის მუსიკალურ პროდიუსერს რუსა მორჩილაძეს დაურეკა, ინგა სიმღერაზე დავითანხმეთ და სიმღერა შეურჩიეო. „ბუფეტში ვსხედვართ, მე, ინგა და რუსა. რა ვამღეროთო, იკითხა რუსამ. მარტივი ტექსტით და თან კლასიკა რომ იყოსმეთქი, ვუთხარი. მაგალითად, გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“-მეთქი და წავიმღერე. აბა, მიდი კიდე გააგრძელეო. მეც გავაგრძელე, გრიგოლიასთვის ვჩალიჩობდი. მოვილაპარაკეთ, ინგას ეს სიმღერა დაუმტკიცდა. წავიდნენ თუ არა, რუსა 15 წუთში მირეკავს, შენ ჩემთან უნდა მოხვიდეო. მე მასთან ოთახში მისასვლელად გავემზადე. სად-მეთქი და „ორ ვარსკვლავშიო“.

ასე აღმოჩნდა გოდერძი შარაშია პროექტში. რუსა მორჩილაძემ მოსაფიქრებლად სამი დღე მისცა და გადარეკვის დროც დაუთქვა. გოდერძი სახლში მეუღლეს დაეკითხა, შვილის აზრი გაიგო, ახალი გამოწვევა მეგობრებს გაანდო. „მიდი, რა მაგარიაო, მივიღე პასუხი. ამ ფონზე ვთქვი - არა-მეთქი! დათქმულ დროს წუთები რომ გადასცდა და არ დამირეკა, გადავრჩი-მეთქი, ვიფიქრე. მირეკავს - სადა ხარ? ოთახში ვზივარ-მეთქი და რუსამაც კარი შემოაღო. ხმა შეიმოწმა და ჩაწერილი ხარ, კარგად ბრძანდებოდეთო. თავის აღმოჩენად მიმიჩნევს, აქამდე სად იყავიო. ვეუბნები, შორიდან მკაცრი მეგონე-მეთქი. დამირეკა - შენ გამღერებ ელენა ფოჩხუასთანო. ამოვისუნთქე. თორემ იმ წამიდან, როცა მივხვდი სად

გავყავი თავი, დეპრესია დამეწყო. ბენდთან ცოცხლად იმღერო სცენაზე ეს ძალიან დიდი გამოწვევაა. სცენაზე არასდროს ვმდგარვარ. ელენას გულშემატკივარი ვიყავი, მესიჯები გამიგზავნია. გემრიელი, ჰარმონიული ხმა აქვს.

გაგონილი მქონდა კონკურსებზე ჭამენ ერთმანეთსო. გაგონება არ მინდოდა. აქ ისეთ ხალხში მოვხვდი, გულებს ვუხატავთ ერთმანეთს, ფოტოებს ვუღებთ და კომპლიმენტებს ვეუბნებით. სულ ვკითხულობ, სად არის „ის“ დაპირისპირება-მეთქი? მე არც მანქანის მოგება მინდა ამ პროექტში. ტარებაც არ ვიცი. ტაქსით და მარშრუტკით დავდივარ, ხალხთან ერთად მგზავრობა მსიამოვნებს. ჩემი ამ პროექტში მონაწილეობა მეგობრებს სიამოვნებთ და ერთი ამბავია „ფეისბუქში“. კვირის განმავლობაში ერთადერთხელ ვწერ სტატუსად ჩემს ნომერს. არ ვწერ დამიმესიჯეთ-მეთქი. მეუღლე მეუბნება, მე რომ ამდენ მეგობარს ვთხოვ, შენც დაწერე ერთხელო და მერიდება. ქვეყანაში, სადაც ძალიან ბევრ მშიერ ბავშვს სძინავს, ვერავის ვთხოვ დამიმესიჯეთ-მეთქი. წინა ტურში ვერ ვიმღერე, სიმღერა ვერ გავითავისე, უცებ კი აღმოჩნდა, რომ ესემესებით მეორე ადგილას ვიყავი და შემრცხვა მათი, ვინც დამიმესიჯა“.

ქართულ ტურს თავისად მიიჩნევს. სამშაბათს მაია ჯაბუას სიმღერას მღერის. ამბობს, რომ ტექსტის დაზეპირება უჭირს.

„სცენაზე სულ ვკითხულობ. სტინგის სიმღერის შესრულებისას მხატვრის როლში ვიყავი და ვითომ ელენეს ვხატავდი, ფურცელზე კი ტექსტი მეწერა. სტივ უვანდერის სიმღერის დროს, იატაკზე რომ ვიჯექი, ხელში წიგნი მეჭირა და იქაც ტექსტს ვკითხულობდი. ყველაზე მეტად პირველი გამოსვლისას ვინერვიულე, თამარ გვერდწითელის ლირიული სიმღერის შესრულებისას. მამა ძალიან მაგრად მღეროდა. სცენაზე გასვლისას ეს სიმღერა გარდაცვლილ მამას მივუძღვენი - შენ რომ მღეროდი, მინდა ისე ვიმღერო-მეთქი, გავიფიქრე. გამოსვლისას უფრო მერიდება, ვიდრე ვნერვიულობ. ოთხივე პედაგოგი დილიდან დაღამებამდე გვამღერებს. ელენე სულ მეუბნება ხმა გამოუშვიო. რომ ვიმღერებ თუ გაიღიმა ესე იგი მოსწონს. მერე თვითონ ცეცხლს გამოუშვებს. არ მეგონა ასეთი მაგარი გოგო თუ იყო. ზოგჯერ მეგრულად ვლაპარაკობთ, მაგალითად, აუტსაიდერებს რომ აცხადებენ იმ დროს. ელენეს ყველა ტურის ბოლოს ბოდიშს ვუხდი. რახან ჩემი კონკურსია როდის გამიშვებენ არ ვიცი და როდის შეწყდე-

34-ის რეალური ისტორია

ის, რაზეც ბოლო დროს ყველაზე ბევრს საუბრობდნენ და რამაც ყველა აალაპარაკა, უნიკალური მეთოდით დამზადებული ლუდი „34“ აღმოჩნდა. სამი სახის ქერის ალაოსა და ოთხი სახის რჩეული სვიის შეზავებით, განსაკუთრებული არომატის მქონე ლუდი იხარშება გურმანებისთვის. სწორედ ამ გამორჩეული გემოს გამო, ახალი ლუდის შექმნა გარკვეული ექსპერიმენტი იყო.

დღეს ლუდის ბაზარზე საკმაოდ მაღალი კონკურენციაა. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული, სხვადასხვა გემოსა და ფასის პროდუქტი. შესაბამისად, ახალი პროდუქტი, რომელიც ბაზარზე გამოჩნდებოდა, გამორჩეული და დასამახსოვრებელი უნდა ყოფილიყო, როგორც თავისი გემოვნური თვისებებით, ასევე ბრენდული სახელითა და შეფუთვით. თუმცა, ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენას წინ გამორჩეული სარეკლამო კამპანია უძღოდა. ყველაფერი, მათ შორის ვიდეორგოლები, ბილბორდები, ინტერნეტრეკლამაც კი, მხოლოდ ერთ კითხვას აჩენდა - რა იყო 34? შეიქმნა ვებგვერდი, სადაც ყველას შეეძლო დაეწერა 34-ის შესახებ საკუთარი ვერსია. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვებგვერდს უამრავი ადამიანი ესტუმრა, შესაბამისად 34-ის შესახებაც უამრავი ვერსია გაჩნდა. 34-მა, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა აალაპარაკა.

სწორედ მაშინ, როცა 34-ის შესახებ ინტერესმა პიკს მიაღწია, მაღაზიებში ლუდი „34“ გამოჩნდა - 1 ბოთლი 34 ლარად. ინტერესი გაოცებამ შეცვალა - ერთი ბოთლი ლუდისთვის უჩვეულოდ მაღალი ფასი ბევრისთვის ახალ გამოცანად იქცა. მისი შეძენა მხოლოდ ლუდის ნამდვილმა გურმანებმა გაბედეს და არც შემცდარან, რადგან ამისთვის განსაკუთრებულად დასაჩუქრდნენ. „34“-ის პირველ სამ მყიდველს ქალაქში ძეგლი დაუდგეს, ხოლო „34“-ის ყველა მყიდველს საჩუქრად უამრავი ლუდი „34“ ერგო. საჩუქრები მათთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომელსაც ბევრი სიხარული და ემოცია ახლდა თან.

ხუთი დღის შემდეგ „34“-ის ფასი ყველასთვის მისაღები - 2 ლარი გახდა. უჩვეულო სარეკლამო კამპანია კი ყველას დაამახსოვრდა. მომხმარებელთა დიდ ინტერესს ვებგვერდის და სარეკლამო რგოლების მნახველთა სტატისტიკაც ადასტურებს. ინტერნეტმომხმარებლები გამოხმაურებებში იმასაც კი წერდნენ, რომ მსგავსი რამ ჯერ არასდროს უნახავთ, ზოგი იმასაც კი ნანობდა, რომ 34 ლარად არ შეიძინა ლუდი და შესაბამისად, საინტერესო საჩუქრის გარეშე დარჩა. რა თქმა უნდა, იყვნენ სკეპტიკოსებიც, თუმცა, საერთო ჯამში ყველა თანხმდება, რომ 34-ის გამოჩენა ბაზარზე ბევრი პოზიტივითა და კრეტიავით იყო სავსე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ორი ვარსკვლავისთვის“ რვა კილო დავიკელი“

„ქვეყანაში, სადაც ძალიან ბევრ მშიერ ბავშვს ხვდებავს, ვერავის ვთხოვ დამიმესიჯეთ-მეთქი“

EXCLUSIVE

ბა მისი სასცენო მოღვაწეობა. ამიტომ ვებოდიშები.

- თეონა კონტრიძის შეფასებიდან რომელი ფრაზა დაგამახსოვრდა?

- ნახეთ რა სილუეტზეა ჩვენი გოდერძიკოო, და სტინგის სიმღერის შეფასებისას რომ მითხრა, ქვიშა არ მეყოო. ცხენის ცირკში დარეკვის არ იყოს, ჟურნალისტი და ვმღერი, რა ქვიშა, რის ცემენტი. მსიამოვნებს სიმღერა. ამ პროექტის გარდა „იმედის გმირებში“ და „იმედის კვირაში“ ვმუშაობ. ორ ადგილას ლექციებს ვკითხულობ, ვარჯიშზე დავდივარ.

„სცენაზე გასვლისას ეს სიმღერა გარდაცვლილ მამას მივუძღვენი - შენ რომ მღეროდი, მინდა ისე ვიმღერო-მეთქი, გავიფიქრე“

„ორი ვარსკვლავისთვის“ რვა კილო დავიკელი. არც ერთს მეორის ხარჯზე არ გავაკეთებ.

- წვერი რატომ მოუშვი? ლამბერსექსუალის იმიჯია?

- ეს წვერი მხოლოდ სასცენო იმიჯია. ისედაც იმდენი ლამბერსექსუალია კიდევ მე რომ არ შევეტენო. მხატვარს, მეზღვაურს მოუხდა, ქართულ ტურებს, ეთნოს უხდება. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ადამიანი, რომელიც სადღაც სოფელში ცხოვრობს და მესიჯს გიგზავნის. და სცენიდან შენი სიმღერით მადლობას არ ეუბნებოდე. მოხუცი გმირები, რომლებმაც არც კი იციან მესიჯის გამოგზავნა, მეზობლებთან დადიან სოფლის ბოლოში, რომ ჩემთვის მესიჯი გამოაგზავნინონ. ახალგარდები მირეკავენ, ახლა გამომაგზავნინა შენთვის მესიჯიო. 75-80 წლის ჩემი მოხუცი გმირები. როცა მათთან ვარ და სიუჟეტს ვაკეთებ, დაჩოქილი ვეკითხები, 80 წლის ქალი ორი ხეობის იქით რატომ დადიხარ-მეთქი? მეტირება, რომ ვფიქრობ, რამხელა გზა გაიარა იმისთვის, რომ ჩემთვის მესიჯი გამოეგზავნა. სადღაც ვიღაცას რომ ასე უყვარხარ ამაზე მაგარი რა არის. 20 წლის ბიჭი საკუთარ სახლში დარბაზს რომ ხსნის და ჭიდაობაში ბავშვებს ავარჯიშებს და თან ყველა ჩემპიონია, ეს როგორია? კაცს, რომელმაც სახლ-კარი გაყიდა და ხევსურეთის სოფელში ხუთ შვილთან ერთად წავიდა, ვკითხე, ეს რატომ გააკეთე-მეთქი. არ მინდოდა ის სახლი, სადაც დავიბადე ნასახლარად ქცეულიყოო. რომ დაღამდება, თქვენ, ალბათ, ახლა ბარისახოში წახვალთ ღამის გასათევადო, მეკითხებიან. არა, აქ დავწვები-მეთქი, რომ ვეუბნები უკვირთ. მეორე დილას რომ გამოდიხარ უკვე მისიანი ხარ. არ მინდა იფიქრონ, რომ მე მათზე მეტი ვარ. ისინი ჩემზე მაგრები არიან, რასაც აკეთებენ იმის ნახევარსაც ვერ ვაკეთებ-მეთქი. მერე მეკონტაქტებიან. არ არსებობს ღამით მოხუცები არ გავიხსენო. ნამეწყრალ სოფელში რომ 80 წლის მოხუცი ბებია ცხოვრობს, რომელმაც ჯვარი დადგა ნაეკლესიარზე, როგორ არ უნდა მახსოვდეს. პენსიით იყიდა მავთული, სამ კილომეტრზე შვილიშვილს გააჭიმინა, ღამით ჯვარი რომ აანთოს. ტყეში ღამით ანთებული ჯვარი ჩანს. ეს ქალი სულ მახსოვს, ის ექიმი კაცი ხეობებში ცხენით რომ ჩამოდის, სულ მახსოვს. გადაწყვეტილება რომ მაქვს მისაღები გამიფიქრებია, ის ამას როგორ გააკეთებდა-მეთქი? ეს გადაცემაც ამისთვის არის. ერი საზოგადოების ამ ნაწილმა გადაარჩინა.

„ცირა ისეთია, როგორსაც გააზრებული ცხოვრების განმავლობაში ვეძებდი“

„მოხუცი გმირები, რომლებმაც არც კი იციან მესიჯის გამოგზავნა, მეზობლებთან დადიან სოფლის ბოლოში, რომ ჩემთვის მესიჯი გამოაგზავნინონ“

პირადი

13 წელია ცირა ჩქვანავა და გოდერძი ერთად არიან და დღემდე რომანტიკულად საინტერესო ურთიერთობა აქვთ. წყვილს 11 წლის ანდრია ჰყავთ.

„ჩემი მეუღლე ბევრ რამეს აკეთებს ოჯახში. ძალიან კარგი დედაა. ჩემი წარმატება მისი დამსახურებაა. ისეთია, როგორსაც გააზრებული ცხოვრების განმავლობაში ვეძებდი. ჩემზე განათლებულია, ჩემზე ჭკვიანია, ჩემზე მოწესრიგებული. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთისთვის არ გვიწყენინებია. ანდრიასაც აზრს ვეკითხებით. სიყვარული რა არის და დათმობა. არ მესმის როდესაც უყვარდათ და მერე აღარ უყვართ, სად მიდის ის სიყვარული, რომელმაც ის სახლამდე მიგაცილებინა, მისთვის გამღერა, გაცეკვა, სიგიჟე გაკეთებინა. თავს არ ეკითხებიან კინოში რატომ აღარ დავდივართ, რა ხდება, რატომ არ დავთმეო? ყვავილი 3 და 8 მარტის გარდა სხვა დღეებშიც იყიდება. როგორ შეიძლება ის ქალი არ გიყვარდეს, რომელიც ვახშამს ლამაზად გაფორმებულს გახვედრებს? ზუსტად ვიცი, მე და ჩემი მეუღლე ბოლომდე ერთად მივალთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქურდულ სამყაროში გავლენების

ვინ კარგავს და ვინ იძლიერებს გავლენებს საქართველოს რეგიონებზე?

მირიან ბოქოლიშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ქურდული სამყარო მასშტაბურ რეფორმებს იწყებს... ამის პირველი ნიშნები ცოტა ხნის წინ ერევანში გამართულ გახმაურებულ „სხოდკაზე“ გამოჩნდა, როდესაც სომხეთის დედაქალაქში ერთდროულად ქურდული სამყაროს 300-მდე გავლენიანმა „ავტორიტეტმა“ მოიყარა თავი. მათ პირადად მასპინძლობდა სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აირაპეტიანი. შეკრების ორგანიზატორი შაქრო კალაშოვი გახლდათ და როგორც ამბობენ, ქურდულ სამყაროში აქამდე არსებული კონფლიქტებს განიხილავდნენ, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია გავლენების გადანაწილებასთან, სათამაშო ბიზნესებისა და ე.წ. ობშიაკის გაკონტროლებასთან.

ერევნის შეკრებიდან დაახლოებით ერთ თვეში კი, შაქრო კალაშოვის ინიციატივით, კიდევ ერთი „სხოდკა“ შედგა. ამჯერად უკვე მოსკოვში. ამ შეკრებაზე კალაშოვმა 12-მდე „კანონიერ ქურდს“ სტატუსი შეუჩერა და კრიმინალურ სამყაროში აზერბაიჯანული კლანის გავლენები შეასუსტა. როგორ აისახება საქართველოზე ზემოხსენებული გარჩევები? ვინ რომელ რეგიონზე ცდილობს გავლენების მოპოვებას და, შესაბამისად, ქართული „ობშიაკის“ გაკონტროლებას?

ქვემო ქართლი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არცთუ დიდი ხნის წინ ქვემო ქართლში ქურდული სამყაროს ნევრობის ბრალდებით რამდენიმე ჯგუფი დაიკავა, რომელთაგან ერთი – ხუთკაციანი დაჯგუფება წარმოშობით დმანისელი „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის, მეტსახელად „გულის“ მიერ იმართებოდა. „გულის“ უმცროსი ძმა ნამიტ სალიფოვი გახლავთ ერთ-ერთი, ვისაც შაქრო კალაშოვმა სტატუსი შეუჩერა, რაც თავისთავად აისახება საქართველოში, კერძოდ კი, ქვემო ქართლში სალიფოვების გავლენის შესუსტებაზე.

დმანისსა და მარნეულში მოქმედი სალიფოვების დაჯგუფება შსს-მ ჯერ კიდევ 2013 წლის სექტემბერში გამოიჭირა. ოფიციალური ინფორმაციით, ქვემო ქართლში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად ერთდროულად დააკავეს ქურდული სამყაროს 13 ნევრი, რომლებიც ორ დაჯგუფებას განეკუთვნებიან.

დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ კი, რვაკაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდისგან. ხოლო მეორე ხუთკაციან დაჯგუფებას მართავდა ე.წ. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გული“, რომელიც აზერბაიჯანის ციხეში იხდის სასჯელს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა იმ „კანონიერი ქურდის“ ვინაობა, რომელიც 8-კაციან კლანს რუსეთიდან ხელმძღვანელობდა. ეს „კანონიერი ქურდი“ წარმოშობით ქართველი ნოდარ ჯინჭველაშვილია, რომელიც კრიმინალურ სამყაროში „შოშიას“ მეტსახელითაა ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, მისი დაჯგუფების დაკავებული რამდენიმე ნევრი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვისაა ნასამართლევი, მათ შორის ძმები რასიმ და ნამიკ ოფჩიევები. რასიმი 2002 წელს მოსკოვში დააპატიმრეს და რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით გაასამართლეს, მისი ძმა ნამიკ ოფჩიევი საქართველოში 2007 წელს აიყვანეს ნარკოდანაშაულის ბრალდებით. ამავე კლანს განეკუთვნებოდა 1990 წელს დაბადებული რაშიდ გეიდაროვი, რომელიც 2011 წელს აზერბაიჯანში იქაური კანონმდებლობით გაასამართლეს.

კალაშოვის მიერ სალიფოვების გავლენის შესუსტების პარალელურად, ამ თემის სპეციალისტები ქვემო ქართლში ჯინჭველაშვილის გავლენის გაფართოებას ვარაუდობენ. ნოდარ ჭინჭველაშვილი, იგივე „შოშია“ ქურდულ სამყაროში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად სახელდება. ამბობენ, რომ ის ძმებ შუშანაშვილების გარემოცვას წარმოადგენს. მისი სახელი ფიგურირებდა საზღვარგარეთ გამართულ რამდენიმე გახმაურებულ ქურდულ „სხოდკაზე“, რომელიც, ასევე, სპეცოპერაციით დასრულდა, თუმცა დაკავებულთა უმეტესობამ მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევა მოახერხა. მაგალითად, ასე მოხდა 2008 წელს, როდესაც რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვის გარეუბანში, პიროგოვსკის წყალსაცავზე „დიდი წმენდა“ ჩაატარეს. სპეცოპერაციის შედეგად, მილიციის „ხაფანგში“ 30-ზე მეტი „კანონიერი ქურდი“ გაება, მათ შორის იყო ნოდარ ჯინჭველაშვილიც. „შოშიასთან“ ერთად, 2008 წლის 7 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ასევე, დააპატიმრეს კრიმინალური სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ისეთ „ავტორიტეტები“, როგორებიც არიან: ალექსანდრე ბორი, იგივე „ტიმოხა“, დიმიტრი გალეევი, იგივე „გალეი“, როლანდ გეგეჭკორი „ძლიაპა“, მერაბ ჯანგველაძე – „მერაბ სოხუმელი“, თემურ ნემსინწვერაძე – „წრიპა“, ტარიელ ონიანი – „ტარასა“ და სხვ.

რაც შეეხებათ ძმებ სალიფოვებს, მათ შორის ყველაზე გავლენიანად ნადირ სალიფოვი ითვლება, რომელიც დედ ჰასანის დაჯგუფებას წარმოადგენს. ამბობენ იმასაც, რომ სწორედ პირადად მან იძია შური პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური სამყაროს ნათლიმამის, ასლან უსოიანის (დედ ჰასანის) მკვლელებზე. ცნობილია, რომ თავის დროზე ნადირ სალიფოვს ერთ-ერთ ქურდულ შეკრებაზე ტიტული ჩამოართვეს, თუმცა უსოიანმა მას ეს „ტიტული“ დაუბრუნა. ახლა კი, როდესაც დედ ჰასანი ცოცხალი აღარ არის, სალიფოვებს ომი კალაშოვმა გამოუცხადა.



ტარიელ ონიანი

შიდა ქართლი

ქვემო ქართლის გარდა, „კანონიერი ქურდები“ გავლენების გადანაწილებას საქართველოს სხვა რეგიონებშიც ცდილობენ. მაგალითად, შიდა ქართლში, სადაც მათი გეგმები შსს-ს მიერ გასული წლის ივნისში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ ჩაშალა. დაზუსტებული ინფორმაციით, შიდა ქართლში „კანონიერი ქურდების“ – დავით ქურასბედიანისა და ზვიად პაპიაშვილის ინტერესები იკვეთება... ირკვევა, რომ სწორედ მათი გავლენის სფეროს წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონი. ჯერ კიდევ 2014 წლის 21 ივნისს, გამთენიისას, სპეცდანიშნულების რაზმმა ქურდული სამყაროს ნევრობის ბრალდებით გორში ერთდროულად ექვსი პირი აიყვანა. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლით წაუყენეს.

დაკავებულთაგან ერთ-ერთი 24 წლის გიორგი მარგველაშვილია, კრიმინალურ სამყაროში „მარგველას“ მეტსახელით ცნობილი. ასაკის მიუხედავად, ის ერთხელ უკვე არის ნასამართლევი. 2006 წელს მარგველაშვილი იარაღის უკანონო ტარებისა და ხულიგნობისთვის გაუსამართლებიათ. „მარგველას“ შიდა ქართლში, როგორც ქურდული ტრადიციების აქტიურ მიმდევარს, ისე იცნობენ. მეტიც, ის დღე-დღეზე საბერძნეთში გამგზავრებასა და „კანონიერ ქურდად“ მონათვლას გეგმავდა, ისევე, როგორც კიდევ ერთი დაკავებული ნიკა მაჩიტიძე, მეტსახელ-



ნადირ სალიფოვი

მინდია გორაძე

ნამიკ სალიფოვი

ჯეირან კინწურაშვილი

დავით ქურასბედიანი

ნოე წულაია

დავით მაზანაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხელახალი გადანაწილება დაიწყო

შაქრო კალაშოვი

აჭარა

შავი ზღვისპირეთის რეგიონზე გავლენების მოპოვებას ახალბედა, თუმცა უკვე დიდი „ავტორიტეტის“ მქონე „კანონიერი ქურდი“ მინდია გორაძე, იგივე ლავას ოღლი, ცდილობს. გავრცელებული ინფორმაციით, 2014 წელს უკრაინიდან გამოძევებულმა გორაძემ ბინა საქართველო-თურქეთის საზღვართან, ხოფაში დაიდო და სწორედ იქიდან ცდილობს აკონტროლოს ბათუმში მოქმედი „შავი სამყარო“. მიუხედავად ამისა, ლავას ოღლის გარემოცვა არაერთხელ გაება ქართველი სამართალდამცავების მახეში. პირველად მაშინ, როდესაც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა ხუთივე პირი ბათუმში აიყვანეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მინდია გორაძის სახელით ე.წ. „ქურდული წილების“ მისაღებად აჭარაში ბიზნესმენებზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ყველა მათგანი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის მრავალჯერ არის ნასამართლევი.

მინდია გორაძის სახელს უკავშირდება აჭარაში რამდენიმე გახმაურებული კრიმინალი, მათ შორის პოლიციის თანამშრომლის, თარეშ მუკბანიანის ჩაცხრილვა.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი თარეშ მუკბანიანი ბათუმში 27 დეკემბერს მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებული რამაზ დევაძე შსს-მ იმ დროს დააკავა, როდესაც ის სარფის გავლით ქვეყნის დატოვებას ცდილობდა. სავარაუდოდ, დევაძე ლავას ოღლისთან, ხოფაში გადასვლას აპირებდა.


კოსტა ბოგოხიძე

როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოზე?

ლაშა შუშანაშვილი

მინდია გორაძის, იგივე „ლავას ოღლის“ „კანონიერ ქურდად კურთხევა“ 2013 წელს მოხდა. მისი სახელი უკრაინასა და საქართველოში. ლავას ოღლისა და სამართალდამცავების გზები პირველად 2006 წელს გადაიკვეთა, როდესაც ის 2006 წელს ბანდიტიზმის მუხლით გასამართლდა.

იმერეთი

იმერეთი ის რეგიონია, რომელსაც კრიმინალური სამყაროში „ქურდების სამშობლოსაც“ კი ეძახიან, ვინაიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მეტი „კანონიერი ქურდი“ სწორედ იმერეთიდან გახლავთ და ქუთაისის სასაფლაოზე ყველაზე მეტი „ავტორიტეტი“ განისვენებს.

წლების განმავლობაში აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფები, თუმცა ბოლო წლებში განსაკუთრებით ხშირად საუბრობდნენ კოსტა ბობოხიძისა და ჯეირან კინწურაშვილის კლანის ინტერესებზე. ამ ჯგუფების ინტერესის სფეროს „მაზავიკების“ მიერ უკანონოდ მოგებული თანხებიდან წილების მიღება წარმოადგენს. იყო შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი ბიზნესმენისგან სიცოცხლის მოსპობის მუქარით საწარმოში წილის დათმობასაც ითხოვდნენ. ამ დაჯგუფების ნაწილი პოლიციის ხაფანგში ჯერ კიდევ 5 წლის გაება, როდესაც ქუთაისში ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 12 პირი დააკავეს. მაშინ გამოძიებამ განაცხადა, რომ დაკავებულები აქტიურ კონტაქტში იმყოფებოდნენ საბერძნეთში მცხოვრებ კოსტა ბობოხიძესთან, მეტსახელად „ძაგუნიასთან“ და ბელგიაში მცხოვრებ „კანონიერ ქურდ“ ჯეირან კინწურაშვილთან.

მათი სახელები ტარიელ ონიანის გარემოცვასთან ასოცირდება. იქიდან გამომდინარე, რომ კრიმინალური რეფორმის არქიტექტორი, შაქრო კალაშოვი ონიანის კლანს არ სწყალობს, შესაძლოა, კინწურაშვილი-ბობოხიძის დაჯგუფების გავლენებიც საგრძნობლად შეირყეს. ამბობენ, რომ ქუთაისურ „შავ სამყაროსთან“ ახლო კავშირზეა რუსეთში მცხოვრები „კანონიერი ქურდი“ ნოე წულაიაც, რომელიც კალაშოვის გარემოცვაში მოიაზრება.

კახეთი

„მაზავიკების“ თემა აქტუალურია კახეთშიც.... ამბობენ, რომ ამ საქმეს ცნობილი „კანონიერი ქურდი“ აკაკი ბილანიშვილი ლობირებდა, თუმცა როგორია ამჟამად მისი გავლენა ადგილობრივ დაჯგუფებებზე უცნობია, რადგან დაახლოებით ერთი წლის წინათ პოლიციამ ბილანიშვილის დაჯგუფებას სერიოზული წმენდა მოუწყო.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ „მაზავიკების“ საქმეზე დაკავებულ დაჯგუფებას პირადად კაკო ბილანიშვილის ვაჟი ხელმძღვანელობდა, რომელიც, ასევე, საბრალდებო სკამზე დასვეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები სპორტულ თამაშებზე, მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით, მოქალაქეებისგან უკანონო ფსონებს იღებდნენ. სპორტული თამაშების შედეგების მიხედვით, დათქმულ დროს აბარებდნენ და იბარებდნენ ე.წ. თავნებს. თავანის ჩაბარების დაგვიანების შემთხვევებში ბრალდებულებსა და მოქალაქეებს შორის ხშირად იმართებოდა გარჩევები...

63 წლის აკაკი ბილანიშვილი ადრე ოთხჯერაა ნასამართლევი და საპყრობილეში, ჯამში, 14 წელი აქვს გატარებული. აღსანიშნავია, რომ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არასდროს ჰქონია. 1990-იან წლებში, თავის მეგობარ, ასევე, „კანონიერ ქურდ“ ტრისტან სიჭინავასთან ერთად, ციმბირში, სხვადასხვა ქალაქში, „ქურდულ სამყაროს ავითარებდა“. სწორედ იმ დროს, კემერეროვოსა და ნიჟნი ნოვგოროდში „კანონიერ ქურდებად“ მოინათლნენ ქურდული სამყაროს ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ედიკ „ვოლოსატი“, „ჰამლეტი“ და „სეკა“. სიჭინავას გარდაცვალების შემდეგ, 2007 წლამდე, ბილანიშვილი საქართველოში იმყოფებოდა. 2007-დან 2009 წლამდე კი უკრაინაში არალეგალურად ცხოვრობდა, სადაც დააკავეს და საქართველოში გამოამგზავრეს. სამშობლოში, ასაკისა და შელახული ჯანმრთელობის გამო, იმ პირობით, რომ ქვეყანას ნებაყოფლობით დატოვებდა, ის არ დაუპატიმრებიათ. ბილანიშვილი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც მკურნალობის კურსს გადიოდა. გასულ წელს კი „კანონიერი ქურდი“ კვლავ უკრაინაში ჩავიდა, სადაც, დაადგინეს რა მისი ადგილსამყოფელი, დააკავეს კიდეც. აკაკი ბილანიშვილს უკრაინაში ჩასვლა 5 წლით ეკრძალება, თუმცა ამჟამად ის არც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება.

ნოდარ ჯინჭველაშვილი


როლანდ გეგეჭკორი

თემურ ნემსიწვერიძე

ზვიად პაპიაშვილი

აკაკი ბილანიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მალე მშობლები აპირებდნენ პირადად ოჯამას უნდა დაეჯ

კახა მამულაძე: „ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაწყნარდა, თქვა, ჩემი ოცნების სასწავლებელში ამირჩიესო“

ხათუნა მგალობლიშვილი

ამერიკის საზღვაო თავდაცვის აკადემიაში მოხვედრა შეიძლება ბევრისთვის ოცნება იყოს, თუმცა სოსოსთვის და ბესოსთვის ეს უკვე მიღწეული მიზანი იყო. „ეს სხვა ელიტაა, ქვეყნის რეალური მომავალი, რომლებიც პროგრესულად, დასავლურად აზროვნებენ“, – ბესო გორჯოლაძეც და სოსო მაკარიძეც სწორედ ამ გამონაკლისს წარმოადგენდნენ. აკადემია, სადაც ორივე ახალგაზრდა სწავლობდა, სტუდენტებს ყველა ქვეყნიდან არ იღებს. აქ მოსახვედრად საკმაოდ რთული ეტაპებია გასავლელი, რომელიც, განათლების მაღალ დონესთან ერთად, ფიზიკურ მომზადებასა და საკუთარი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის რეკომენდაციასაც ითხოვს. ამერიკაში განათლების მიღების შემდეგ აკადემიის კურსდამთავრებულებს ვალდებულება აქვთ საკუთარი ქვეყნის წინაშე – მიღებული ცოდნა ქვეყანას მოახმარონ. ასეც იქნებოდა, რომ არა ავტოკატასტროფა, რომელიც შვიდ მარტს ნიუიორკიდან 100 კილომეტრის მოშორებით, ნიუ-ჯერსიში მოხდა... „Chevrolet Cobalt“-ის მარკის ავტომანქანას, რომელშიც ბესო და სოსო ისხდნენ, მათი მეგობარი, 21 წლის ამერიკელი კადეტი მართავდა. ისინი ტრასაზე შემხვედრ „Ford Focus“-ს დაეჯახნენ. ერთ-ერთი მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა, მეორე კი – ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ... ორივე მანქანის მძღოლი სიკვდილს გადაურჩა...

თენგო გოგოტიშვილი: „ჩემთვის ჰქონდა პირობა მოცემული, რომ დიდი გემით უნდა ჩამოსულიყო საქართველოში და მე აუცილებლად უნდა დავხვედროდი პორტში“

წინასწარი ინფორმაციით, ავტოკატასტროფის მიზეზი მოყინული გზა გახდა. როგორც საქართველოს გენერალურმა კონსულმა ამერიკაში, დიანა ჟღენტმა განაცხადა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა მოცურდა და გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა, სადაც მოპირდაპირე მხრიდან მომავალი მანქანა შეეჯახა, შეჯახებისას მთავარი დარტყმა სწორედ იმ მხარეს მოხდა, სადაც ქართველი სტუდენტები ისხდნენ...

ბესო გორჯოლაძე და სოსო მაკარიძე დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მსმენელებად ირიცხებოდნენ და ამერიკის შეერთებულ შტატებში საზღვაო თავდაცვის აკადემიაში სწავლობდნენ. სოსო მაკარიძე აკადემიაში 2011 წელს ჩაირიცხა, ის მეოთხე კურსზე იყო და ერთი სასწავლო წელიღა ჰქონდა დარჩენილი დამთავრებამდე. მისი ოჯახი სოსოს დაჯილდოების ცერემონიალისთვის ემზადებოდა. როგორც ახლობლები ამბობენ, მშობლები მოწვევის მიღების შემდეგ ამერიკაში გამგზავრებას გეგმავდნენ, სადაც მათი შვილი ამერიკის პრეზიდენტს, ბარაკ ობამას უნდა დაეჯილდოებინა. ამერიკაში სწავლის დასრულების შემდეგ კი სოსო მაკარიძე მაგისტრის ხარისხის მისაღებად ინგლისში გამგზავრებას გეგმავდა. ის უკვე იყო ჩარიცხული მანჩესტერის უნივერსიტეტის საავიაციო ინჟინერიის მაგისტრატურაში... ბესო გორჯოლაძე ჯერ მხოლოდ მეორე კურსის მსმენელი იყო.



ბიჭებს ერთკვირიანი არდადეგები ჰქონდათ და თავისუფალი დროის გატარებას ქალაქგარეთ, მეგობრებთან ერთად აპირებდნენ... ბესო და სოსო საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ეს სურათებიდანაც ჩანს, ისინი ყველგან ერთად არიან. ბესო გორჯოლაძის და ძმაზე საუბრისას ყველაზე ხშირად სწორედ სოსოს ახსენებს და მიაჩნია, რომ დღეს მათზე ცალ-ცალკე საუბარი არასწორი იქნება, რადგან ორივეს ერთი მიზანი ჰქონდა და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებდნენ...

თამუნა გორჯოლაძე, ბესო გორჯოლაძის და:

– ბესოც და სოსოც, ორივე უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ. მათ ძალიან რთული გამოცდები ჩააბარეს, 300-ათასიანი დაფინანსება ჰქონდათ ამერიკის სახელმწიფოსგან მიღებული, ეროვნულ გამოცდებში ორივემ უმაღლესი ქულები მიიღო. ჩემი ძმა ამერიკაში გამგზავრებამდე „წითელ ჯვარში“ მუშაობდა. ძალიან ნიჭიერები, შრომისმოყვარეები იყვნენ, ვერც კი გამოვყოფ ერთმანეთისგან, ამერიკაში მათთან ერთად ვინც სწავლობდა, ყველა ამბობს, რომ ორივე გამორჩეულად ნიჭიერი იყო. ბესო ნატოს საინფორმაციო ცენტრშიც მუშაობდა, თავდაცვის სამინისტროშიც იყო გარკვეული პერიოდი სტაჟირებაზე.

– როგორც ვიცით, საკმაოდ რთული შესარჩევი ეტაპები გაიარა, სანამ ამერიკაში გაემგზავრებოდა სასწავლებლად...

– რთულ ეტაპებად ითვლება ის, რომ ამერიკაში ჩააბარა ეროვნული გამოცდები, რაც მართლაც საკმაოდ რთული იყო. ორივემ ძალიან მაღალი ქულები მიიღო. თავიდანვე ჩართული იყო ნატოს საინფორმაციო ცენტრში, იქიდან იღებდა მონაწილეობას პროექტებში, რამდენიმე პროექტის გამარჯვებულიც იყო, ყოველთვის აინტერესებდა ეს სფერო. ძალიან ბევრია სათქმელი ორივეზე, ბესოზეც და სოსოზეც, ორივე ძალიან ერუდირებული ახალგაზრდა იყო.

– ერთმანეთს დიდი ხანია იცნობდნენ?

– ძალიან დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, განსაკუთრებული და გამორჩეული მეგობრობა ჰქონდათ, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

– საქართველოში დაბრუნებაზე ხშირად საუბრობდა?

– ამერიკამ იმდენად დიდი ფინანსები ჩადო ორივე ახალგაზრდის განათლებაში, რომ იქ მიღებული განათლება აუცილებლად საქართველოსთვის უნდა გამოეყენებინათ. კონტრაქტი ნამდვილად იყო დადებული თავდაცვის სამინისტროსთან, რომ განათლების მიღების შემდეგ მათ საკუთარი გამოცდილება, განათლება თავისი ქვეყნისთვის უნდა მოეხმარებინათ. მათი ოცნებაც ეს იყო.

კახა მამულაძე: „როგორც ვიცი, როდესაც ამერიკის სასწავლებლიდან დაბრუნდებოდა, თავდაცვის სამინისტროში ათი წელი უნდა ემუშავა“

ამერიკაში გამგზავრებამდე ბესო გორჯოლაძე ორი წლის განმავლობაში მოხალისედ მუშაობდა „წითელ ჯვარში“. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოხალისე ორგანიზაციამ საბოლოოდ თანამშრომლად მიიღო. კახა მამულაძე „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელი და ბესო გორჯოლაძის მეგობარია. კახა შეესწრო იმ წუთებს, როდესაც ბესოს, შეტყობინების სახით, ინფორმაცია მიუვიდა, რომ ის ამერიკის საზღვაო თავდაცვის აკადემიაში უმაღლესი ქულების მიღების შედეგად ჩაირიცხა...

კახა მამულაძე, „წითელი ჯვრის“ თანამშრომელი, ბესო გორჯოლაძის მეგობარი:

– როდესაც ბესოს საბოლოო პასუხი მოუვიდა ამერიკიდან, ერთად ვიყავით სამსახურიდან მივლინებით წასულები ლენტეხში. ტელეფონზე მოუვიდა შეტყობინება, რომ საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალი ქულები დააგროვა და, შესაბამისად, სწორედ ის გაემგზავრებოდა სასწავლებლად ამერიკაში. როგორც ბესოსგან ვიცოდით, ძალიან ბევრი მსურველი იყო და თავადაც ამბობდა, ძლიერი კანდიდატები არიანო, მაგრამ ბესომ ყველას აჯობა.

– როგორი რეაქცია ჰქონდა ამ ინფორმაციის მიღებისას?

– არაადამიანური ხმით დაიწყო ყვირილი, რა მაგარიაო... ისეთი ბედნიერი იყო, ვერც ამბობდა, რა იყო ეს ძალიან მაგარი და რა უხაროდა ასე ძალიან. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაწყნარდა, თქვა, ჩემი ოცნების სასწავლებელში ამირჩიესო. ეს მისი ოცნების სასწავლებელი იყო მართლაც. მერე მიყვებოდა, რა ეტაპები გაიარა იმისთვის, რომ ამერიკის სასწავლებელში მოხვედრილიყო. როგორც ვიცი, როდესაც ამერიკის სასწავლებლიდან დაბრუნდებოდა, თავდაცვის სა-

სანდრო გორჯოლაძე: „ბოლოს, სანამ ეს შემთხვევა მოხდებოდა, მამამისი ეხვეწებოდა, ჩამოდიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამერიკაში გამგზავრებას, ილდოებინა, როგორც ვიცი“

თამუნა გორჯოლაძე: „ამერიკაში მათთან ერთად ვინც სწავლობდა, ყველა ამბობს, რომ ორივე გამორჩეულად ნიჭიერი იყო“

ბექა მეტრეველი: „აკადემიაში სწავლის პერიოდში სოსო მთელი ოთხი წლის განმავლობაში უმაღლეს საფეხურზე იყო მუდმივად – ნიშნებითაც, ფიზიკური ტესტების შედეგებითაც, ქცევითაც“



მინისტროში ათი წელი უნდა ემუშავა. არ ვიცი, ეს, უბრალოდ, თხოვნა იყო, თუ ხელშეკრულებაში ეწერა, თუმცა ვიცი, რომ ამაზე საუბარი იყო, რადგან ასეთი მაღალი დონის კადრის დაკარგვა არ სურდათ.

– როგორ ემზადებოდა წასასვლელად?

– ჩვენ ყველანაირად ვუწყობდით ხელს, რადგან ძალიან ბევრს მუშაობდა თავის თავზე, სანამ ამერიკაში გაემგზავრებოდა. ბესოს მართლა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ მაღალ საფეხურებზე ასულიყო და ავიდოდა კიდეც, რომ არა ეს უბედური შემთხვევა. ჩვენ რეკომენდაციაც მივეცით, როდესაც დოკუმენტებს აგროვებდა ამერიკაში გასაგზავნად. ბესო 2010 წლიდან დაახლოებით ორი წლის განმავლობაში მოხალისედ მუშაობდა „წითელ ჯვარში“. ყველაზე აქტიური და ლიდერი იყო, საუკეთესო თვისებები ჰქონდა. ორწლიანი პერიოდის შემდეგ, რადგან ასეთი აქტიური და გამორჩეული იყო, თანამშრომლად ავიყვანეთ და დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა კატასტროფების მართვის დეპარტამენტში ოფიცრად. სანამ ამერიკის სამხედრო საზღვაო სასწავლებელში ჩააბარებდა, ჩვენთან მუშაობდა.

– როდის წავიდა ამერიკაში სასწავლებლად?

– დაახლოებით 2013 წლის აგვისტოში. იმ პერიოდში, სანამ ჩვენთან მოხალისედ მუშაობდა, ხელფასს არ იღებდა, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო და ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თავადაც მოხალისე იყო და სხვა მოხალისეებიც მოჰყავდა, საკმაოდ ბევრი სამუშაო იყო ხოლმე და ყველაფერს თავს ართმევდა. ძალიან მიზანდასახული ადამიანი იყო, მუდმივად მუშაობდა თავის თავზე. ეს სასწავლებელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის სასწავლებელია, იქ მოხვედრა საკმაოდ ბევრი ადამიანის ოცნებაა, თუმცა ძალიან რთულია. სასწავლებელში მოსახვედრად არა მარტო მაღალი დონის განათლება, არამედ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გონებრივი მომზადებაც საჭიროა. საკმაოდ რთული ეტაპები იყო გასავლელი, თუმცა ბესო იმდენად მიზანდასახული იყო, იმდენად უნდოდა იქ მოხვედრა, რომ ყველაფერს აკეთებდა და თანაც დამოუკიდებლად. ინტერნეტში გამუდმებით იძიებდა ინფორმაციებს ამ სასწავლებელთან დაკავშირებით, ფიზიკურადაც გამუდმებით ვარჯიშობდა, რომ ნორმატივები ჩაებარებინა და მიაღწია კიდეც მიზანს. რომ არა ეს უბედური შემთხვევა, დიდ წარმატებას მიაღწევდა, დარწმუნებული ვარ.

– სასწავლებელზე თუ საუბრობდა თქვენთან?

– როგორც ვიცი, შეთანხმება მოხდა ამერიკისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, რომ წელიწადში ერთი სტუდენტი უნდა ყოფილიყო მივლენილი საქართველოდან. საქართველოს ამ სასწავლებელში ერთი კვოტა ჰქონდა. შესაბამისად, მსურველებს შორის საუკეთესო უნდა შერჩეულიყო, რომელსაც მთლიანად ამერიკის მთავრობა აფინანსებდა, თუმცა, ბუნებრივია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობდა, რომ საუკეთესო კადრი შერჩეულიყო. ბესომ ყველაფერს თავისით მიაღწია, გამოცდების ჩაბარებიდან დაწყებული, ფიზიკური მომზადებით დასრულებული.

„წითელი ჯვრის“ პარალელურად ბესო გორჯოლაძე ნატოს საინფორმაციო ცენტრთანაც აქტიურად თანამშრომლობდა. ორი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად ცდილობდა აკადემიაში მოსახვედრად ყველა ეტაპის გავლას. ისე, რომ ოჯახის წევრებმა დეტალები მხოლოდ მას შემდეგ გაიგეს, რაც ის კადეტი გახდა...

თენგო გოგოტიშვილი:

– ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრს ჰყავს უფროსკლასელებისა და სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც დაინტერესებულები არიან უსაფრთხოების საკითხებით, ნატოთი, ესენი არიან დასავლურად მოაზროვნე, პროგრესული ადამიანები, რომლებიც რეალურად ამ ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ. ბესო ამ ჯგუფში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მე ცენტრში ოთხი წელი ვიმუშავე და ბესო პრაქტიკულად ყველა ჩვენს პროექტში მონაწილეობდა. ღონისძიებები სრულიად სხვადასხვა ხასიათის იყო. მაგალითად, პოლიგონზე დაგვყავდა და სროლაში ვავარჯიშებდით, ლექციებს, სემინარებს ვუტარებდით, სამხედრო ბაზებზე დაგვყავდა, ბესო ყოველთვის მონაწილეობდა და ძალიან მონდომებული იყო. პარალელურად ბესო იყო „აისში“. ეს არის პატრიოტული თამაშების რაზმი, რომელიც სამხედრო ცხოვრებისთვის ამზადებს ადამიანებს. მას ძალიან უნდოდა სამხედრო მფრინაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკურსზე სამედიცინო კომისიამ რამდენჯერმე დაიწუნა ნაწილობრივი ბრტყელტერფიანობის გამო. სულ მეხვეწებოდა, დამეხმარე, რომ უფრო რბილად მიუდგნენ ამ საკითხს, რადგან არც მაწუხებს და თან ძალიან მინდა სამხედრო მფრინაობაო. ცოდვა გამხელილი სჯობს და მეც მართლა სულ ვრეკავდი და ვუხსნიდი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ ბესოს ბრტყელტერფიანობა მძიმე ფორმის არ იყო და არ მიექციათ ამისთვის ყურადღება. მართლაც, საბოლოოდ ბესოს მისცეს შანსი, ოღონდ მფრინაობა არ გამოუვიდა და შეერთებულ შტატებში სანაპირო დაცვის აკადემიაში ჩააბარა. ეს სასწავლებელი სხვა ელიტაა. ჩემთვის ჰქონდა პირობა მოცემული, რომ დიდი გემით უნდა ჩამოსულიყო საქართველოში და მე აუცილებლად უნდა დავხვედროდი პორტში. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ვერ შევასრულეთ დადებული პირობა... ასეთი ახალგაზრდები არ უნდა მიდიოდნენ ამქვეყნიდან ასე ადრე...

ბესო ოჯახმა ბოლოს იანვარში ნახა, ჩამოსვლას კი 25 მაისს გეგმავდა...

სანდრო გორჯოლაძე, ბესო გორჯოლაძის ბიძაშვილი:

– იანვარში იყო ჩამოსული და მაშინ ვნახე. გაზაფხულზე ისევ აპირებდა ჩამოსვლას. ბოლოს, სანამ ეს შემთხვევა მოხდებოდა, მამამისი ეხვეწებოდა, ჩამოდიო, თავად ბესო თავს იკავებდა, იანვარში ხომ ვიყავი და გაზაფხულზე ისევ ჩამოვალო. მაინც შორია ამერიკამდე, მგზავრობასაც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა ორივე გზაზე, დრო კი სულ ერთი კვირა ჰქონდა. ამიტომ გადაწყვიტა, როცა შედარებით დიდი ხნით შეძლებდა ჩამოსვლას, მაშინ გამომგზავრებულიყო.

– რატომ უნდოდა მამას ასე ძალიან რომ ჩამოსულიყო?

– ენატრებოდა...

სოსო მაკარიძე დედისერთა იყო... მისი მეგობრების განცხადებით, ბესოს მსგავსად, სოსოს მიზანიც აკადემიაში მოხვედრა იყო და ამისთვის ის ყველაფერს აკეთებდა. მათი მეგობრის, ბექა მეტრეველის განცხადებით, აკადემიაში მოხვედრას წინ საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი უძღვის. თითოეულ მათგანს უწევს იმის დამტკიცება, რომ ისინი იმსახურებენ საზღვაო თავდაცვის აკადემიაში ჩარიცხვას. შესაბამისად, კონკურენციაც ძალიან დიდია. ბექას თქმით, იმ წელს, როდესაც სოსო მაკარიძე ირიცხებოდა, ერთ ადგილზე 100-120 მსურველი მოდიოდა...

ბექა მეტრეველი, სოსო მაკარიძის მეგობარი:

– მაშინ, როდესაც გიო ტალახაძე, სოსო მაკარიძე აბარებდნენ, ერთ ადგილზე დაახლოებით 100-120 კაცი მოდიოდა. შესაბამისად, ძალიან დიდი კონკურენციაა და ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ გაიმარჯვო.

– ძალიან რთული ეტაპებია გასავლელი აკადემიაში მოსახვედრად, ალბათ...

– საკმაოდ რთულია, ბევრი რამ ჯამდება და ბევრ რამეს ექცევა ყურადღება. პირველ რიგში, ბარდება ეროვნული გამოცდები ამერიკაში, ყურადღება ექცევა სკოლის ნიშნებს, დახასიათებებს, რეკომენდაციებს. ასევე, უნივერსიტეტი ითხოვს, რომ დაწერო თემა, რატომ გინდა, რომ ამ სასწავლებელში მოხვდე. ბოლო ეტაპია გასაუბრება. საკმაოდ შრომატევადი და დამღლელი პროცესია. მე საზღვაო აკადემიაში ვსწავლობდი, მესამე კურსზე გადავდიოდი და სწორედ იმ წელს ჩააბარეს ამ ბიჭებმა, მათ შორის ჩემმა მეგობარმა გიო ტალახაძემ. რადგან ჩვენ გამოცდილება უკვე გვქონდა, რჩევის სახით, ვეუბნებოდით რაღაცებს, როგორ უნდა მოწყობილიყვნენ იქ, მაშინ გავიცანი სოსოც. სოსოზე ძალიან ბევრი და კარგი რამის თქმა შემიძლია, ასეთი ზრდილობიანი და კეთილი ადამიანი მართლა არასოდეს შემხვედრია. ძალიან განათლებული და შრომისმოყვარე იყო, ძალიან კეთილი. აკადემიაში სწავლის პერიოდში სოსო მთელი ოთხი წლის განმავლობაში უმაღლეს საფეხურზე იყო მუდმივად – ნიშნებითაც, ფიზიკური ტესტების შედეგებითაც, ქცევითაც. როდესაც სტუდენტის შეფასება ხდება, ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, თუ ყველა საგანში, ფიზიკურ მომზადებაში, ქცევაში მაღალ ქულებს მიიღებ, უმაღლესი შეფასებები გაქვს, გაძლევენ სპეციალურ ვარსკვლავს. სოსოს ოთხი წლის განმავლობაში ეს ვარსკვლავი გულზე ეკეთა. ბესოც ასეთივე იყო, მთელი ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა, რომ აკადემიაში ჩარიცხულიყო, თან მეცადინეობდა და თან ფიზიკურად ემზადებოდა.

სოსო მაკარიძე მიზანთან ძალიან ახლოს იყო და ამით მისი ოჯახის წევრები ძალიან ამაყობდნენ. ლონდონში გამგზავრებამდე კი მმობლები საქართველოში ელოდებოდნენ...

ნუნუ შეყილაძე, სოსო მაკარიძის მეზობელი:

– კომაროვის სკოლა დაამთავრა, მართლა უნიჭიერესი ბავშვი იყო, ძალიან პატიოსანი. ძალიან თბილი ბიჭი იყო და ოჯახიც ასეთი ჰყავს. ოთხი წელი სწავლობდა ამერიკაში, უკვე ამთავრებდა, მალე უნდა ჩამოსულიყო, შემდეგ ლონდონში აპირებდა მაგისტრატურის გავლას.

– ბოლოს როდის იყო ჩამოსული საქართველოში, ოჯახმა როდის ნახა?

– იანვარში იყო ჩამოსული, არდადეგებზე, და სამ იანვარს წავიდა ისევ. მალე მშობლები აპირებდნენ ამერიკაში გამგზავრებას დაჯილდოების ცერემონიალზე დასასწრებად, მოწვევაც მოუვიდათ. პირადად ობამას უნდა დაეჯილდოებინა, როგორც ვიცი.

– ბესოს ახლობლებმა როგორც თქვეს, ის ბავშვობიდან ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე, სოსოს შემთხვევაში როგორ იყო, თუ იცით?

– სოსოს მამა პოლიციაში მუშაობდა, დედა ექიმია და სამხედრო მიმართულებით მუშაობდა და ამან თავისი ზეგავლენა მოახდინა სოსოზე. როგორც ჩანს, თავად უნდოდა ძალიან და ოჯახმაც წინააღმდეგობა აღარ გაუწია, ოცნებობდა და აიხდინა კიდეც ოცნება, მაგრამ... პატარა იყო სოსო, როდესაც საცხოვრებლად გადმოვიდნენ, თავიდანვე გამორჩეული ბავშვი იყო, სულ კითხულობდა, სულ მეცადინეობდა. ძალიან სამწუხაროა, როცა ასეთი ახალგაზრდები იღუპებიან. ჩემი შვილი ამერიკაში ცხოვრობს ოჯახით და როგორც მითხრა, იქაც უამრავი ქართველი მივიდა და უკანასკნელი პატივი მიაგო სოსოსა და ბესოს. ერთ ოთახში ყოფილა დასვენებული ორივე მეგობარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სუსტი და ძლიერი რგოლები

რომელი მუნიციპალიტეტების საქმეები დევს საგამოძიებო ორგანოში?

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა ის მუნიციპალიტეტები დაასახელა, რომლებიც ეფექტურად ხარჯავენ საბიუჯეტო სახსრებს. როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, არის გამგეობები და ქალაქები, სადაც ძალიან ეფექტურად იმუშავეს და სრულად აითვისეს თანხები, თუმცა არის რაიონები, სადაც სერიოზული ჩამორჩენაა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მუნიციპალიტეტებში აუთვისებელი თანხებისა და ტენდერების კანონიერებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც არკვევს. ლაშა თორდიას უწყებიდან ჩვენ გამოვითხოვეთ უკვე შემოწმებული მუნიციპალიტეტების შესახებ მომზადებული ანგარიშები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ფინანსური ანგარიშგებისა და შესყიდვების მხრივ, რეგიონებში მართლაც სერიოზული პრობლემაა. აუდიტის ბოლო დასკვნები, რომელსაც ჩვენ გავეცანით, ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე პერიოდს – 2013 წელს მოიცავს, თუმცა საკადრო პოლიტიკის მხრივ, დიდად არაფერი შეცვლილა. აქედან გამომდინარე, მთელ რიგ რაიონებში პასუხისმგებლობა დღეს მოქმედ ხელმძღვანელობაზე მოდის. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტი, რომლის გამგებელი 2012 წლის 21 ნოემბრიდან კაპიტონ ჟორჟოლიანი გახლავთ. შესაბამისად, აუდიტის ანგარიშში ასახულ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირად ის მიიჩნევა. დარღვევები კი ფინანსურ დოკუმენტაციასა და შესყიდვებში არცთუ ისე ცოტაა. ასე მაგალითად:

საგამოძიებო ორგანოს მიერ სრულადაა ამოღებული ელექტრონული და გამარტივებული შესყიდვების დოკუმენტები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები, ასევე, სტიქიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიყენებული ზარალის ამსახველი მონაცემები

მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მესტიაში ზურულდისა და ცხაკვზაგარის მთებზე სადგურების, გზისა და გაბიონის მოწყობის სამუშაოები. მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 321 ათასი ლარი შეადგინა. ფინანსურ ანგარიშებაში კი შესრულებული სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილია 15 ათასი ლარით ნაკლები თანხით – 305,8 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტმა დაზუსტებული გეგმით თანამდებობრივი სარგოს სახით 1 მლიონ 235 ათასი ლარი გასცა, პრემიის სახით კი – 307 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში გაცემული პრემიიდან 42 ათასი ლარი არასწორად მიაკუთვნა თანამდებობრივ სარგოს.

აუდიტის სამსახურმა შეამოწმა ხონის მუნიციპალიტეტიც, თუმცა გაირკვა, რომ 2013 წელს გამგეობას ფინანსური ანგარიშგებები არ შეუდგენია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტში ფინანსურ ანგარიშგებას არ ადგენდნენ, ვინაიდან მისი წარდგენა შესაბამის ორგანოებს არ მოუთხოვია. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც შესაბამისი ორგანოები არკვევენ ხონის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის კანონიერებას. არსებული ფინანსური დოკუმენტაცია ქუთაისის საოლქო პროკურატურამ ამოიღო.

აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს ხაშურის მუნიციპალიტეტშიც, სადაც ერთი წლის განმავლობაში პრემიის სახით 608 ათასი ლარი გაიცა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ანაზღაურებულია საკრებულოს დეპუტატების ხარჯები 127 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ქარელის მუნიციპალიტეტს, აქ წლის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი პრემია გასცეს, თუმცა მუნიციპალიტეტმა ეს ციფრი ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახა. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 1 მილიონ 622 ათასი ლარი მთლიანად ნაჩვენებია „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტში, მაშინ როდესაც ის მოიცავს პრემიის სახით გაცემულ თანხას – 565.4 ათას ლარს. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდებოდეს ცალკე „პრემიის“ პუნქტში და არა „თანამდებობრივ სარგოში“. შესაბამისად, პრემიის სახით გაცემული თანხების ხელფასებში ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის მაჩვენებლის არასწორად წარმოდგენას.

პრობლემებია კახეთშიც... მაგალითად, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა სათანადო წესით დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი. ასევე, არ იქნა წარდგენილი სათანადო წესით დამოწმებული ბალანსი და მისი დანართი ფორმები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ ითხოვდა ფინანსურ ანგარიშგებებს. ირკვევა, რომ ამ მუნიციპალიტეტის საქმიანობას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სწავლობს. აუდიტის დასკვნაში ნათქვამია, რომ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაცია საქართველოს ფინანსთა სა-

ხაშურის მუნიციპალიტეტში ერთი წლის განმავლობაში პრემიის სახით 608 ათასი ლარი გაიცა

ლაშა თორდია

მინისტროს საგამოძიებო ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტიდან სრულად იქნა ამოღებული. კერძოდ, ელექტრონული და გამარტივებული შესყიდვების დოკუმენტები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები, ასევე, სტიქიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიყენებული ზარალის ამსახველი მონაცემები.

მცხეთის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ დარღვევებს შორის კი საინტერესოა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი 121 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის მოძრაობა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

დუშეთის რაიონში გამოვლენილ დარღვევებს კი ასევე სამართალდამცავები სწავლობენ. ჯერ კიდევ 2014 წლის 5 თებერვალს, საოლქო პროკურატურის მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტიდან ამოღებულია ფინანსური ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია.

აუდიტის სამსახური არაერთ მუნიციპალიტეტში განაგრძობს შემოწმებებს. მანამდე კი შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოებმა უკვე გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას კი, ალბათ, ვერ გაექცევიან ის გამგებლები, ვინც პრემიერ-მინისტრისგან ბოლო გაფრთხილება მიიღო. ღარიბაშვილს კონკრეტული გვარები არ უხსენებია, სამაგიეროდ დაასახელა ის მუნიციპალიტეტები, რომელთა მუშაობითაც ცენტრალური მთავრობა კმაყოფილია.

„მინდა გამოვყო რამდენიმე მათგანი. დავიწყებ კახეთიდან. სიღნაღი, გურჯაანი, თელავი, დედოფლისწყარო, მათ აქვთ ათვისება 93-94%-ის ფარგლებში. სამცხე-ჯავახეთში – ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ადიგენი – აქ 90%-ის ფარგლებშია ათვისება გასულ წელს. იმერეთში – ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ხარაგაული, თერჯოლა, საჩხერე, ჭიათურა, ასევე, ქვემო ქართლი – დმანისი, ბოლნისი, მარნეული, წალკა – აქაც არის ძალიან კარგი შესრულება. სამეგრელო-ზემო სვანეთში ხობის მუნიციპალიტეტს აქვს 100%-იანი ათვისება. სენაკი, აბაშა, მარტვილი, ზუგდიდი ასევე მაღალი ათვისებაა. გურიაში – ჩოხატაური, ოზურგეთი, აჭარაში – შუახევი არის 100%-იანი ათვისება. ხელვაჩაურში არის 99%-იანი ათვისება, ხულოში 98%–იანი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი თქმით, დანარჩენ რაიონებს აქვთ გამოყოფილი სახსრების დაბალი ათვისების მაჩვენებელი. პრემიერმა „ჩამორჩენილ“ გამგეობებს სიტუაციის სასწრაფოდ შეცვლისკენ მოუწოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაზარალებულები ლევან ვასაძისგან ქონების დაბრუნებას ითხოვენ

მირიან ბოქოლიშვილი

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მთავარ პროკურატურაში ქონების უკანონო ჩამორთმევის შესახებ ასეულობით განცხადებაა შესული. განმცხადებლებს შორის არის სიღნაღის მკვიდრი არაერთი მოქალაქე. როგორც ცნობილია, „სიყვარულის ქალაქის“ განახლებას წინ კერძო საკუთრებების ჩამორთმევა უძღოდა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ საკმაოდ უხეში ფორმებით განახორციელა.

როგორ აღმოჩნდა ლევან ვასაძის ხელში ადეიშვილის მიერ სიღნაღელებისთვის ჩამორთმეული ქონება?

ალბათ, ბევრისთვის ცნობილი არ არის, რომ სიღნაღში ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი ბიზნესმენ ლევან ვასაძის ხელში აღმოჩნდა. ოფიციალურ დოკუმენტებში ვასაძის გვარი არსად ფიქსირდება, თუმცა როგორც დაზარალებულები ყვებიან, ცნობილი ბიზნესმენის სახელით მისივე ბიზნესპარტნიორი ბაჩანა დავლიანიძე მოქმედებდა. დღევანდელისგან განსხვავებით, ვასაძე სააკაშვილის მმართველობას მაშინ ასე ღიად და მწვავედ არ უპირისპირდებოდა და არც მის გასამართლებას მოითხოვდა. მეტიც, სწორედ იმ წლებში ბიზნესმენის ხელში აღმოჩნდა სიღნაღელების კუთვნილი ქონება, რომელიც ბევრი მათგანისთვის ელემენტარულ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ასეთია თავად დაზარალებულთა ინფორმაცია.

მანანა მაჭარაშვილი ერთ-ერთია, ვისაც იმ წლებში კერძო საკუთრება დაათმობინეს. სიღნაღის ცენტრში მისი კუთვნილი მაღაზია ამჟამად ბაჩანა დავლიანიძის მფლობელობაშია.

მანანა მაჭარაშვილი, დაზარალებული:

– არც წინა და არც მოქმედი მთავრობის დროს ჩვენს საქმეზე რაიმე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიგვიღია. პროკურატურაში შეტანილი გვაქვს განცხადება, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ხდება. უსუფაშვილი, როცა ოპოზიციაში იყო, ამ საქმით დაინტერესდა, ჟურნალისტებიც კი გამოგვიგზავნა, მაგრამ ახლა, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, ყველაფერი დაივიწყა.

– ვის ეკუთვნის ამჟამად თქვენი ტერიტორია?

– გაფორმებულია ვინმე ბაჩანა დავლიანიძეზე, მაგრამ სინამდვილეში ლევან ვასაძის არის. დავლიანიძე და ვასაძე ჯგუფელები არიან, ვასაძის შამპანურის ქარხანაში წამყვან პოზიციაზე მუშაობდა ეს ადამიანი. ჰოდა, აქ სწორედ მისი სახელით მოქმედებდა. თავად ვასაძე იმ პერიოდში უკრაინაში იყო. უთქვამს, რომ თითქოს საქმის კურსში არ იყო, რომ ძალით წაგვართვეს ქონება. ასეც რომ იყოს, დღეს ხომ იცის, რომ ის უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას ფლობს, რატომ არ უბრუნებს კანონიერ მესაკუთრეებს?

„ლევან ვასაძე იმ პერიოდში პირადად არ ჩანდა, ამ საქმეს ბაჩანა დავლიანიძე კურირებდა. ჩვენ ვცადეთ ბატონ ლევანთან დაკავშირება, მაგრამ ვერაფრით შევძელით“

– რა ფართობზეა საუბარი?

– პირადად ჩემი 55 კვ.მ-ია, სადაც მაღაზიას ვამუშავებდი. ეს იყო ჩემი ოჯახის საარსებო წყარო. ჩემ გარდა, გაყოლებაზე ყველას წაგვართვეს საკუთრება და აღმოჩნდა ვასაძის ხელში, თუმცა თავად არსად ფიგურირებს, ყველაფერი დავლიანიძეზე აქვს გაფორმებული.

– უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ქონების ჩამორთმევის პროცესს?

– ეს იყო პირადად ადეიშვილის მითითება. ამას პირდაპირ გვეუბნებოდნენ და არც მალავდნენ. ამბობენ, რომ ბიზნესმენებს აიძულებდნენ ქონების ყიდვას, მაგრამ მაშინ თუ აიძულეს, ახლა რა უშლის ხელს, რომ ეს ქონება კანონიერ მესაკუთრეებს დაგვიბრუნოს. ყველა მილიარდერი, თუ პოლიტიკოსი, ვითომ ხალხის სასიკეთოდ მოქმედებს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა და ეს ჩვენს თავზე გამოვცადეთ. ახლა თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ ლევან ვასაძეს, თუ სადღაც ადამიანური სინდისი აქვს, დაგვიბრუნოს ჩვენი საკუთრება.

თამარ თარაშვილი, დაზარალებული:

– სიღნაღის ცენტრში ვფლობდი 50 კვ.მ ფართობს, სადაც მქონდა მაღაზია. პირდაპირ გამგეობის წინ არის ეს ტერიტორია. იქ იყო მაღაზიები და კაფე. ყველას ერთდროულად წაგვართვეს.

– ვინ წაგართვათ კონკრეტულად?

– ითქვა, რომ ეს იყო ლევან ვასაძე. ყოველ შემთხვევაში პირი, რომელზეც ეს ქონება გადაფორმდა, მისი სახელით მოქმედებდა და როგორც გავიგეთ, ვასაძის ბიზნეს-პარტნიორი ყოფილა. ლევან ვასაძე იმ პერიოდში პირადად არ ჩანდა, ამ საქმეს ბაჩანა დავლიანიძე კურირებდა. ჩვენ ვცადეთ ბატონ ლევანთან დაკავშირება, მაგრამ ვერაფრით შევძელით. წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ის არ იყოს საქმის კურსში, რა გზებითა და რა მეთოდებით წაგვართვეს კერძო საკუთრება. მე ვთხოვდი, რომ დაგვიბრუნოს ჩვენი ქონება.

ლევან ვასაძე ერთადერთი ბიზნესმენი არ გახლავთ, რომლის ხელშიც სიღნაღელებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება აღმოჩნდა. განახლებულ ქალაქში წართმეული საკუთრების ადგილას მალე სხვადასხვა კომერციული დაწესებულებები გაჩნდა. მაგალითად, გელა ბეჟაშვილის კუთვნილი ბაზრის ადგილას „პოპულის“ სუპერმარკეტი გაიხსნა.

გელა ბეჟაშვილი, დაზარალებული:

– 2006 წლის 13 დეკემბერს, ღამით, სიღნაღის საგადასახადო სამსახურში წამიყვანეს. იქ დამხვდა 30-მდე ადამიანი. წამიყენეს ულტიმატუმი, – სიღნაღის კუთვნილი ბაზარი ან საკუთარი ნებით უნდა დათმო, ან შენს ოჯახს პრობლემებს შევუქმნითო. პირდაპირ მითხრეს, – გადაგსრესთო. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შენს შვილს ამაღამვე ნარკოტიკი აღმოაჩნდება და სიცოცხლეს ციხეში დაასრულებსო. მოგვიანებით მართლაც ასე მოხდა, ჩემს ბიჭს ნარკოტიკი ჩაუდეს და ამის საფუძველზე დაიჭირეს. ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, ასეთი გზებით წამართვეს ჩემი კუთვნილი ტერიტორია, რომელიც მიჰყიდეს „პოპულის“. შემდეგ, „პოპული“ რომ გაკოტრდა, „იოლი“ გაიხსნა. დღემდე ვდაობ და სამართალი ვერსად ვიპოვე, ვერც წინა და ვერც ახლანდელ ხელისუფლებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქეთი მატაბელისა და გია გუგუშვილის წინაა

my View

თამარ გონგაძე

თუკი ვინმე მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ, ეს ხელოვანი ადამიანები არიან. ასეთები კი განსაკუთრებით მხატვრები არიან. ქეთი მატაბელმა მაშინ დაიწყო დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, როდესაც საქართველოში კომუნიზმი მძვინვარებდა, ეკლესიაში მართლმადიდებელი ვერ დადიოდა, მხატვარი კი ამ დროს ღვთისმეტყველებას ეცნობოდა, რათა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შეცნობით თავი შეემეცნებინა. დინების საწინაღმდეგოდ ცურვა იყო, როდესაც მხატვარმა სხვადასხვა წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც შექმნა მეორე ოჯახი. ახლა ბრძოლა უწევს, ბრძოლა საიდანღაც მოსული აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც უნებურად ავლენს. თავზე გამარჯვების შემდეგ, პატრიარქის კურთხევით, ბიბლიის დასურათებაზე უნდა დაიწყოს მუშაობა. ზოდიაქოს ნიშნით თევზებია, საპირისპირო მიმართულებით მცურავი თევზები. და როგორც ამბობს, თითქოს დავალებაც აქვს იცუროს დინების საწინააღმდეგოდ.

„საშინელ ხასიათზე ვიყავი, წითელი ღვინო ვიყიდე და მივედი სახელოსნოში. მე და გია იქიდან მეგობრის დაბადების დღეზე უნდა წავსულიყავით. ვიფიქრე, მანამდე ღვინოს დავლევთ-მეთქი. გიამ თავის შეყვარებულზე მითხრა, გათხოვდაო. მეც დავლიე და ვტირი, მაგრამ როგორ?! შეყვარებულს დავშორდი-მეთქი, შევჩივლე. გიამ დამშვიდება დამიწყო. გთხოვ, ნუ ტირიო და გულში ჩამიკრა. მაშინ რომ ჩამიკრა, ასე მოვდივართ დღემდე“

ბიბლია და რუსთაველი

ქეთი მატაბელი: როდესაც ადამიანი შემოქმედებითია, მაშინ ის შეიძლება მიდიოდეს დინების საწინააღმდეგოდ. ხელოვან ადამიანს და მით უმეტეს, მხატვარს, საკუთარ თავთან წინააღმდეგობების გადალახვა უწევს. ჩემი ზოდიაქოს ნიშანი თევზებია. დინების საწინააღმდეგოდ ცურვა მისიადაც კი მაქვს. დინებას თუ გავყევი, მორევში წამიღებს. რთული ნიშანია. რუსთაველზე და ბიბლიაზე იმიტომ ვმუშაობ, რომ ჩემს თავს ჩავწვდე და შევიმეცნო. მერე კი ეს სხვასაც გავანდო. დინების საწინააღმდეგოდ ცურვის ადვილად გადალახვას საკუთარი თავის შემეცნებით ვახდენ. ჩვენი ხატი ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის ხატია. წმინდა გიორგის ხატზე ხშირად ურჩხულის ნაცვლად ადამიანია დახატული. რას ნიშნავს? ცხენზე მჯდომი ვნებებს ფლობ, იმონებ და შუბით შენ უარყოფით ორეულს განგმირავ. შენ თუ შენ თავში ურჩხულს დაამარცხებ, მიცურავ დინების საწინააღმდეგოდ. აი, ეს არის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, დაბრკოლების გმობა და მასზე გამარჯვება.

შოთა რუსთაველიდან გამომდინარე გატაცებული ვარ ასტროლოგიით. ერთმა ასტროლოგმა რამდენიმე წლის წინ მითხრა, კარმული წელი გაქვს და ჯანმრთელობა შეიმოწმეო. სწორედ ამ რჩევამ გადამარჩინა. გავესინჯე და მძიმე სენს გადავრჩი, მაგრამ ადრეულ სტადიაში და ქიმიაც არ დამჭირდა. ღმერთის ნება იყო. და შანსი მომცეს და ამ ქვეყნიდან არ გამიყვანეს, კიდევ მაქვს ეტყობა რაღაც გასაკეთებელი.

ახლა ისეთი წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი მიდგას, რომ არანაირი საქმე არ გამომდის. ყველა პროექტი ჩავარდა. ამას ისიც დაერთო, რომ დედა საავადმყოფოში იწვა, მისგან გამოვედი და ევაკუატორით მანქანა წაყვანილი დამხვდა. აგრესია მომაწვა. ასეთ დროს ყველას ვიშორებ, მინდა მარტომ გავცურო დინების საწინააღმდეგოდ.

პატრიარქმა ბიბლიის დასურათებაზე კურთხევა მომცა. 2010 წელს მანანა კარტოზიამ „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შესრულებული ჩემი ოთხტომეული გადასცა საჩუქრად. ვუთხარით, ეს საქორწინო საჩუქრად დამზადდა-მეთქი. „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ბიბლიას ატანდნენო, გვითხრა. ჩემი ამ აგრესიულობის პერიოდში არ შეიძლება ბიბლიაზე მუშაობა. ასეთი რამ კი ჩემგან წარმოუგენელია. გიაც გაკვირვებულია, მსგავსად აგრესიული არ ყოფილხარ და რა დაგემართაო. ბავშვობიდან მორიდებული ვიყავი, ხელს ვერ ვწევდი, რომ გაკვეთილი

„კრიზისი გადამილახავს. ასეთ დროს ყველას ვიშორებ, მინდა მარტომ გავცურო დინების საწინააღმდეგოდ“

„ჩუმი, არაკონფლიქტური, მორჩილი თინეიჯერი ვიყავი, და თან სულ შეყვარებული. ახლაც ასე ვარ. თაყვანისმცემლები სულ მყავდა, რომლებსაც დღესაც კი არ ვავიწყდები. ერთი მათგანი ყოველ დაბადების დღეზე დიდი თაიგულით ხელში რომ არ მოსულიყო, არ შეიძლეოდა. ბოლო რამდენიმე წელია არ გამოჩენილა... ფსიქოლოგებისგან ვიცი, ჩვენი თაობა გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე დღევანდელი“.

სოსო ბანძელაძის ცოლი 17 წლის ასაკში გახდა. დღეს ცნობილი რესტავრატორიც ამ ასაკის იყო მაშინ. შვიდი წელი იცხოვრეს ერთად. წყვილის ვაჟი გიორგი ბანძელაძეა.

„სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე ჩაერივნენ, ჩვენს მხარეს იჭერდნენ. ჩვენს ურთიერთობაში თავის თავს ხედავდნენ და უნდოდათ, რომ ხელი მოგვეწერა. ამაში ხელიც კი შეგვინყეს“

„რომანტიკული შეყვარებულები ვიყავით. თუმცა ეს ადრეული ქორწინება იყო. ამას შეეწირა ოჯახიც. გარდა ამისა სოსო სულ ალპინიადებზე და ძეგლებზე სამუშაოდ დადიოდა. მე ქალაქში მიყვარს ყოფნა. მთაში ექსპედიციაზე სიარული არ შემეძლო. გარდა ამისა, დედაჩემთან ვცხოვრობდით. ეს ფაქტორიც იყო...“

გავიდა წლები და გამოჩნდა გია გუგუშვილი, რომელსაც ქეთი მანამდეც იცნობდა. მაგრამ ერთმანეთი სულ სხვაგვარად აღმოაჩინეს.

შვიდწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ მიხვდნენ, რომ უერთმანეთოდ აღარ შეეძლოთ. ეს არის ძლიერი სიყვარულის ისტორია. დიდი წინააღმდ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღმდეგობებით სავსე სიყვარულის ისტორია



„შანსი მომცეს და ამ ქვეყნიდან არ გამიყვანეს, კიდევ მაქვს ეტყობა რაღაც გასაკეთებელი“

EXCLUSIVE

„მე და გია საერთო საქმის კეთებამ გაგვაერთიანა. ბევრი საერთო გვაქვს, გემოვნებაც ერთი. ბევრი ნამუშევარი გაგვქონდა უცხოეთში, გამოფენებს ოქროს საწმისის თემაზე ვაწყობდით. ჩვენი სახელი გაგვქონდა საზღვრებს გარეთ. გზებზე დიდი წინააღმდეგობა გვხვდებოდა. გვხვდებოდნენ, გვძარცვავდნენ, ზოგან არ გვატარებდნენ. მაგრამ ეს წინააღმდეგობები ჩვენ კიდევ უფრო გვაკავშირებდა. არსად დავრჩით, სამშობლოში დავბრუნდით და უშუქო და გაყინულ პერიოდში მესამე შვილი გავაჩინე“

ეგობების მიუხედავად ერთად ყოფნა გადაწყვიტეს და მოახერხეს კიდეც. 32 წელია ერთად არიან.

„გია დასახატად უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში დადიოდა. შენც არ გაქვს სახელოსნო და მოდი, იქ იარეო, შემომთავაზა. ირგვლივ სულ მეუბნებოდნენ, გიას მოსწონხარო. იმ დროს გია ვიღაც გოგოსთან დადიოდა. კარგი გოგოა, მოიყვანე ცოლად-მეთქი, ვეუბნებოდი. სანამ გიამ მოიფიქრა, გათხოვდა ის გოგო. აქეთ მე მაკითხავდნენ თაყვანისმცემლები. იმ დროს მართლა შეყვარებული ვიყავი, მაგრამ დავშორდით. საშინელ ხასიათზე ვიყავი, წითელი ღვინო ვიყიდე და მივედი სახელოსნოში. მე და გია იქიდან მეგობრის დაბადების დღეზე უნდა წავსულიყავით. ვიფიქრე, მანამდე ღვინოს დავლევთ-მეთქი. გიამ თავის გოგოზე მითხრა, გათხოვდაო. მეც დავლიე და ვტირი, მაგრამ როგორ?! შეყვარებულს დავშორდი-მეთქი, შევჩივლე. გიამ დამშვიდება დამიწყო. გთ-

ხოვ, ნუ ტირიო და გულში ჩამიკრა. მაშინ რომ ჩამიკრა, ასე მოვდივართ დღემდე. ჩვენი ერთად ყოფნა დროებითი მეგონა, მაგრამ ვერ დავშორდით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოჯახებისგან წინააღმდეგობა შეგვხვდა. ხელი რომ არ მომეწერა, ჩემებმა პასპორტი დამიმალეს. მერე სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე ჩაერივნენ, ჩვენს მხარეს იჭერდნენ. ჩვენს ურთიერთობაში თავის თავს ხედავდნენ და უნდოდათ, რომ ხელი მოგვეწერა. ამაში ხელიც კი შეგვიწყეს. როგორღაც მაინც მოვაწერეთ ხელი. ჯვარი კი უმცროსი ვაჟის, ლუკას ნათლობის დროს დავიწერეთ. ჩვენ უფროს ქალიშვილს კი მარიამი ჰქვია. მე და გია საერთო საქმის კეთებამ გაგვაერთიანა. ბევრი საერთო გვაქვს, გემოვნებაც ერთი. ბევრი ნამუშევარი გაგვქონდა უცხოეთში, გამოფენებს ოქროს საწმისის თემაზე ვაწყობდით. გარდაქმნების პერიოდი იყო, არეული. საქართველოზე უცხოეთში არაფერი იცოდნენ, ჩვენ კიდევ ჩვენი სახელი გაგვქონდა საზღვრებს გარეთ. ჩვენი გატანილი გამოფენები მისიონერულ ხასიათს ატარებდა. გზებზე დიდი წინააღმდეგობა გვხვდებოდა, ბევრი თავგადასავალი გვქონდა. გვხვდებოდნენ, გვძარცვავდნენ, ზოგან არ გვატარებდნენ. მაგრამ ეს წინააღმდეგობები ჩვენ კიდევ უფრო გვაკავშირებდა. არსად არ დავრჩით, სამშობლოში დავბრუნდით და უშუქო და გაყინულ პერიოდში მესამე შვილი გავაჩინე. ვაკეში შეშის ღუმელი გვედგა და გიას ჩემთვის საჭმელი მოჰქონდა.

სხვათა შორის, ჩვენი პირველი შვილი 9 აპრილის დროს მომეშალა. წინა ღამეს ვიყავით მოედანზე გასული“.

- რა კრავს ოჯახს?

- ერთი საქმე და ურთიერთ ლტოლვა, რაც ურთიერთობას განაპირობებს. ერთი ხაზი გვაქვს, მაგრამ სხვადასხვანაირები ვართ. ზოგჯერ ფერში გამიფიქრია და გიას იმ ფერში დაუწყია ხატვა. ცოლ-ქმრის ურთიერთობა ერთ-ერთი საიდუმლოა.

- რექტორის ამპლუაში როგორია?

- მას დიდი საპასუხისმგებლო მისია აკისრია. ახალი თაობა ჰყავს გასაზრდელი და აკადემიას რესტავრაცია უნდა გაუკეთდეს.

- ქალი მამაკაცის კისერია?

- არ მაქვს ქმრის თავის ტრიალის სურვილი, არც გამომივა, არც მინდა. არ მინდა ეს ძალები გამოვიყენო. მე თავისუფლებას ვაძლევ ყველას. თუმცა შენი – შენია.

- ადამიანის მისია რა არის?

- რთული რამეა. დედამიწის ევოლუციისთვის ყველამ წვლილი უნდა შეიტანოს. ყველას თავისი მისია აკისრია. ინტუიციურად უნდა მიხვდეს და ან მერე გაიცნობიეროს. ახლა ყველაფერი არეულია, ბუნებასავით. მყარმა დედამიწამაც დაიწყო მოძრაობა, კოსმოსიც აირია. სად სიყვარულია, სად – სექსია, არეულია. არიმანული ძალები ბობოქრობს, ფული მართავს ყველაფერს. ყველა დამოკიდებული ხდება მასზე. ეს დამღუპველია. ქრისტეს ეშმაკი ეუბნება, შენ მხოლოდ სულიერი სამყაროთი ვერ არჩენ ადამიანს, ჩემი ძალა კიდევ კლდეში, მატერიაშიაო. ეს წინააღმდეგობა უნდა გადალახოს ადამიანმა. დედამიწა სიყვარულის პლანეტაა. თავისი აურით შემოსა ქრისტემ. ნაგავს რომ აგდებ, მის სხეულზე აგდებ. კოსმოსიდან კი ყველაფერი ბრუნდება – ცუდიც და კარგიც.

„პატრიარქმა ბიბლიის დასურათებაზე კურთხევა მომცა. ახლა ისეთი წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი მიდგას, რომ არანაირი საქმე არ გამომდის. სამი პროექტი ჩამივარდა, დედა ავად გახდა. ამ აგრესიულობის პერიოდში არ შეიძლება ბიბლიაზე მუშაობა. წმინდა მიწაზე არ ვარ ნამყოფი. იქ თუ მოვხვდი, ბიბლიაზე სამუშაოდ გზაც გამეხსნება, ალბათ. გონებაშიც მაქვს ახალი აღთქმის მიხედვით ჩანახატები გაკეთებული და ფანქარშიც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძის ახალი პოლიტიკური „Чистильщик“

„არც ერთი მისი მოკავშირე ბრძოლისუნარიანი არ აღმოჩნდა. რესპუბლიკელები გინდ ყოფილან ივანიშვილის მოკავშირეები, გინდ – არა. სხვა პარტიების ფასიც მშვენივრად იცის ივანიშვილმა“

„არ მესმის, რას ნიშნავს გამოკვეთილად პრორუსული ორიენტაცია. აბაშიძეს გამბედაობა არ ეყო, ეთქვა, დღეს და ხვალ ნატოში არ მიგვიღებენო. მე ვიტყოდი, რომ არც დღეს, არც ხვალ და არც ზეგ არ მიგვიღებენ“

ქეთი ხატიაშვილი

უცნაური ახირება აქვს ნინო ბურჯანაძეს. ის ხალხზე კი არ მუშაობს, არამედ ექსპერტებზე, სხვადასხვა ცნობად სახეებზე. მის გარშემო თითქმის ყველა ძველი თაობის ექსპერტია შემოკრებილი. ისინი, ვინც წარსულში გვიყვებოდნენ, როგორ ულპება ძირი ველურ კაპიტალიზმს, ახლა გვიმტკიცებენ, რომ ნინო ბურჯანაძე პრორუსული ორიენტაციის არ არის.

სხვათა შორის, ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა ტყუილების პროპაგანდისთვის ბურჯანაძის კარის ექსპერტები საჯაროდაც კი მიჭირხვნა.

ახლა ექსპერტებს ახალი მისია აქვთ შესასრულებელი – მათ ქალბატონი ბურჯანაძე რუსული კვალისგან უნდა გაწმინდონ, თუმცა, ნითელი ფერის ამოყვანა შავზე უფრო რთული ხდება.

მაგალითად, სოსო ცინცაძეს, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ნინოს იმიჯის ახალი „ЧИСТИЛЬЩИК“-ია, მისიის შესრულება აშკარად უჭირს. გაამართლო ბურჯანაძე, ნიშნავს გაამართლო პუტინი. აქ არის სწორედ ამ მისიის სუსტი წერტილი. და ამის კლასიკური მაგალითი უკრაინაა.

ახლა სოსო ცინცაძეს უწევს, განაცხადოს, რომ ნინო ბურჯანაძეს არ გაუმართლებია პუტინის უკრაინაში მოქმედება. თუმცა, ქალბატონმა ნინომ არამხოლოდ სიტყვიერად გაამართლა, „იმედის“ ეთერში რუკაც კი ააფრიალა, სადაც ყირიმი უკვე რუსეთის ტერიტორიად არის მონიშნული.

აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ გაოცებულმა იკითხა: კი მაგრამ, რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებულიო. ახლა უკრაინის კრიზისის ფონზე ისევ გაოცებული თვალებით კითხულობს: კი მაგრამ, პუტინის არაადეკვატურობა სად დაინახეთო.

მეტი დემონსტრირებისთვის ბურჯანაძემ უკრაინის რუკა აიღო, რუსული გავლენები წითლად გააფერადა და თვალებზე აგვაფარა ყველას, ვისაც ყირიმი უკრაინა „გვეგონა“.

ნინო ბურჯანაძე:

– არ ვიცი, ვინ იდგა იმ პროცესების უკან, რომელიც უკრაინაში ასე გამწვავდა. ნამდვილად იყო შანსი იმისა, რომ უკრაინაში ვითარება დარეგულირებულიყო, ამის შანსი იყო თუნდაც 21 თებერვალს, როდესაც იანუკოვიჩი ისეთ დათმობებზე წავიდა, რომელიც გასაოცარიც კი იყო. ამით დაზარალდა უკრაინელი ხალხი და უკრაინის სახელმწიფო და მოვლენები ისე ვითარდება, რომ მოგებული ამით შეიძლება სწორედ რუსეთი აღმოჩნდეს... წითლად უკრაინის ტერიტორიის ის ნაწილია შეღებილი, სადაც მოსახლეობის 70% რუსია. ეს არ არის რუსულენოვანი ან პრორუსული მოსახლეობა. ეს მოსახლეობა ეთნიკურად რუსია, თავს რუსებად თვლიან და თავიანთ სამშობლოდ, საუკეთესო შემთხვევაში, უკრაინა და რუსეთი ერთად მიაჩნიათ... – განაცხადა ნინომ „პოლიტიკის დროში“.

ბურჯანაძის ახალი პოლიტიკური „ЧИСТИЛЬЩИК“ ცინცაძეა და არა სამჭკუაშვილი. იცის, არის ლაქები, რომლის ამოყვანაც შეუძლებელია. ამიტომაც „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ უკრაინაში პუტინის მოქმედება ბურჯანაძეს არასოდეს გაუმართლებია.

აბა, რა ქნას „Чистильщик“-მა? რაც ყველაზე საინტერესოა, სოსო ცინცაძემ უკვე პუტინის გამართლებაც დაიწყო. მისი განმარტებით, მერე რა, რომ პუტინი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებიდან გავიდა, უფრო ადრე ხომ ამერიკა გავიდა ბირთვული შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებისგან. ანუ ეს ძირმომპალი კაპიტალიზმი....

– რუსეთი რომ ამ ხელშეკრულებიდან გავიდა, ამას საქართველოსთვის მნიშვნელობა არ აქვს – საქართველოსა და რუსეთს შორის ათი ათასობით კილომეტრი არ არის. რუსეთი ჩვენ ნებისმიერი შეიარაღებით მოგვწვდება. ისე თავანყვეტილები გადაეშვნენ დიდი ქვეყნები შეიარაღებაში, რომ უკვე მნიშვნელობა აღარც ჰქონდა პუტინის ამ ხელშეკრულებიდან გასვლას... კრიზისის მიუხედავად, რუსეთმა ზღაპრულად გაზარდა თავისი ბიუჯეტი. ახლა პუტინმა ლამის 500-მილიარდიანი პროექტი წარადგინა სამხედრო ბიუჯეტში... ევროპის ქვეყნები ამცირებდნენ ბიუჯეტს უკრაინის კრიზისამდე. ყველაზე მეტად გერმანია ამცირებდა, თუმცა ახლა მანაც დაარღვია ეს პირობა და განაცხადა, რომ ზრდას დაიწყებს. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ეს ფაქტი და არა კონტექსტიდან ამოგლეჯილად.

– კი მაგრამ, ჩვენთვის სულერთი არ უნდა იყოს, ჩვენს საზღვრებთან რა რაოდენობის იარაღი იქნება განლაგებული...

– კი, რა თქმა უნდა, სჯობს, საზღვრიდან დიდ მანძილზე ერთი შაშხანაც არ იყოს, მაგრამ ამას დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევების გათვალისწინებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ამერიკაც გამოვიდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებიდან ბირთვული შეიარაღების შესახებ, თანაც უკრაინის კრიზისამდე.

– გაითვალისწინეთ, რომ რუსეთს კონსტიტუცია აძლევს უფლებას, რომ სხვა ქვეყანაში სამხედრო შეიარაღების გზით რუსულენოვანი მოსახლეობა დაიცვას...

– თეორიულად შეუძლია...

– რატომ მარტო თეორიულად? უკრაინაში სხვა რამე მოხდა?

– რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთს გინდ ჰქონდეს ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში, გინდა – არა... პუტინს კონსტიტუცია შეაკავებს? მთავარია, როგორია ხელისუფლება. კონსტიტუციაში რა არის ჩაწერილი, მაგას მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს...

– კი მაგრამ, მნიშვნელობა არ აქვს, პიროვნული გადაწყვეტილებაა, ომი თუ სამართლებრივად „მოწესრიგებული“?

– კი, ეს ერთ-ერთი ფაქტორია...

– თქვენ ივანიშვილს ბურჯანაძესთან მოლაპარაკებები ურჩიეთ?

– კი, თუ ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს მომავალ არჩევნებში ცივილიზებული ფორმითა და კონსტიტუციის სრული დაცვით საბოლოოდ დაამარცხოს „ნაციონალური მოძრაობა“, მას სხვა გამოსავალი, გარდა ბურჯანაძესთან კავშირისა, არ აქვს. არც ერთი მისი მოკავშირე ბრძოლისუნარიანი არ აღმოჩნდა. რესპუბლიკელები გინდ ყოფილან ივანიშვილის მოკავშირეები, გინდ – არა. სხვა პარტიების ფასიც მშვენივრად იცის ივანიშვილმა.

პარლამენტსგარეთ ოპოზიციაში ერთადერთი მძიმეწონიანი მხოლოდ ბურჯანაძეა. ასეთი სოლიდური ფიგურა, რომლისთვისაც ღიაა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში მიმავალი გზა, სხვა არ არის. მას რუსეთთანაც შეუძლია დალაპარაკება, ვაშინგტონთანაც და ბრიუსელთანაც. ასეთი პოლიტიკოსი სხვა არ გვყავს. რესპუბლიკელების კაპრიზები ივანიშვილის თვალში თავის დამაჯერებელ რესურსს კარგავს. რესპუბლიკელებს ჰგონიათ, რომ არ შეიძლება იყოს ორი ქალი პოლიტიკოსი ძლიერი და მხოლოდ ერთი უნდა იყოს... ის ერთი ვერ იქცა მძიმეწონიანად და რა ვქნათ ახლა?

– ვის გულისხმობთ?

– ხიდაშელს, რა დიდი მიხვედრა მაგას უნდა?

– კი მაგრამ, ბურჯანაძე გამოკვეთილი პრორუსია... ის ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგაც კი გამოდის...

– არ მესმის, რას ნიშნავს გამოკვეთილად პრორუსული ორიენტაცია. აბაშიძეს გამბედაობა არ ეყო, ეთქვა, დღეს და ხვალ ნატოში არ მიგვიღებენო. მე ვიტყოდი, რომ არც დღეს, არც ხვალ და არც ზეგ არ მიგვიღებენ.

– აქ იმდენად ევროკავშირსა და ნატოზე არ არის საუბარი... ბურჯანაძის პუტინისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო შემაშფოთებელია... რას უზამთ იმ ფაქტს, რომ მან უკრაინის კრიზისში პუტინი გაამართლა?

– მსგავსი რამ არც წამიკითხავს და არც ტელევიზიით მომისმენია. ეს ბურჯანაძეს არ უთქვამს...

სოსო ცინცაძე ახალ ამპლუაში: „მსგავსი რამ არც წამიკითხავს და არც ტელევიზიით მომისმენია. ეს ბურჯანაძეს არ უთქვამს...“

„რუსეთს გინდ ჰქონდეს ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში, გინდა – არა... პუტინს კონსტიტუცია შეაკავებს? მთავარია, როგორია ხელისუფლება. კონსტიტუციაში რა არის ჩაწერილი, მაგას მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარგველაშვილის, ღარიბაშვილისა და უსუფაშვილის პოლიტიკური თამაშები

ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკური თამაშები, პოლიტიკური მოთამაშეები, ახალი თაობის ლიდერები და მათი სამომავლო გეგმები. ექსპერტ ლევან ალაფიშვილის შეფასებით, თამაში რომელიც ახლა პოლიტიკურ ველზე მიმდინარეობს, მარტივია, რადგანაც მას სუსტი ფიგურები თამაშობენ. „პრაიმტაიმი“ ლევან ალაფიშვილს ესაუბრა:

– იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რა თამაშიც ახლა მიდის, მოთამაშეები სუსტები არიან და, შესაბამისად, თამაშიც საინტერესო არ არის. მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი მოთამაშეები ქმნიან საინტერესო თამაშს, როგორც ჭადრაკში, მაგალითად. ამ შემთხვევაში სუსტი მოთამაშეები უინტერესო თამაშს გვთავაზობენ.

– დიდი ხანია, ვაკვირდებით პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის გამართულ თამაშს, რას იტყვით პრეზიდენტის თამაშის სტილზე?

– მარგველაშვილი ცდილობს, კონკრეტული სიტუაციიდან მოიპოვოს უპირატესობა. საბოლოოდ, თამაშის მოგებაზეა თუ არა ეს გათვლილი, ამაზე ჯერ ვერ ვიმსჯელებთ, იმიტომ რომ მის დასრულებამდე ბევრი დროა დარჩენილი. ანუ ორივე მხარე ცდილობს, ერთმანეთს დაანახოს, რომ ის არის გადაწყვეტილების მიმღები და არის უფრო ძლიერი. თუმცა, თამაშის წესებზე რომ იყვნენ შეთანხმებულნი – თამაშში ამოსავალი სახელმწიფოებრიობის გადარჩენაა – ეს უფრო საინტერესო და კარგი თამაში იქნებოდა და ორივე მხარის სიძლიერეზე თამამად ვისაუბრებდი. ახლა ეს თანხმობა არ არის, ახლა პოლიტიკურ მოცემულობაში ვინ უფრო ძლიერია, ამის გარკვევა მიდის...

– ანუ ეს თამაშიც არ არის, ჭიდაობაა უბრალო...

– ჰო, მე თამაში დავარქვი...

– უფრო კონკრეტულად რომ ვიაუბროთ...

– გადავხედოთ, რა მოვლენები იყო: კონსტიტუციური უფლებამოსილება, ევროასოციერების ხელშეკრულების ხელმოწერა, უშიშროების საბჭოს მოწვევა, პარლამენტში გამოსვლა, რიგგარეშე სხდომის მოწვევა, გამოყენებული ვეტოები, ან პირიქით, კანონები, რომლებიც უცხოელების შეფასებითაც დემოკრატიასთან ვერ იყო შესაბამისობაში, მაგრამ პრეზიდენტმა ვეტო არ გამოიყენა... სხვადასხვანაირად იწყებს პოლიტიკურ თამაშს მარგველაშვილი... პრეზიდენტს, სხვებისგან განსხვავებით, დროის მეტი ლიმიტი აქვს, ამ შემთხვევაში მას გრძელვადიანი თამაში შეუძლია დაგეგმოს, რადგანაც მისი პრეზიდენტობის დროს საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდება და ადგილობრივი არჩევნებიც... მას გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვისთვის მეტი დრო და რესურსი აქვს... შესაბამისად, ახლა დასკვნების გაკეთება რთულია.

– მარგველაშვილმა თამაშის რომელი რაუნდი მოიგო?

– საბოლოო ჯამში, პარტიაში მოგებაზე საუბარი არ შეიძლება, იმიტომ რომ პარტია საარჩევნო ციკლთან არის დაკავშირებული. ეს ერთ მთლიან კონტექსტში წარმომიდგენია.

– იმის თქმა მაინც თუ შეგვიძლია, პრეზიდენტი პოპულისტურ ნაბიჯებს დგამს უფრო, თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამოდის?

– პოპულიზმი წარმოდგება ხალხისგან...

– ჰო, მაგრამ პოლიტიკაში სხვა დატვირთვა აქვს...

– კი და ვაგრძელებ... მარგველაშვილმა თავის გამოსვლაში თქვა, მე ვარ როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის პრეზიდენტიო. ანუ ის ყველას პრეზიდენტია... მარგველაშვილის სამომავლო პოლიტიკური ზრახვები რომ ვიცოდე, შეფასებებში უფრო თამამი ვიქნებოდი, შევძლებდი, მეთქვა, მისი ნაბიჯები პოპულიზმია თუ არა. ახლა შეიძლება ის, უბრალოდ, შეცდომას უშვებს ხოლმე...

– ამბობ, რომ ძლიერი პოლიტიკური ფიგურები ახლა პოლიტიკაში არ არიან, 10-ბალანი შკალით როგორ შეაფასებდი მარგველაშვილს, უსუფაშვილსა და ღარიბაშვილს?

– 10-ბალიანიდან მარგველაშვილს დავუწერდი 5-ს, უსუფაშვილს იმიტომ, რომ პარლამენტი მთლად ისეთი ვერ არის, – 4-ს და ღარიბაშვილისაც – 5-ს. სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავრობის მეთაურია...

– ამ ფიგურებს აქვთ შანსი, მომავალში ძლიერ ფიგურებად ჩამოყალიბდნენ?.. ვფიქრობ, მარგველაშვილი და ღარიბაშვილი ახალი თაობის პოლიტიკოსები არიან, ეს მათ ახლებური მიდგომებით დაამტკიცეს – 90-იანი წლების პოპულიზმი არ ახასიათებთ... ეს არის შანსი?

„ირაკლი ღარიბაშვილს სხვა მნიშვნელოვანი პლუსი აქვს, რომელიც უნდა განავითაროს“

– ეს დიდწილად დამოკიდებული იყო და არის ამ ორივე ფიგურის ძირითადი პოლიტიკური კარის გამხსნელის მოქმედებაზე. მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის პოლიტიკურ კარიერას განაპირობებდა და განაპირობებს ივანიშვილთან სიახლოვე, მასთან კავშირი. მარგველაშვილს გაუმართლა, იმ მხრივ, რომ ის გაცილებთ ადრე მოსწყდა ივანიშვილის ორბიტას, ვიდრე ღარიბაშვილი. მარგველაშვილს ეს ყველაფერი გააზრებული აქვს და ახალ რეალობაზე ადაპტირებულია. ღარიბაშვილი ამ პირობებზე ჯერ მორგებული არ არის... თუმცა, ღარიბაშვილს სხვა მნიშვნელოვანი პლუსი აქვს, რომელიც უნდა განავითაროს. ანუ, როცა აღმასრულებელ ხელისუფლებაში რეალური ბერკეტები გაქვს, ხალხთან ინტერაქციით რეალური გადაწყვეტილებები უნდა მიიღო და პოლიტიკური გავლენა და რეიტინგები განავითარო... როცა ღარიბაშვილს პრემიერად ამტკიცებდნენ, საპარლამენტო განხილვები იყო და მაშინ ვთქვი, ღარიბაშვილს მისი მოკლე და მწირი პოლიტიკური გამოცდილების გათვალისწინებით მოუწევს ჯერ მთავრობის შიგნით და შემდეგ კოალიციისა და პარტიის შიგნით ლიდერად დამკვიდრდება-მეთქი. ეს პროცესი მას ჯერ არ დაუსრულებია. იქ ჯერ ისევ რჩებიან ლიდერობის ამბიციის მქონე სხვა პოლიტიკოსები და, შესაბამისად, ჯერჯერობით ყველასთვის უპირობოდ მისაღები ლიდერი ამ ორ ფორმატში – სამთავრობო გუნდში, ერთი მხრივ, და კოალიციასა და პარტიაში, მეორე მხრივ, წარმოჩინებული არ არის.

– რას გულისხმობთ? სხვა ვინ ლიდერს გულისხმობთ?

– სხვადასხვა საკითხებზე ჩვენ ვხედავთ სერიოზულ დაპირისპირებებს... მარტივი მაგალითია, კვირიკაშვილი და ღარიბაშვილი ერთი და იგივე გუნდიდან არიან. კვირიკაშვილმა მიწის საკითხისა და სავიზო თუ სხვა რეგულაციების შემოღების შემდეგ განაცხადა: მე ვრჩები მემარჯვენედო. ეს ფუნდამენტური წინააღმდეგობაა. მეორე მაგალითი: მინისტრის მოადგილე ჯავახიშვილი, სწორედ იმ დღეს აცხადებს, სავალუტო ფონდი მოსყიდულიაო, როცა პრემიერი ხვდება სსფ-ს დელეგაციას. ასეთი რაღაცები როგორ ხდება, არ ვიცი... ეს ნიშნავს, რომ ლიდერი ან სუსტია ან ჯერ არ არის ჩამოყალიბებული... ორი დღის შემდეგ ისევ ვიცე-პრემიერმა კვირიკაშვილმა საჯაროდ თქვა: მთავრობა ვემიჯნებით ამ განცხადებასო... მინისტრის მოადგილე გუნდის ლიდერის, მთავრობის ლიდერის შეხვედრის წინ ასეთ განცხადებას არ უნდა აკეთებდეს...

„დღეს რამდენად მოესწრება მისი ლიდერად ჩამოყალიბება, ძნელი სათქმელია. ეს შეიძლება თვითონ ღარიბაშვილისთვისაც რთული ამოცანა იყოს“

– სწორედ ეს პროცესია ახლა ხმაურითა და სკანდალებით რომ მიდის?

– კი და ეს ლოგიკურია... აქამდეც უნდა ყოფილიყო ეს. ღარიბაშვილს თავისი გადაწყვეტილებით, თანმიმდევრობით, გადაწყვეტილებების მიღების დროს კომპრომისების გამოვლენით პარტიის შიგნით ეს უნდა მიეღწია. დღეს რამდენად მოესწრება მისი ლიდერად ჩამოყალიბება, ძნელი სათქმელია, ეს თვითონ ღარიბაშვილისთვისაც შეიძლება რთული ამოცანა იყოს.

ლევან ალაფიშვილი: „მარგველაშვილს გაუმართლა, იმ მხრივ, რომ ის გაცილებით ადრე მოსწყდა ივანიშვილის ორბიტას, ვიდრე ღარიბაშვილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუკა კვალიაშვილი მეორე შვილის დედა გახდება

რა ცვლილებები შეიტანა მომღერალმა გარეგნობაში

„ერთი ყური ხუთგან მაქვს გახვრეტილი და მეორე სამგან. წარბზეც მაქვს პირსინგი, მაგრამ ვერ ვკმაყოფილდები, ახალი და ახალი მინდა“

კონფლიქტი ქმართან პირსინგის გამო - ერთი დღე გაბუტულები ვიყავით

„იმ ღამეს ორივე შოკირებული ვიყავით, თუმცა ბავშვის მოშორებაზე ერთი წამიც არ მიფიქრია“

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

ყოველთვის გამოირჩევა სხვებისგან, ჩაცმის სტილით, ვიზუალით, თმის ფერით. არ ამბობს უარს სვირინგებზე, პირსინგებზე, ვარცხნილობისა და თმის ფერის ცვლაზე. ახლახან ორი პირსინგი დაიმატა, ტუჩზე და ენაზე. ამის გამო ერთდღიანი კონფლიქტიც ჰქონდა ქმართან, მაგრამ ახლა ყველაფერი დალაგდა. ცოლ-ქმარმა ახალი ამბავი გაიგო, ნუკა კვალიაშვილი ფეხმძიმედ არის.

ნუკა კვალიაშვილი:

- ენა და ტუჩი რომ გავიხვრიტე, იმ ღამეს გავიკეთე ტესტი. ისე, უბრალოდ, თორემ წინა ფეხმძიმობას ჩემი ახლანდელი მდგომარეობა ნამდვილად არ ჰგავს. დადებითი პასუხი რომ მიჩვენა, შოკი მქონდა. მართალი გითხრა, თავსაც არ ვიცავდი, მაგრამ ფეხმძიმობა დაგეგმილი ნამდვილად არ გვქონია. მაშინვე ნიკუშას მივწერე (დარეკვას აზრი არ ჰქონდა, ენა რომ მქონდა გახვრეტილი ვერ ვლაპარაკობდი), მალე მოდი სახლში, ასეთი ამბავია, არ ვიცი რა ვქნა-მეთქი. იმ ღამეს ორივე შოკირებული ვიყავით, თუმცა ბავშვის მოშორებაზე ერთი წამიც არ მიფიქრია.

- ვინ გინდათ რომ დაიბადოს?

- ბიჭი გვყავს, სასურველია გოგო იყოს, მაგრამ არც ბიჭზე ვიტყვით უარს, რა თქმა უნდა. იქიდან გამომდინარე, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ფეხმძიმობა მაქვს, არ მშივდება, ტოქსიკოზი არ მაქვს, არ მეძინება. პირველ ფეხმძიმობაზე სულ მშიოდა, სულ მეძინა და ტოქსიკოზიც მქონდა, ყველა მეუბნება, გოგო იქნებაო. მალე გამოჩნდება ექოსკოპიაზე ვინ არის.

- სახელიც ხომ არ შეურჩიეთ უკვე?

- ჯერ არა, თუმცა არ მინდა ისეთი სახელი დავარქვა, რაც ბევრს ჰქვია. ლილუ მომწონს, ჩემმა ქმარმა მაშო აიკვიატა. არ ვიცი რომელზე შევჩერდებით. ჯერ სქესი გავარკვიოთ და სახელზე მერე ვიფიქრებთ.

- ნუკა, 19 წლის ასაკში გათხოვდი, მალე შეეგუე ოჯახურ თანაცხოვრებას?

- სანამ გავთხოვდებოდი, მე და ნიკუშა ხშირად ვიყავით ერთად. ერთად მივდიოდით დასასვენებლად, ზოგჯერ ის რჩებოდა ჩემთან, ხან მე ვცხოვრობდი მასთან. ფაქტობრივად ერთად გავიზარდეთ. ამდენად, დიდად არაფერი შეცვლილა, მხოლოდ კომუნალური გადასახადები დაგვემატა.

- სადილებსაც ხომ სხვა გიკეთებდათ მაშინ?

- რაც შვილი გვეყოლა, საჭმელს ნიკუშა აკეთებს. მე მხოლოდ ლუკას ვუკეთებ საჭმელს. ძალიან ვიღლები, ფსიქოლოგიურად ძალიან დიდი ზეწოლა მაქვს, სულ ლუკას დავდევ, იქ არ მივიდეს, ის არ ჩამოაგდოს, ხელი არ შეყოს უადგილო ადგილას, მოკლედ, ძალიან ბევრი საქმე დამემატა და ამან ჩემ ნერვიულ სისტემაზეც იმოქმედა. ნიკუშა ხვდება ამას და აღარ მაწუხებს იმისთვის, რომ სადილი ან ვახშამი მოვუმზადო. ისე ცუდი მზარეული არ ვარ, ყველაფრის გაკეთება ვიცი, ტოლმისაც კი. არ გამიკეთებია მხოლოდ ხაჭაპური, ლობიანი და ხინკალი. ესეც იმის ბრალია, რომ სისუფთავესთან დაკავშირებით წიკიანი ვარ. არ მიყვარს ყველგან ფქვილი რომ ყრია, ამიტომაც არ მიცდია.

„არ მოსწონს პანკური სტილი, ის, რაც მე მომწონს. თუმცა ბოლო დროს შევთანხმდით. მე ჩემი გემოვნება მაქვს, მას - თავისი. პრობლემები იყო ჩვენს ურთიერთობაში, რაც ერთი თვის წინ გამოვასწორეთ“

„რაც შვილი გვეყოლა, საჭმელს ნიკუშა აკეთებს“

- ნუკუშა კარგი კულინარია?

- ძალიან. გემრიელად ხომ აკეთებს და ისეთ ვიზუალს აძლევს, ისე აფორმებს, გაოცებული ვარ. ერთხელ ვუთხარი კიდეც, კულინარიას პროფესიად ხომ არ გაიხდი-მეთქი. სამაგიეროდ, დალაგება მე მევალება. ნიკაც მეხმარება ზოგჯერ. არ ვიცი რა დამემართა, სულ მგონია, რომ სახლი დასალაგებელია, კედლების წმენდა დავიწყე მგონი ყოველ კვირას (იცინის). გათხოვებამდე, სანამ თეფშები არ გამოილეოდა სამზარეულოში არ გავრეცხავდი, კომპიუტერის მაგიდაზე ჭუჭყიანი თეფშებით ცათამბჯენები მქონდა აშენებული.

- შენი მეუღლე რას საქმიანობს?

- სწავლობს.

- ნიკა სწავლობს, შენ ბავშვს უვლი, მალე ორ ბავშვს მოუვლი, რითი ცხოვრობთ?

- სანამ მეორე ფეხმძიმობის ამბავს გავიგებდი, შემოთავაზება მქონდა, ბენდთან ერთად მემღერა ერთ-ერთ ბარში, მაგრამ უარი ვთქვი. 15-16 სიმღერის მღერა ერთ საღამოს, ძალიან რთულია, მით უმეტეს ასეთ მდგომარეობაში. თან უნდა იმღერო ის, რაც შენ კი არა, ხალხს მოსწონს. ეს გადამწყვეტი იყო, უარი რომ მეთქვა. თან ძალიან გადავიღალე. ფსიქოლოგიური დაღლილობა მაქვს. დღეს ლუკა დედას გადავუყვანე და ვისვენებ. ძალიან დამძიმდა ბავშვი, ჩემთვის მძიმეს აწევა არ შეიძლება. კიდევ კარგი გვერდით კორპუსში ცხოვრობს ეკა, ეგ რომ არ მყავდეს, არ ვიცი რა დაემართებოდა ჩემს ნერვებს.

- ნუკა, ახალი პირსინგები გაქვს...

- ზოგადად ძალიან მიყვარს პირსინგები, სვირინგები. ერთი ყური ხუთგან მაქვს გახვრეტილი და მეორე სამგან. წარბზეც მაქვს პირსინგი, მაგრამ ვერ ვკმაყოფილდები, ახალი და ახალი მინდა. ენა ხომ არ გამოჩნდება, ქუჩაში ენაგამოყოფილი ხომ არ გავდივარ, მაგრამ მე მსიამოვნებს, ამით თავს ვანებივრებ. ზოგისთვის ეს სიამოვნება „მოპინგია“, ჩემთვის - სვირინგი, პირსინგი, თმის ფერის, ვარცხნილობის შეცვლა.

- მტკივნეული არ არის ენის, ტუჩის გახვრეტა?

- გახვრეტის პროცესი არა, მოშუშების პროცესია ცოტა უსიამოვნო. ჯერ ბოლომდე შეხორცებულიც არ მაქვს.

- მეუღლეს თუ მოსწონს შენი ეს გატაცება?

- უფრო ეგუება, ვიდრე მოსწონს, მაგრამ საბოლოოდ, როცა ხედავს, რომ ყველასგან განსხვავებული ცოლი ჰყავს, დარწმუნებული ვარ, მოსწონს. ენის გახვრეტას რომ ვაპირებდი, იცოდა, ტუჩი სიურპრიზი იყო მისთვის. მერე ერთი საათი ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. ულტიმატუმი წავუწენე, არ შეიძლება ყველაფერი მე დავთმო, კომპრომისზე შენც უნდა წამოხვიდე ზოგჯერ-მეთქი.

- კიდევ რას აპროტესტებს ნიკა, მაგალითად, ჩაცმის სტილში თუ ერევა?

- მხოლოდ გემოვნების თვალსაზრისით. არ მოსწონს, პანკური სტილი, ის, რაც მე მომწონს. თუმცა ბოლო დროს შევთანხმდით. მე ჩემი გემოვნება მაქვს, მას - თავისი. პრობლემები იყო ჩვენს ურთიერთობაში, რაც ერთი თვის წინ გამოვასწორეთ. სულ კონფლიქტი გვქონდა და ორივე დავიღალეთ. ბოლოს ჩავეძიეთ კონფლიქტის მიზეზებს. დაველაპარაკეთ ერთმანეთს, რა არ მოგვწონდა ერთმანეთში და გავარკვიეთ.

- შეიძლება გკითხო, რა პრეტენზიები გქონდათ ერთმანეთთან, რა იყო კონფლიქტის ძირითადი მიზეზი?

- მაგალითად, მე არ მომწონდა, ძალიან გვიან რომ მოდიოდა. მეც დავიწყე დაგვიანება და ამით მივახვედრე, რომ ეს არ არის ნორმალური.

- როგორ ემზადება ნიკა მამობისთვის?

- არც ერთს აღარ გვაქვს შიშის მომენტი. უკვე ყველაფერი ნაცნობია ჩვენთვის. ვიცი, რომ მეორე მშობიარობა გაცილებით ადვილია. სხვათა შორის, პირველ მშობიარობაზე მესწრებოდა ნიკუშა, ის და დედაჩემი გვერდიგვერდ იდგნენ (იღიმება).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის წინააღმდეგ?!

„გიორგი ქადაგიძემ 2009 წლის 5 იანვრის წერილით გასცა თანხმობა „ევროოილზე“ „სახალხო ბანკის“ აქციათა გაყიდვის თაობაზე“

რა ჩვენება მისცა პროკურატურას გიორგი ქადაგიძის მოადგილემ?

მირიან ბოქოლიშვილი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მალე საგამოძიებო ორგანოში დაიბარებენ. ამის საფუძველს იძლევა 2015 წლის 17 თებერვლით დათარიღებული პროკურატურის დადგენილება, რითაც „სახალხო ბანკის“ (ახლანდელი „ლიბერთი ბანკი“) ყოფილი აქციონერები დაზარალებულად ცნეს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ „სახალხო ბანკის“ აქციების გასხვისება მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოხელეთა მიერ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევით, რის შედეგადაც აქციონერებს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიადგათ.

საქმის ფაქტობრივ გარემოებებში კი მითითებულია, რომ შპს „ნიუ ენერჯის“ ხელმძღვანელი პირების მხრიდან ადგილი აქვს დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას და სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტს.

რა კავშირი აქვს შპს „ნიუ ენერჯის“ „სახალხო ბანკის“ საქმესთან? ვისი დავალებით წაართვეს აქციები კანონიერ მფლობელებს? რეალურად, რა მიზნით დაიხარჯა 2008 წელს დევნილთა საცხოვრებელი სახლებისთვის გამოყოფილი მილიონები და რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა გიორგი ქადაგიძეს, რომელიც იმ პერიოდში ეროვნულ ბანკთან არსებულ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელობდა?

პასუხებს საკმაოდ სერიოზულ კორუფციულ პირამიდასთან მივყავართ და თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე ეს ფაქტები დადასტურდა, შესაძლოა, ამ საქმემ არაერთი მოქმედი, თუ ყოფილი თანამდებობის პირი გადაიყოლოს.

პროკურატურის ზემოხსენებულ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „2008 წლის 28 დეკემბერს შედგასს „სახალხო ბანკის“ აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბანკის აქციონერებმა, ჯამში, 10 ათას აშშ დოლარად საკუთარი წილები მიჰყიდეს ოფშორულ ზონაში დარეგისტირებულ შპს „ევროოილს“, კერძოდ: ირინა ჯინჭარაძემ აქციათა – 24,88%, ელენე კოვალენკომ – 20,18%, გიორგი გოგუაძემ – 9,6%, თამარ მარშანიამ – 5,912%, გაიოზ მარშანიამ – 1,27%, ანნა აგურეევამ – 7,21% და კომპანია „სტარკოუდ რესოურსიმ“ – 20,18%“.

აქციონერები ამტკიცებენ, რომ მათ წილების დათმობა ვანო მერაბიშვილის გარემოცვის სასარგებლოდ აიძულეს „სახალხო ბანკის“ ხელში ჩაგდების მიზნით. ვინ იდგა რეალურად ოფშორში რეგისტრირებული „ევროოილის“ უკან? ამის გარკვევით ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო არ დაინტერესებულა, მაშინ, როდესაც კანონმდებლობით სწორედ მის უშუალო მოვალეობაში შედიოდა, როგორც ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესწავლა, ისე ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ის, რაც ქადაგიძის უწყებამ არ გააკეთა, თავად აქციონერებმა მოახერხეს. გაირკვა, რომ შპს „ევროოილი“ 2007 წელს პანამაში რეგისტრირებულმა კომპანიებმა დააფუძნეს. მისი საწესდებო კაპიტალი სულ რაღაც 1000 ფუნტს შეადგენდა, საქმიანობის სფეროდ კი სუპერმარკეტების მართვა ჰქონდა მითითებული.

დავით ერისთავი, დაზარალებულთა ადვოკატი:

„ჩვენ ამოვწიეთ ყველა მასალა „ევროოილის“ შესახებ. 2011 წელს მოახდინეს ამ კომპანიის ლიკვიდაცია, რადგან უკვე აღარაფერში სჭირდებოდათ. გამოძიებით უკვე დადგენილია ამ კომპანიის რეალური ბენეფიციარები. ესენი არიან ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული კომპანიები, მაგალითად, „ნიუ ენერჯი“, რომელმაც ფიქციური ხელშეკრულებების საფუძველზე „ევროოილს“ მილიონობით თანხა გადაურიცხა, რომლითაც „სახალხო ბანკის“ აქციონერებს საკუთარი წილები დაათმობინეს. ეს არის 2008 წლის ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 118 მილიონი გამოიყო. ამ თანხის ძირითადი ნაწილი მიიღო „ნიუ ენერჯიმ“, რომელმაც დევნილთათვის ეს მშენებლობა განახორციელა, თუმცა თანხის ნაწილით შეძენილ იქნა „სახალხო ბანკი“. ჩვენ გვაქვს კომპლექსური მტკიცებულებები, რომ „სახალხო ბანკი“ შეიძინეს 2008 წელს დევნილთა საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოყოფილი თანხებით. არსებული მტკიცებულებების საფუძველზე პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წელს გიორგი ქადაგიძის მიერ დაიგეგმა და სრულყოფილებაში იქნა მოყვანილი „სახალხო ბანკის“ აქციონერებისთვის აქციების წართმევა. ქადაგიძის მიერ არ გადამოწმებულა კომპანია, რომელმაც ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის 90 პროცენტი შეიძინა. მას არ შეუმოწმებია რა ფულადი სახსრებით შეიძინა „ევროოილმა“ „სახალხო ბანკი“. ისევე, როგორც არ გაურკვევია, რა საბანკო გამოცდილება ჰქონდა ამ კომპანიას და ხომ არ იყო დაკავშირებული შავ ფულთან. რეალურად, „ევროოილი“ მოქმედებდა შავი ფულით. ამიტომ, გვინდა მოვუწოდოთ სამართალდამცავებს, იმოქმედონ ადეკვატურად და პასუხისგებაში მისცენ შესაბამისი პირები. სწორედ გიორგი ქადაგიძის უშუალო მოთხოვნით, „სახალხო ბანკის“ დირექტორად დაინიშნა ეროვნული ბანკის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ღლონტი, რაც ასევე სერიოზული დარღვევაა, რადგან ორგანული კანონი გიორგი ღლონტს უკრძალავდა, 6 თვის განმავლობაში დაეკავებინა რაიმე თანამდებობა კომერციულ ბანკში“.

საქართველოში ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო 2008 წელს შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელად ეროვნული ბანკის ახლანდელი პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე დაინიშნა. სააგენტომ წყნეთში, „კანონიერ ქურდ“ შაქრო კალაშოვისთვის ჩამორთმეულ აგარაკზე დაიდო ბინა.

დავით ერისთავი: „სახალხო ბანკი“ შეიძინეს 2008 წელს დევნილთა საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოყოფილი თანხებით“

ოთარ ნადარაია: „ევროოილს“ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს წინაშე შესაფერისობის დეკლარაცია არ წარმოუდგენია...

პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი და ამჟამად სების პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე არ საუბრობს, თუმცა „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა სების ვიცე-პრეზიდენტის, ოთარ ნადარაიას დაკითხვის ოქმი. ნადარაია 2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ოქტომბრამდე ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილე იყო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად გიორგი ქადაგიძის დანიშვნის შემდეგ კი ის სების ვიცე-პრეზიდენტი გახდა. ნადარაია პირდაპირ თუ ირიბად იძლევა ჩვენებას გიორგი ქადაგიძის წინააღმდეგ. გამომძიებლის კითხვაზე – შედიოდა თუ არა სააგენტოს ფუნქციებში კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება? – ნადარაია პასუხობს:

„დიახ, სააგენტოს უფლებამოსილებაში შედიოდა კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის, როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მოძიება... კანონის მიხედვით, პირი, რომელიც აპირებს, შეიძინოს კომერციული ბანკის წილი, ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაფერისობის დეკლარაცია, სადაც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მიუთითებს ინფორმაციას, რომ ის არ არის ნასამართლევი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, ან ეკონომიკური დანაშაულისთვის. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, „ევროოილს“ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს წინაშე შესაფერისობის დეკლარაცია არ წარმოუდგენია. წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდებოდა, რომ „ევროოილის“ წილის 50%-ს ფლობდა „ბეითონ თრეიდ ლიმიტედი“, (რეგისტრირებული ოფშორულ ზონაში, კერძოდ, ბელიზში), 50%-ს კი – „ჰემილდეკ კორპორეიშენი“ (რეგისტრირებული ოფშორულ ზონაში, კერძოდ, პანამაში). მოწოდებული დოკუმენტაციით არ ირკვევა ამ კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეები. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა გიორგი ქადაგიძემ 2009 წლის 5 იანვრის ნერილით გასცა თანხმობა „ევროოილზე“ „სახალხო ბანკის“ აქციათა გაყიდვის თაობაზე“, – ყვება პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი.

ჩვენებაში ოთარ ნადარია კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს:

„დაახლოებით 2009 წლის გაზაფხულზე მე, ლუხუმ კაპანაძე, ზაზა მიქაძე და „სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორი გიორგი ღლონტი ვიმყოფებოდით ყატარში „სახალხო ბანკში“ ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მე გამაგზავნა ან რობერტ კრისტიანსენმა, ან გიორგი ქადაგიძემ“.

ლუხუმ კაპანაძე, რომელსაც საკუთარ ჩვენებაში ოთარ ნადარაია ახსენებს, ვანო მერაბიშვილის კლასელი და ზემოხსენებული „ნიუ ენერჯის“ მფლობელი გახლდათ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „ნიუ ენერჯი“ გაკოტრების რეჟიმში გადავიდა. წინა ხელისუფლების დროს კი ეს კომპანია მსხვილ სახელმწიფო შეკვეთებზე მუშაობდა. ყველაზე მსხვილი დაკვეთა „ნიუ ენერჯიმ“ სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო. დევნილთა სახლების მშენებლობას შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ხელმძღვანელობდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ 135 მილიონი ლარიდან 95 მილიონი „ნიუ ენერჯიმ“ მიიღო. სხვა კომპანიებს ერთი სახლის აშენებაში – 26 000 ლარი, „ნიუ ენერჯის“ კი ყველაზე მეტი 28 200 ლარი გადაერიცხა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს ხელისუფლებაში ელოდებიან, ვის გაგზავნის დასავლეთი 9 მაისს მოსკოვში“

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძე 9 მაისს მოსკოვში გამგზავრების მსურველებს აგროვებს. წამსვლელთა სიაში, რა თქმა უნდა, თავად ნომერ პირველია. მოთხოვნილება აქვს, რომ ათეულში მთავრობის მაღალჩინოსნები მოხვდნენ და სწორედ ამის აფიშირებას შეეცადა „ვზგლიადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: „საქართველოს დელეგაცია აუცილებლად უნდა გაემგზავროს მოსკოვში და მონაწილეობა მიიღოს სამამულო ომის გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ეს არის საერთაშორისო მასშტაბის ზეიმი. ასე რომ, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის მიზეზად დასახელება მხოლოდ და მხოლოდ საბაბია. თუმცა ვფიქრობ, საქართველოს მთავრობას გამბედაობა არ ჰყოფნის ამ ნაბიჯის გადასადგმელად, მხოლოდ იმით არიან დაკავებულები, რომ დასავლეთისკენ იყურებიან, ელოდებიან, ვის გაგზავნის დასავლეთი 9 მაისს მოსკოვში“.

უცნაურია, მაგრამ ბურჯანაძის მორიგმა პრორუსულმა განცხადებამ უმრავლესობაში გაოცება მაინც გამოიწვია. მაგალითად, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი ბურჯანაძისგან საბოლოო პოზიციის დაფიქსირებას ითხოვს, – გვინდა ვიცოდეთ ეს ქალბატონი რუსეთისკენ ექაჩება საქართველოს თუ დასავლეთის მომხრეაო... თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე თუ არა, საქართველოში, მინიმუმ, სესიაშვილი ერთადერთია, ვისაც კიდევ სჭირდება ახსნა-განმარტების გაკეთება ბურჯანაძესთან მიმართებაში. სამაგიეროდ იგივე სესიაშვილს სულაც არ უკვირს საკუთარი გუნდის წევრის დაჟინებული მოთხოვნა ქვეყნის გეზის შეცვლასთან დაკავშირებით.

გოგი თოფაძე: „მე არ მომწონს, რომ ნატოა ჩვენი გეზი. რაც არ მომწონს, არ ვმალავ. თქვენ გგონიათ, ის მომწონს, რომ ნატოში შევალთ? ნატომ არ მიგვიღო და არც მიგვიღებს. 10 წელი ოცნებად იყო. არ მიგვიღო ამ ნატომ, არც მიგვიღებს, არ შეგვიშვებენ ნატოში. გაირკვა ყველაფერი ხომ? ხან მაპ-ი მოიგონეს, ხან – ის. 15 წელია, ვცდილობთ. რამდენი ხანი?!“

ირაკლი სესიაშვილი ირწმუნება, ნატოსკენ მიმავალ გზაზე სიარულისას ყველა უნდა გადავარწმუნოთ, ვინც კი ამ გზის მოწინააღმდეგე იქნებაო, მაგრამ თოფაძის განსხვავებულ აზრს პატივს სცემს და აცხადებს: ასე ლაპარაკობს, თორემ ხელი მოაწერა კოალიციის დეკლარაციას, რომელშიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილია დაფიქსირებულიო...

ირაკლი სესიაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– მე არ ვიცი, ნინო ბურჯანაძეს საით მიჰყავს საუბარი, ან რის თქმა უნდა მსგავსი განცხადებებით, საკუთარ პოზიციას აფიქსირებს თუ სხვის წინადადებას აჟღერებს – ეს ნინო ბურჯანაძემ ერთხელ და სამუდამოდ მკაფიოდ უნდა თქვას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ჩრდილოეთის ორიენტაციას და რა მნიშვნელობა აქვს ევროპულ, ევროატლანტიკურ ორიენტაციას, ამ ქალბატონმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვას, რა პოზიციაზე დგას. თუ ბურჯანაძე ქვეყანას რუსეთისკენ ექაჩება, ეს ღიად უნდა დააფიქსიროს, ასეთ შემთხვევაში ჩვენი პასუხი უმარტივესი იქნება. თუ იტყვის, რომ პროდასავლელია და მხარს უჭერს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარია მისი განცხადება. იმ ფონზე, როდესაც რუსეთი აგრძელებს როგორც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებას, ასევე სამხედრო აგრესიას ჩვენი პარტნიორი, მეგობარი უკრაინის მიმართ, რა ნამუსით გვთავაზობს ასეთ დროს ბურჯანაძე რუსეთში 9 მაისს გამგზავრებას? ვფიქრობ, ამ ეტაპზე მსგავსი კითხვის დასმაც კი უხერხულია.

– ბურჯანაძის ორიენტაციის გარკვევამდე საკუთარი გუნდის წევრის, გოგი თოფაძის ორიენტაციის გარკვევა აუცილებლობად არ მიგაჩნიათ?

– მოდით, ბატონ გოგის პოზიციასთან მიმართებაში ვთქვათ, რომ ყველაფერი არის მარტივად და ნათლად, ბატონი გოგი დიდი ხანია ასეთ პოზიციაზეა...

– მაშინ გაურკვეველია მისი კოალიციაში ყოფნა, მით უფრო მაშინ, როდესაც მას ხელი აქვს მოწერილი...

– დიახ, აქვს ეს ხელმოწერა დაფიქსირებული, იზიარებს კოალიციის საერთო პრინციპულ გადაწყვეტილებას, მან სწორედ თავისი ხელმოწერით დააფიქსირა ეს ნება, თუმცა, როგორც ჩანს, შინაგანად ინარჩუნებს ადრე გაჟღერებულ პოზიციებს. ხანდახან ოჯახში გვაქვს განსხვავებული აზრები და ამხელა პოლიტიკურ კოალიციაში განსხვავებული მოსაზრებები რომ იყოს, არ არის გასაკვირი. მით უფრო, რომ გოგი თოფაძის პოზიციას არანაირი ზემოქმედება, ზეგავლენა არ შეუძლია მოახდინოს საერთო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ზურგს უმაგრებს სახალხო პლებისციტი, საზოგადოების მოთხოვნა, ასოცირების ხელშეკრულება. ჩვენ აღებული გვაქვს „one way ticket“ და ამით დამთავრებულია ამ საკითხზე მსჯელობა.

– მიგაჩნიათ, რომ კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის მსგავსი უარყოფითი განცხადება ნეგატიურად არ იმოქმედებს და ხელს არ შეუშლის თქვენს ეგრეთწოდებულ საერთო პრინციპს და არც კითხვის ნიშნებს გააჩენს დასავლეთში?

– არა, რა თქმა უნდა. ბატონი გოგი ახალს არაფერს ამბობს, მან ეს პოზიცია თხუთმეტი წლის წინათ დააფიქსირა, შემდეგ გაიმეორა და შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა. ასე რომ, გოგი თოფაძე არის ჩვენი კოალიციის ღირსეული წევრი, ლიდერი, თავისი განსხვავებული პოზიციით, თუმცა საერთო პოზიციას მხარს უჭერს.

– ხელმოწერა და მისი განცხადებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება...

– თოფაძეს არასოდეს უთქვამს, რომ ევროკავშირისკენ არ უნდა ვიაროთო.

– ამას ღიად აფიქსირებს და, შესაბამისად, ის ბურჯანაძესთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე კოალიციასთან...

– იცით, მე ასე არ ვფიქრობ, გოგი თოფაძეს აქვს პირადი, ინდივიდუალური პოზიცია, რომელიც მან განაცხადა ერთ დროს და დღემდე იცავს ამას. შესაძლოა, თუნდაც საკუთარი პრინციპების გამო, შეიძლება აქ პრინციპულობის ამბავი უფროა. აქ მთავარი ის არის, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, ნატო კონსენსუსის გზით იღებს გადაწყვეტილებას და არა ცალკეული დიპლომატების განცხადებებით. მართალია, ამ გზაზე შეგვხვდება პრობლემები, დაბრკოლებები, მაგრამ მიზნამდე მაინც მივალთ, ვერავინ ხელს ვერ შეგვიშლის და თუ ვინმე შეგვხვდება, ვინც ასე არ ფიქრობს, ის უნდა გადავარწმუნოთ.

– თოფაძის გადარწმუნებას ცდილობთ?

– იცით, თოფაძეს დაფიქსირებული აქვს ხელმოწერა და ეს არის მთავარი მტკიცებულება. არ ვთვლით, რომ ეს საკითხი საჭიროებს შიდა გარჩევის მოწყობას და ხელოვნურად დაძაბულობის შექმნას, რადგან კოალიციაში ბატონ გოგის ყველა ძალიან დიდ პატივს სცემს და ჩვენ გვესმის, რომ ბატონი გოგის მიერ გაცხადებული პრინციპული პოზიციიდან გადარწმუნების მცდელობა, მინიმუმ, კოლეგიალურად არასწორი იქნება.

„არ ვთვლით, რომ ეს საკითხი საჭიროებს შიდა გარჩევის მოწყობას და ხელოვნურად დაძაბულობის შექმნას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას ნახავთ „X ფაქტორის“ მეორე სეზონშ

my View
თამარ გონგაძე

„X ფაქტორის“ მეორე სეზონისგან ბევრ სიურპრიზსა და დროის სახალისოდ გატარებას ელოდეთ. ორშაბათის მოსვლა ცუდ ემოციებთან აღარ იქნება ასოცირებული. ახალი ჟიური, ახალი წამყვანები, ახალი ძლიერი ხმები... ისევ პაექრობა, ისევ შეჯიბრი, ისევ ბევრი X-ის აღმოჩენა. ეს ყველაფერი 6 აპრილიდან „რუსთავი 2“-ის ეთერში, ნაცნობ დროსა და ნაცნობ ლოკაციაში – დიდ საკონცერტო დარბაზში. სულ ოთხი საკასტინგო დღე და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის გაცნობა გელოდებათ.

„პრაიმტაიმი“ ისევ „X ფაქტორის“ საინფორმაციო მხარდამჭერია. ჩვენთან ნახავთ და წაიკითხავთ იმას, რასაც ეთერში გასვლამდე ვერსად ნახავთ. გთავაზობთ ჟიურის წევრების – გიორგი გაბუნიასა და ანრი ჯოხაძის ფრთოსან ფრაზებს. მოემზადეთ, ბიჭებმა უკვე ერთმანეთში კარგი კინკლაობა გაარაღეს.

გიორგი ხაბურზანია:

– ჟიური ერთმანეთთან შეთამაშდა, გაშინაურდა. ჩაწერისას იმდენად ბევრი სახალისო მომენტი იყო, პირდაპირ დაუმონტაჟებლად შეიძლება გაუშვა. არ მეგონა ასე კარგად თუ შედგებოდა ანრის და გიორგის დუეტი. ანრი არაფერს უთმობს. დაგვიბრუნდა ის სოფო „ნიჭიერიდან“ რომ გვახსოვს – ბედნიერი და მხიარული. თამთა არის დივა. მაგარი გოგოა. ბევრი შემდგარი მუსიკოსი და მომღერალი მოდის „იქს ფაქტორში“. აქ ისეთ ადგილს ხედავენ, სადაც მათ ეკადრებათ მოსვლა. ანრიმაც არჩევანი ჩვენს შოუზე გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა შოუში კომფორტს სთავაზობდნენ. მაგრამ არ ექნებოდა ის, რაც „იქს ფაქტორში“ აქვს - გამოწვევა. ჩვენი შეთავაზება გამოწვევად მიიღო.

ანრი ჯოხაძე:

– „იქს ფაქტორმა“ გამოწვევით და ექშენით გადაწონა. მე ხომ პიგმალიონის ბუნების ადამიანი ვარ. რაღაცების და ვილაცების შექმნა მიყვარს. შიდა სამუშაო სტილი საინტერესოა ჩემთვის. ვისურვებ ისეთი გუნდი შემხვდეს, რომელსაც საინტერესო რეპერტუარს, ექსპერიმენტულს შევთავაზებ.

- რა ტიპის ჟიურის წევრი გინდა იყო?

- საზოგადოება განსხვავებულ ანრის არ ელოდება. ვიქნები ჩემი იუმორით.

- თამამი ფრთოსანი ფრაზებით.

- ალბათ, რა შემცლის? მე მაინც ვფქირობ, აქცენტს პროფესიონალიზმზე გავაკეთებ. ბევრი ახალგაზრდაა, რომელთაც ჟიურის წევრებისგან რჩევა და სწორი მიმართულება დასჭირდებათ.

- სტეფანესა და გიორგის დუეტს თავისუფლად ჩაანაცვლებ.

- ყველაზე ნაკლებად ამ თემაზე ვფიქრობ. სტეფანემ და გიორგიმ ბუნებრივად დაინყეს და მერე ჩაიხვიეს. შენ ფიქრობ, რომ ასე ვიქნებით ჩვენ? უბრალოდ, შენ გინდა ასე იყოს.

- ასე იქნება. შოუს ნაწილია.

ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ისეთი „დუელი“ გააჩაღეს, პირველ სეზონს არაფრით ჩამოუვარდება. გთავაზობთ ანრის და გიორგი ფრაზებს, ცალ–ცალკე და დიალოგისას.

გიორგი გაბუნია (კონკურსანტებს):

– აუკინძავი მძივივით ხარ. მე ვფიქრობ, რომ დაბნეული მძივიდან ლამაზი სამკაულის აწყობა მაინც შეიძლება. სარეცხის მანქანაში ჩაგდებულ კატას მაგონებ. ყელი ეხსნება იმხელაზე, რომ ანრიც ჩაეტევა შიგნით. სიმღერას ეჭიდავები. მაინტერესებს კიდევ რა ფერებია შენს პალიტრაში და გეუბნები „კის“. მე გამიხარდა შენ რომ მოხვედი, მაგრამ უფრო გამიხარდება, როცა წახვალ. პირველად იმღერე როკი და აფრებს ეტაკე ჯიმი ჰენდრიქსის მაისურით. შენ შეგიძლია იყო გაფუჭებული ონკანივით.

ანრი: გაბუნიამ არ იცის, რომ ერთ ლუკმად არ მეყოფა, მაგრამ ვადაგასული ხორცის ჭამა არ მიყვარს.

გიორგი: თუ მომხარშავ, შეიძლება გამოვდგე.

ანრი (კონკურსანტს): ერთი საჯდომით ორ ცხენზე ვერ დაჯდები.

გიორგი: გააჩნია საჯდომის ზომას, ანრი, შენ მოახერხებ.

გიორგი: ანრიზეა ნათქვამი, ვისი ვისაშიაო.

ანრი: არ შეგიბრალებს წილხვედრი, გიო.

ანრი: შენ რა გინდა ლაგოდეხი გადაიკიდო? რუსთავი ხომ გელოდება.

ანრის ფრთოსანი ფრაზები კონკურსანტების მისამართით. ლიზამ გაგვიჩხირა ბოლომდე. ქართველების სარძლოს უარს ვერ ვეტყვი. ერთი პირობით გეტყვი კის, თუ ჩეროში დამაბამ. მე არ ვიცი თქვენს იქსებს სად ხედავთ, მაგრამ მე თქვენს მუსიკალურობას ყლინჯში ვხედავ. ამ ყურებისა და ამ ყველაფრის გამო გეუბნები „აცხას“. აფრებიც წაიღო, გემით წაითო, ლეილაც წაიღო, ნამდვილი ვამპირია. კოპლებიანი – „არა“. სიმღერის ნაცვლად შემოგვთავაზე გარკვეული სახის აერობიკა. განა როგორ უნდა გძულდეს მისი უდიდებულესობა მუსიკა, რომ ასე იმღერო. მე მგონია, რომ X Factor-ი მკერდში უფრო გაქვს. შენს მკერდს „არას“ ვერ ვეტყვი. ადამიანს, რომელსაც ბიონსეს გაჟიმვა უნდა, „არა“ როგორ უნდა ვუთხრა? ასეთი ნამღერით თქვენ მე დამიმახინჯეთ ცხოვრების რამდენიმე წუთი. ვინ გირჩია X Factor-ში მოსვლა? შეგიძლია სასამართლოში უჩივლო. შენ ხარ მასობრივი წამების იარაღი. ასეთი ნამღერი უმაღლეს სასჯელად უნდა დაეკანონონ.

მოკლედ, ბიჭები ნადვილად არ მოგაწყენენ, მენდეთ. გიორგი გაბუნია ისეთია, როგორიც პირველი სეზონიდან გახსოვთ. ადამიანები ერთ წელში არ იცვლებიანო, ამბობს.

ანრი ჯოხაძე: „გაბუნიამ არ იცის, რომ ერთ ლუკმად არ მეყოფა, მაგრამ ვადაგასული ხორცის ჭამა არ მიყვარს“

გიორგი გაბუნია: ორმაგი ურთიერთობა მაქვს დასამყარებელი ჟიურის ახალ წევრებთან და კონკურსანტებთან. იყო რამდენიმე კონკურსანტი, რომელზეც არც კი დავფიქრებულვარ ისე ვთქვი „კი“. სხვათა შორის, ჟიურის ყველა წევრის აზრი დაემთხვა. ესენია: ლინდა ადამია, ჯგუფი „ვანილა ქეიჯი“, პანკ ბენდი, ბიჭები ბებიებთან ერთად რომ მოვიდნენ. გიორგი ნაკადოდა. ეთერში რომ არ ვიჯექი, წვერით დავდიოდი. დღესაც ბევრისთვის მიუღებელია ჩემი ეთერში წვერით ჯდომა და მეუბნებიან, ღერა-ღერა დაგაცლით მაგ წვერს, სანამ არ გაიპარსავო.

- ვინ გემუქრებათ?

- „კურიერის“ პროდიუსერები. მაგრამ იმდენი ღერი მაქვს, ვერ მოასწრებენ. მე ჩემი ნებით არ ვიპარსავ და იმათაც ეზარებათ დაცლა. ასეთი პირდაპირ ეთერში აღმომაჩინეს. ასე შედიხარო, მკითხეს? უკვე დროც არ

გიორგი ხაბურზანია: „არ მეგონა ასე კარგად თუ შედგებოდა ანრის და გიორგის დუეტი. ანრი არაფერს უთმობს. დაგვიბრუნდა ის სოფო „ნიჭიერიდან“ რომ გვახსოვს – ბედნიერი და მხიარული. თამთა არის დივა. მაგარი გოგოა“

შიძე შარშანაც იყო და გამიხარდა წელსაც რომ მოვიდა. დარწმუნებული ვარ, მოხვდება ათეულში.

- შენ და თამთა გოდუაძე ისევ გვერდიგვერდ სხედხართ. კულისებში საკმაოდ ახლოს და თბილად მოიკითხეთ ერთმანეთი, კალთაშიც კი ჩაგიჯდა.

- ჩანს, რომ თბილი ურთიერთობა გვაქვს.

- ეს ურთიერთობა კოლეგობაზე მეტია?

- უფტო მეტი.

- და მეგობრობაზე?

- მეგობრობისგანაც განსხვავდება. ეს არის ბევრად უფრო თბილი ურთიერთობა, რომელიც შარშან ჩამოგვიყალიბდა. ჩემთვის ეს ურთიერთობა ძვირფასია. მიხარია, რომ ისევ არის ჟიურიში და ვსხედვართ ისე, როგორც ვისხედით. მიხარია, რომ ახალი წევრებიც ჩვენთან ერთად არიან. ახალი სტიმულია.

- კენჭების გადასროლა დაიწყე ანრისკენ.

- შემთხვევით მივარდება და ანრიც მაფრთხილებს, არ დამკაწროო, გირჩევნია მე არ გადმოვიდე კაწვრაზეო. ბოროტად არც კონკურსანტებს ვკანრავ, გამოხატვის მანერა მაქვს ასეთი. მოლოდინი თავიდანვე გაჩნდა. მე და სტეფანე ბუნებრივად მივედით ეგრეთ წოდებულ „მტრობამდე“. ახლო საქმიანი ურთიერთობა არ მქონია, როგორც ანრისთან, ისე სოფოსთან.

- ლამბერსექსუალის იმიჯს ეთერში არ გიშლიან?

- წვერის მოშვება დიდი ხანია მიიყო იმისი, რომ რაიმე შეეცვალათ.

- სადამდე გაიზრდი?

- აკაკი წერეთელივით არ ვიქნები.

თამთა გოდუაძე ისევ ძველი გრაფიკით იმოძრავებს, ორშაბათს დილას ჩამოფრინდება და ოთხშაბათს გაფრინდება. აცვია ისევ სცენურად, თამამად.

თამთა გოდუაძე: ყველაფერი კარგად მიდის, ფრიად ბედნიერი ვარ. მომწონს მეორე სეზონის დასაწყისი.

- ერთდადერთი ჟიურის წევრი იყავი და რჩები, რომელსაც აქ დიზაინერი არ აცმევს.

- ეს იმიტომ ხდება, რომ დრო არ მაქვს. ჩასაცმელზე და „პრიმერკებზე“ სარბენი რომ მქონდეს, მაგის დრო და საშუალება არ მაქვს. თორემ ადრეც ვთქვი, რომ ქართველ დიზაინერებთან მუშაობა დიდი სიამოვნებით მინდა.

- ჟიურის ახალ შემადგენლობაზე თქვი, ახალ სკოლაში გადასულივით ვარო და ეჩვევი?

- მივეჩვიე. ადვილად ვეჩვევი.

- ახალ კოლეგებზე რას იტყვი?

- ძალიან კარგად და კომფორტულად ვგრძნობ თავს. ჩვენი ქიმია არსებობს. იმედია ეს ხალხზეც გადავა.

- გამორჩეული ქიმიაც არსებობს, შენგან ხელ მარცხნივ.

- ლოგიკურია. გიო სულ სხვა ადამიანია. ორჯერ ვიჯექი სოფოსთან და ანრისთან ერთად და ურთიერთობაში პირველი ნაბიჯები გადავდგი.

- მან თქვა, რომ თამთა მეგობარზე მეტია ჩემთვისო.

- ვგიჟდები გიო ისე მიყვარს. რაღაცებს ბოდავს და იგონებს. თავში რა

გიორგი გაბუნია: „ეს არის ბევრად უფრო თბილი ურთიერთობა, რომელიც შარშან ჩამოგვიყალიბდა. ჩემთვის ეს ურთიერთობა ძვირფასია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი – ფლირტი, კინკლაობა და ახალი დუელი

თამთა გოდუაძე: „ვგიჟდები გიო ისე მიყვარს. რაღაცებს ბოდავს და იგონებს. თავში რა აქვს, არ ვიცი. სკანდალების მოგონება თუ უნდა, არ ვიცი“

EXCLUSIVE

აქვს, არ ვიცი. სკანდალების მოგონება თუ უნდა, არ ვიცი.

- და გულში?

- ვუყვარვარ და მიყვარს ძალიან. მხოლოდ მეგობრულად.

- როგორია?

- თბილია, ზრდილობიანია. შეიძლება შოუში სულ სხვაგვარად ჩანდეს, მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვანაირია. კეთილია. ამ შეფასებაზე მაყურებელს შეიძლება განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეს. ის შოუა, სადაც ყველას თავისი როლი აქვს. ცხოვრებაში ყველანი სხვანაირები ვართ. ცხოვრებაში გიო კარგი ბიჭია.

სოფო ნიჟარაძეს პირველ სეზონზეც სთავაზობდნენ ჟიურიში ჯდომას. მაშინ ამერიკაში ცხოვრობდა და სწავლობდა.

სოფო ნიჟარაძე:

– საკმაოდ ჩქარა დავთანხმდი შემოთავაზებას. ამერიკაში ვცხოვრობდი, მაგრამ ინტერნეტით პირველ სეზონს ვადევნებდი თვალყურს. მაინტერესებდა როგორი ახალი თაობა მოდის საქართველოში. უსაზღვროა ტალანტი, რომელიც ჩვენთან არის.



სოფო ნიჟარაძე: „გემოვნებით სამივე განსხვავებული მომღერალი ვართ და ჩვენი კოლაბორაცია საინტერესო სანახავი იქნება“

ყოველ წელს უფრო და უფრო კარგი ნაკადი მოდის. ჟიურიში ყოფნის გამოცდილება მაქვს. მაგრამ „იქს ფაქტორი“ კიდევ უფრო საინტერესოა. ჟანრობრივად განსხვავებულია. მუსიკალური მიმართულებაა, ჩემი პროფესიაა და ცოტა უფრო მკაცრი და მომთხოვნი უნდა ვიყო.

- ჟიურიში სამი მომღერალი ხართ, ეკონკურენტებით ერთმანეთს?

- კონკურენცია უნდა იყოს კონკურსანტებს შორის. სტილით, გემოვნებით სამივე განსხვავებული მომღერალი ვართ და ჩვენი კოლაბორაცია საინტერესო სანახავი იქნება. შეიძლება ერთ აზრზეც ვიყოთ შეფასებისას, შეიძლება არც დავეთანხმოთ ერთმანეთს.

- თამთას იცნობდი?

- თამთა საბერძნეთში გავიცანი. „იავნანას“ კონცერტზე ერთად გამოვედით.

- რომელ კატეგორიას ისურვებდი?

- ვისაც ჩემი გამოცდილება სამომავლოდ გამოადგება. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი შემხვდება.

- სოფო, ამერიკიდან ზედმეტი კილოგრამებით ჩამოხვედი. დაიბრუნე ძველი წონა?

- ჯერ ისევ არ დამიბრუნებია. სამი კილო კიდევ უნდა დავიკლო.

რაც შეეხება კონკურსანტებს – ბევრი საინტერესო ახალგაზრდის გაცნობა მოგიწევთ. შოუში ცნობილი სახეებიც მონაწილეობენ – ალეკო ბერძენიშვილი, ლიზა ყენია. კონკურსტანტებს შორის არიან ოთო ნემსაძის ძმა, ოთარ ტატიშვილის და ზურა კობეშავიძის ვაჟები. სხვათა შორის, ლიზა სათვალით და კეპით გამოვიდა, რომ ჟიურის წევრებს არ ეცნო. მხოლოდ შეფასების შემდეგ მოიხსნა სათვალე. „შეფასებამდე მე არ მინდოდა არც მაია ჯაბუას შვილი ვყოფილიყავი და არც ლიზა ყენია, მინდოდა ამის გარეშე შეგეფასებინეთ“.

აჩიკო სოლოლაშვილი ქორეოგრაფიც არის და უკვე წამყვანიც. შოუს უცხოელი ქორეოგრაფიც ეყოლება.

აჩიკო სოლოლაშვილი:

– როდესაც ამხელა პასუხისმგებლობას გაკისრებენ ადამიანები, ფიქრობენ იმაზე, რომ შენ ეს შეგიძლია. უფლება არ მაქვს იმედები გავუცრუო. ორმაგად დიდი პასუხისმგებლობაა ქორეოგრაფობა და წამყვანობა. მინდა წინა სეზონზე უკეთესი იყოს და ვნერვიულობ. მიყვარს ეს საქმე, ბედნიერი ვარ, რომ საჭირო ვარ. მე სხვაგან ასეთი გუნდი არსად შემხვედრია. მიხარია, რომ ამ გუნდში მეც წვლილი შემაქვს.

ია სუხიტაშვილი:

– წინა სეზონი ძალიან კარგი იყო და მეორესაც მაშინვე დავთანხმდი. მე ადამიანი არ მინახავს, ვისაც „რუსთავი 2“-ზე დონე არ მოსწონებოდეს ან რაიმე გაეპროტესტებინოს. ძალიან დახვეწილი პროექტია.

- პარტნიორი შეიცვალე.

- გეგაც არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო. ამ პროექტში გავიცანი. მადლობა მას. კომფორტული იყო მასთან ერთად მუშაობა. მნიშვნელოვანია ვინ არის შენი პარტნიორი. მე და აჩიკო ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. იმაზე არ არის ლაპარაკი როგორ შევეწყობით ერთმანეთს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სავალუტო ფონდის მოკური თერაპია საქართველოში

„მთავრობის პრეროგატივაა ხარჯების შემცირებასა და გადასახადების გაზრდას შორის არჩევანის გაკეთება, ასევე კონკრეტული ზომების მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ, მთავრობას დავეხმაროთ. მაგალითად, გადასახადების გაზრდა იმგვარად შეიძლება მოხდეს, რომ ამან მინიმალური გავლენა იქონიოს ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე“

ვის რას ურჩევს მოკების მოსახსნელად აზიმ სადიკოვი

EXCLUSIVE

რატომ ამართლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს სავალუტო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

ლელა წიკლაური

სავალუტო ფონდის მისია ცოტა ხნით ჩამოვიდა საქართველოში, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო შტოებს შეხვდა, საკუთარი დასკვნა დატოვა და წავიდა. შეასრულა ვალდებულება, რაც ყველა წევრი ქვეყნის წინაშე აქვს აღებული. რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება მათ რჩევებს, ეს სხვა საქმეა.

„BUSSINES TIME“ დაინტერესდა, რით დაეხმარა სავალუტო ფონდი ამ შემთხვევაში საქართველოს და ინტერვიუ სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში აზიმ სადიკოვს ვთხოვეთ:

– ბატონო აზიმ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ გააანალიზა საქართველოში არსებული მდგომარეობა და მთავრობას ურჩია ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ხელისუფლებამ პრივატიზაციის გააქტიურების, საბიუჯეტო ხარჯების შემცირებისა და ინვესტიციების მოზიდვის კამპანია გამოაცხადა. რას გულისხმობს ყოველისმომცველი სამოქმედო გეგმა? ამ შემთხვევაში რა უნდა გაკეთდეს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური დეპრესიისა და მსგავსი უარყოფითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად?

– საქართველოს ეკონომიკას ერთდროულად რამდენიმე მძლავრმა საერთაშორისო შოკმა შემოუტია, რაც გამოიხატა ქართული პროდუქციის ექსპორტის, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილებისა და ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებაში. უცხოური ვალუტის შემოსავლის კლებამ ზეწოლა იქონია ლარზე, რომელიც, შესაბამისად, გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებაში. შოკებმა გააუარესა საქართველოს სავაჭრო ბალანსიც. ლარის გაუფასურება იწვევს ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებას, რაც, გაუარესებულ სავაჭრო ბალანსთან ერთად, საქართველოს წარმოების შემცირებას იწვევს.

გეგმა, რომელიც ვიგულისხმეთ, უპირველეს ყოვლისა, შეამცირებს საგარეო ანგარიშების გაუარესებას. ამგვარი გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს ექსპორტიდან და ტურიზმიდან მისაღები შემოსავლების ბოლოდროინდელი კლების ნაწილობრივ დაბალანსებას მაინც. ეს შესაძლებელია იმ ბაზრებზე გასვლით, რომლებიც უკრაინაში არსებული კონფლიქტითა და რუსეთის რეცესიით არ დაზარალებულა. გასაღების ახალი ბაზრები უნდა მოიძებნოს. გეგმა, ასევე, გულისხმობს ძალისხმევის გაორმაგებას მთავრობისა და კერძო სექტორის გაერთიანებული ძალებით, რათა ქვეყანამ ინვესტიციები მოიზიდოს – მათ შორის პრივატიზაციიდან. რა თქმა უნდა, ეს სათქმელად უფრო იოლია, მაგრამ კოორდინებული რიტორიკა და კამპანია გრძელვადიან პერსპექტივაში სასურველ შედეგს მოიტანს.

ექსპორტზე ორიენტირებული და, ასევე, იმპორტის ჩანაცვლების ეფექტის მქონე სამთავრობო პროგრამები უნდა გაგრძელდეს.

ასევე, ეკონომიკის ზრდის დაბალი მაჩვენებლის გამო შემოსავლების მოსალოდნელი კლების პირობებში მთავრობამ უნდა მოახდინოს ბიუჯეტის გეგმების გადასინჯვა, რათა დეფიციტი კონტროლს ექვემდებარებოდეს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ხარჯების შემცირებით და/ან გადასახადების გაზრდით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სოციალური ხარჯები დაცული იქნეს ბიუჯეტში, რადგან მიუსაფარი და სოციალურად დაუცველი ჯგუფები ეკონომიკური სირთულეების პერიოდში ყველაზე სერიოზული გავლენის ქვეშ ექცევიან. უდავოა, რომ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა – შემცირებული ხარჯების ან გაზრდილი გადასახადების პირობებში – სავარაუდოდ, ეკონომიკურ აქტივობას შეამცირებს. თუმცა, იმავდროულად სწორედ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა დაეხმარება ლარის გაუფასურების გამომწვევი ზეწოლის შერბილებას. ამიტომ რთულია არჩევანის გაკეთება და სიტუაცია ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა დაბალანსდეს.

ასევე, უნდა გაგრძელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ინტერვენციებისგან თავის შეკავებას. ეს აუცილებელია, რადგან მასშტაბური და შეუვალი შოკებისგან ლარის დასაცავად ქვეყნის სავალუტო რეზერვების გამოყენება მხოლოდ რეზერვების დანაკარგებს გამოიწვევს და შეანელებს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მეტად საჭირო გაუმჯობესებას.

დაბოლოს, რადგან საქართველოში ბევრს სესხი აშშ დოლარში აქვს, ლარის გაუფასურების პირობებში დიდ ტვირთად დააწვებათ კრედიტების მომსახურების ვალდებულება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელოს კომერციული ბანკების მდგომარეობის ზედმიწევნითი მონიტორინგი. ჩვენი მოლოდინით საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხი გაუარესდება, თუმცა მათ ამ გამოწვევის დაძლევა უნდა შეძლონ ძლიერი კაპიტალიზაციის პირობებში. ზოგი სესხის დაფარვის გრაფიკის გახანგრძლივება გახდება საჭირო. ეს უკვე დაანონსდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ. ამ ინიციატივის მიზანია მსესხებლების ტვირთის შემსუბუქება.

– საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გადაისინჯა. ეს განცხადება თქვენი შემავჯამებელი შეხვედრის შემდეგ ოფიციალურად გააჟღერა ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა. 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ნაცვლად, 2015 წელს საქართველოში 2-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი. აშკარაა ბიუჯეტის დეფიციტის მატების საშიშროებაც. რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად?

- ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად მთავრობამ უნდა გამოავლინოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესამცირებელი მუხლები და თუ საჭირო გახდა, გაზარდოს გადასახადები შემოსავლების მოსალოდნელი შემცირების დასაბალანსებლად. მთავრობის პრეროგატივაა ხარჯების შემცირებასა და გადასახადების გაზრდას შორის არჩევანის გაკეთება, ასევე კონკრეტული ზომების მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ, მთავრობას დავეხმაროთ. მაგალითად, გადასახადების გაზრდა იმგვარად შეიძლება მოხდეს, რომ ამან მინიმალური გავლენა იქონიოს ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე.

– გადასახადის განაკვეთის ზრდა და საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. რამდენად მისაღებია ეს ზომები ეკონომიკური ზრდისთვის? საქართველოში არსებული პოლიტიკური ოპოზიცია საპირისპირო ზომების გატარებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას. ისინი აცხადებენ, რომ გადასახადების შემცირება უნდა მოხდეს. რა მეთოდები შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, განსაკუთრებით ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში?

– თქვენ ნამდვილად კარგ, თუმცა რთულ კითხვას სვამთ. უდავოა, რომ გადასახადების განაკვეთის გაზრდა და ხარჯების შემცირება, სავარაუდოდ, ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებს. თუმცა, ეს ინიციატივა ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის შემცირებაში დაგეხმარებათ და ამგვარად მოახდენს ლარის გაუფასურების გამომწვევი ზეწოლის შემცირებას. როგორც ზემოთ ვახსენე, მდგომარეობის ამ ორი საშუალებით დაბალანსება დელიკატური საქმეა. მაგალითად, თუ რისკები გაძლიერდა და საქართველოში 2015 წელს ეკონომიკური ზრდის 2-პროცენტიანი პროგნოზიც შემცირდა ამ ინიციატივების განხორციელება ქვეყანას დაეხმარება სავაჭრო დეფიციტის შემცირებაში და ხარჯების დანაკლისის შევსებაში. ასეთ შემთხვევაში უფრო ძლიერ არგუმენტად გამოდგება ფისკალური პოლიტიკის გაუმკაცრებლობა, რათა მან ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი.

– გარე ფაქტორების გარდა, რამ გამოიწვია საქართველოში ვალუტის გაუფასურება? საქართველოს მთავრობამ დაუშვა რაიმე შეცდომა? ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა გამართლებულია? შედეგები საკმაოდ მძიმედ აისახება მოსახლეობაზე.

– ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ თითქმის მთლიანად გარე ფაქტორებით იყო გამოწვეული. 2014 წლის იანვრიდან ლარი აშშ დოლარის მიმართ დაახლოებით 25 პროცენტით გაუფასურდა. თუმცა, ბევრი სხვა ვალუტა – ევრო, პოლონური ზლოტი, შვედური კრონა (მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ) აშშ დოლარის მიმართ თითქმის იმავე დონეზით გაუფასურდა. ხოლო აზერბაიჯანული მანათი – 34 პროცენტით, უკრაინული გრივნა და რუსული რუბლი გაცილებით მეტადაა გაუფასურებული.

ნამდვილად, ლარის გაუფასურებამ გაზარდა აშშ დოლარში ხალხის საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების ტვირთი. აშკარაა, რომ ზოგ ოჯახს უჭირს ამ პირობებში სესხის გასტუმრება. ამიტომაც ბანკები შეთანხმდნენ მათთვის სესხის დაფარვის გრაფიკის გაგრძელებაზე. ამიტომაც ვურჩიეთ მთავრობას და ისინიც სრულად გვეთანხმებიან ბიუჯეტში სოციალური ხარჯების დაცვაზე.

– საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ აქცენტები გააკეთა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის კომუნიკაციაზე. ექსპერტები ბევრჯერ ჩიოდნენ კომუნიკაციის ნაკლებობაზე. საქართველოს მთავრობა ეროვნულ ბანკს ადანაშაულებს ვალუტის გაუფასურებაში. რამდენად გამართლებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დადანაშაულება ამაში? როგორ ფიქრობთ, რა ხდება? თქვენ ამას იმიტომ გეკითხებით, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერს მის წევრ ქვეყნებში გაცვლითი კურსის კორექტირებას და მათ რეკომენდაციებს აწვდის.

- საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის ურთიერთპატივისცემისა და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის დაცვის სულისკვეთების მქონე თანამშრომლობა კრიტიკული მნიშვნელობისაა ეფექტური მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად – განსაკუთრებით არსებულ პირობებში, როდესაც ეკონომიკას გარედან მომდინარე შოკების პირობებში უწევს ფუნქციონირება.

საქართველოს ეროვნული ბანკის დადანაშაულება კონტრპროდუქტიულია. მიგვაჩნია, რომ ეს უწყება სწორ პოლიტიკას ეწევა საქართველოსთვის, რადგან თავს იკავებს ინტერვენციებისგან და ლარი მცოცავ რეჟიმში ჰყავს გაშვებული. ამგვარ პოლიტიკას მტკიცედ ვუჭერთ მხარს. განსხვავებული აზრის არსებობა ნორმალური და ჯანსაღი პროცესია, თუმცა ამაზე დებატები საჯაროდ არ უნდა წარმოებდეს.

– საქართველო სავალუტო კრიზისის ზღვარზეა? რას ფიქრობთ ვალუტის გაუფასურების ტენდენციაში გადაზრდის შანსებზე? რა პირობებში შეიძლება ეს ტენდენციად იქცეს? გაცვლითი კურსი თავდაპირველ ნიშნულს შეიძლება დაუბრუნდეს?

– მიუხედავად იმისა, რომ შედარებით სწრაფად მოხდა, ლარის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურება ნორმალურია – ალბათ, იმ 2-3 ეპიზოდის გამოკლებით, როდესაც ემოციებმა იმძლავრა. ჩვენ არ შეგვიმჩნევია ანაბრების ლარიდან აშშ დოლარში გადაყვანა, რაც საზოგადოების ნდობაზე მეტყველებს ლარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

– სავიზო რეგულაციების შემოღება სწორი ნაბიჯი იყო? მიწის ნაკვეთების შეძენაზე მორატორიუმის გამოცხადება თუ იყო გამართლებული? რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ ინვესტიციების მოსაზიდად და ექსპორტის გასაზრდელად?

– საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრების აკრძალვამ, ისევე როგორც გამკაცრებული სავიზო რეჟიმის დანერგვით გამოწვეულმა სირთულეებმა, საქართველოსადმი ინტერესი დაუკარგა ზოგიერთ უცხოელ ინვესტორს და ქვეყნის სტუმარს. ამის ეფექტი მნიშვნელოვანი არ ყოფილა, ის განაპირობებს გზავნილებსა და აღქმას, რამდენად მიესალმება ქვეყანა უცხოურ ბიზნესს ან ტურისტებს, ისევე როგორც რეალობას.

„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელოს კომერციული ბანკების მდგომარეობის ზედმიწევნითი მონიტორინგი. ჩვენი მოლოდინით საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხი გაუარესდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღია წერილი ლევან ყიფიანს

მირიან ბოქოლიშვილი

სპორტის სამინისტროში რამდენიმე დღის წინ ანონიმური წერილი შევიდა, რომლის საფუძველზეც მინისტრმა ლევან ყიფიანმა გამოსცა ბრძანება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს არჩევნების შეჩერების შესახებ. „პრაიმტაიმს“ უნივერსიტეტის პროფესორები დაუკავშირდნენ და ლევან ყიფიანის სახელზე ღია წერილის გამოქვეყნება გვთხოვეს. პროფესორ-მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მინისტრი შეგნებულად იქნა შეცდომაში შეყვანილი. ღია წერილს ხელს 38 პროფესორ- მასწავლებელი აწერს.

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ცნობილი გახდა თქვენი 06.03.2015 წლის #01/250 ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტის შინაარსი. საჩივრის სახით წარმოდგენილმა ანონიმურმა წერილმა უაღრესად აღაშფოთა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი და განსაკუთრებით აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებად დარეგისტრირებული პირები (წერილი ანონიმურია იმიტომ, რომ გვარები მიწერილია ერთი კალიგრაფიით და ხელმოწერა აქვს მხოლოდ ერთ პირს) მოცემული ცილისმწამებლური „ნაშრომი“ შეიცავს მთელ რიგ უზუსტობას, ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ღირსების შემლახველ მომენტებს. მიგვაჩნია, რომ თქვენ მიზნობრივად ხართ შეყვანილი შეცდომაში და თქვენ მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც შეჩერებულ იქნა კანონის სრული დაცვით დანიშნული აკადემიური საბჭოს არჩევნები, მოემსახურა უსამართლობას. თქვენი ბრძანება ეწინააღმდეგება ავტონომიური დაწესებულების ინტერესებს, აფერხებს მის თანმიმდევრულ, ჰარმონიულ მუშაობას და განვითარებას. არ არის გამორიცხული სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გვერდის ავლით გავარკვიოთ სიმართლე სამართლებრივი გზით.

როგორც წერილის ავტორები აღნიშნავენ, მათ დაკარგეს საკუთარი კანდიდატურის აკადემიურ საბჭოში „წარდგენის მოტივაცია იმის გამო, რომ კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობდა აკადემიურ პერსონალზე ზეწოლით, შესაბამისი „რჩევების“ მიცემის ფონზე“....., რაც აბსოლუტური აბსურდია. ბუნებაში არ არსებობს არც ერთი მსგავსი ფაქტი. ან როგორ შეიძლება არსებობდეს, როდესაც მათ არ ჰქონიათ არანაირი მცდელობა საბუთების შემოტანისა და საერთოდ უნივერსიტეტში არ გამოჩენილან 2015 წლის 9 თებერვლის შემდეგ, როდესაც ჩატარდა საფაკულტეტო საბჭოს არჩევნები, სადაც მათ სრული ფიასკო განიცადეს (დ. თელიამ და პ. კასრაძემ 2-2 ხმა მიიღეს, ხოლო მ. ჩხარტიშვილმა -1), ალბათ, ამან განაპირობა საკუთარი კანდიდატურის აკადემიურ საბჭოში „წარდგენის მოტივაციის დაკარგვა“. წერილის ავტორები იქვე უთითებენ, რომ „არჩევნები ჩატარდა არასამართლიანად და დარღვევებით“, სრულ უმეცრებასთან გვაქვს საქმე. როგორ შეიძლება 13 მარტს დაგეგმილი არჩევნები ჩაატარო არასამართლიანად და დარღვევებით 6 მარტს? თქვენ ეს წერილი, ალბათ, არ წაგიკითხავთ ბატონო ლევან, მაგრამ თუ წაიკითხეთ, ძალიან გვაინტერესებს, რატომ არ დაეჭვდით ამ წერილის სიმართლეში და რატომ დაუჭირეთ მხარი ისეთ თავხედურ და უნივერსიტეტის მთელი აკადემიური პერსონალისთვის ისეთ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, როგორიცაა „მიგვაჩნია, რომ ასეთი შემადგენლობის აკადემიური საბჭო ვერ შესძლებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უნივერსიტეტის სათანადოდ ფუნქციონირების და განვითარების უზრუნველყოფას“; ან ღირსების შემლახველ კიდევ ერთ ნიმუშს - „აკადემიური საბჭოს რეგისტრირებულ კანდიდატთა უმრავლესობა არ შეესაბამება ამ ორგანოსადმი წაყენებულ მოთხოვნებს“. - რატომ? რით ადასტურებენ ამას? კონკრეტულად ვინ ჰყავთ მხედველობაში? ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ პირიქით, მეტად ღირსეულმა და გამოცდილმა ადამიანებმა შემოიტანეს განცხადებები, რომელთა შორის ხუთი პროფესორია და ოთხი ასოცირებული პროფესორი. კანდიდატთა პირადი საქმეები სრულად აკმაყოფილებს ყველა დონის მოთხოვნებს.

ბატონო მინისტრო, ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ პირადი მეგობრობა, ნეპოტიზმის წახნაგები, წარსულის მოგონებები ან კიდევ სხვა განყენებული ფაქტორები გახდა თქვენი #01/250 ბრძანების საფუძველი და არ გვინდა აზრობრივად წინააღმდეგობრივი და შინაარსობრივად გაუმართავი, სიცრუისა და უმეცრების ეს ნიმუში გახდეს კარგად დაწყებული საქმის წარმატებით გაგრძელების შემაფერხებელი ფაქტორი.

„ბატონო მინისტრო, არ გვინდა ვიფიქროთ, რომ პირადი მეგობრობა, ნეპოტიზმის წახნაგები, წარსულის მოგონებები ან კიდევ სხვა განყენებული ფაქტორები გახდა თქვენი ბრძანების საფუძველი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯულიანა ბარგნარი

my View

ნინო მჭედლიშვილი

„როცა ვთვლი, რომ არ უნდა ვილაპარაკო, არ ვილაპარაკებ. თუ უნდათ, თქვან, რომ მე ლაპარაკი არ ვიცი. თუნდაც გოიმი დამიძახონ. არ მიყვარს, როდესაც ადამიანი რაღაცას ხელოვნურად აკეთებს“

„ბოლო დროს მივხვდი, რომ ადამიანები არ იცვლებიან“

დღეს ცნობილი მოცეკვავეა, თუმცა იყო საშიშროება, რომ ის დედის საკეისრო კვეთას შეეწირებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ნაბოლარა შვილი დედას ჯანმრთელი გაუჩნდა.

ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ ჯულიანა ბარგნარი პროფესიით სტომატოლოგია. ცეკვა მის ცხოვრებაში დის დაჟინებული თხოვნით შემოვიდა, დის, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის. ამ თემაზე ჯულიანას ჯერ არსად ულაპარაკია. მაშ ასე, ჯულიანა ბარგნარი ექსკლუზიურად პირადით დღეს „პრაიმ ტაიმის“ სტუმარია.

- ჯულიანა, იმ ასაკიდან დავიწყოთ, როცა პირველად სარკის წინ აღმოაჩინე, რომ გოგო ხარ და უნდა გაიპრანჭო...

- ძალიან გვიან დავიწყე გაპრანჭვა, 18-19 წლიდან. არ ვიცი რატომ. სპორტული გოგო ვიყავი ყოველთვის. ხელოვნურად მეჩვენებოდა სხვები რომ იპრანჭებოდნენ. ბიჭებთან ვმეგობრობდი, მომწონდა მათთან ურთიერთობა, ყურადღების ცენტრში ყოფნა. მაგრამ ბიჭური არ ვიყავი. ბავშვები დედის ქუსლიან ფეხსაცმელებს რომ იცვამენ, ჩუმად მაკიაჟს იკეთებენ, ეს არ მჭირდებოდა. 9 წლიდან ვცეკვავ და ისედაც ქუსლზე დგომა მიწევდა. მაკიაჟიც არ იყო უცხო და საინტერესო ჩემთვის, რადგან სცენისთვის ისედაც ვიკეთებდი „მეიქაფს“.

- გახსოვს, პირველი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რაც მშობლების ჩუმად მიიღე?

- საერთოდ, ჩემს გადაწყვეტილებებში არასდროს ერეოდნენ მშობლები, არც მაშინ, როცა პატარა ვიყავი. უბრალოდ, მაძლევდნენ რჩევას. მე ვითვალისწინებდი ან არ ვითვალისწინებდი. ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები ჩემი ოჯახის წევრები არიან. შესაბამისად, ვცდილობ გული არ ვატკინო. გოგოები რომ ამბობენ, ძმა არ მაძლევს უფლებას მოკლე შორტი ჩავიცვაო, ეს მომენტი არასდროს მქონია. მაქსიმუმ, რაც ჩემს ძმას შეეძლო ჩემთვის ეთქვა, ეს იყო რჩევა.

- დიდი ძმა გყავს?

- 13 წლით დიდია. ჩემი და 15 წლით უფროსი იყო ჩემზე. მე ნაბოლარა ვარ... დედა აზერბაიჯანში ცხოვრობდა. მამა ჩავიდა იქ თავის მეგობრებთან და გაიცნო დედა. მაშინ დედა 18 წლის იყო, მამა 25-ის. პირველი ირინა ეყოლათ, ორი წლის მერე ჩემი ძმა - ვოვა. 13 წლის შემდეგ გავჩნდი მე. ჩემი დაბადება საერთოდ არ ყოფილა დაგეგმილი. დედას ძალიან ეშინოდა თურმე ფეხმძიმობის. გული აწუხებდა და ყველას გაუკვირდა გაჩენა რომ გადაწყვიტა. ოჯახის მეგობარი ექიმი არ ურჩევდა დედას ბავშვის გაჩენას, მაგრამ თავისი გაუტანია, დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა გამეჩინეო, მითხრა. დაგეგმეს საკეისრო. მამა მიყვებოდა, ოპერაციის დროს ექიმი გამოვიდა საოპერაციოდან და მითხრა, ან დედა გადარჩება, ან შვილი, არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთო. მამას ცოლი აურჩევია, ორი შვილი მყავს, დედას ვერ მოვუკლავო, უთქვამს ექიმისთვის. ეს რომ მიამბო, გავბრაზდი, როგორ გამწირე-მეთქი. საბედნიეროდ, ორივე გადავრჩით.

- დედა მკერავია, მამა მცირე მეწარმე, შენ როგორ მოხვდი ამ სფეროში?

- დეიდაჩემს უნდოდა მეცეკვა, სულ ეუბნებოდა ჩემს მშობლებს, ცეკვაზე შეიყვანეთო. თავიდან სკოლაში დავდიოდი ჰიპ-ჰოპზე. მერე სამეჯლისო კონკურსზე მიგვიპატიჟეს. ჩემმა დამ წამიყვანა და ეს ცეკვები ძალიან მომეწონა.

- შენი დაც ცეკვავს?

- არა, ჩემი და გარდაცვილია.

- მაპატიე, არ ვიცოდი. რატომ, ასე ადრეულ ასაკში?

- ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს... სიმსივნე ჰქონდა. სამი წელია უკვე აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ სულ ექიმებთან დადიოდა, გვიან გავიგეთ ამ დაავადების შესახებ. მას, რა თქმა უნდა, არ ვეუბნებოდით. ამ საშინელი ამბის გაგებიდან 2 თვეში გარდაიცვალა. ახლა რომ ვიხსენებ იმ ორ თვეს, ბუნდოვნად მახსოვს ყველაფერი. ისე მალე მოხდა, გააზრებაც ვერ მოვასწარი, რა ხდებოდა ჩვენს თავს. მაშინ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონზე ვცეკვავდი. პროექტი დავტოვე და შემდეგ კვირას ჩემი და გარდაიცვალა... ბევრი რამ ჩემს ცხოვრებაში ჩემს დას უკავშირდება. ჯულიანაც ჩემი დის სურვილით დამარქვეს. ასურელი მომღერალი, ჯულიანა ჯილდო ყოფილა ჩამოსული საქართველოში და ჩემი და და ძმა ყოფილან კონცერტზე. ისე მოსწონებია ჩემს დას, რომ მოსულა დედასთვის უთქვამს, თუ გოგო დაიბადება, ჯულიანა დაარქვიო.

- აქამდე, არც ერთ ინტერვიუში შენი დის შესახებ არაფერი გითქვამს.

- არ მიყვარს ისეთ თემებზე ლაპარაკი, რაც გულს მტკენს, ძალიან პირადულია.

- გულჩათხრობილი ხარ?

- შეიძლება ითქვას.

- რას მეტყვი შენი ხასიათის სხვა თვისებებზე, რა მოგწონს შენს ხასიათში და რა - არა?

- მიზანდასახული და ძლიერი ვარ, ეს მომწონს.

- როგორია შენი თვალთახედვით ძლიერი ქალი?

- დამოუკიდებელი. რაც არ უნდა მოხდეს, რა პრობლემაც არ უნდა შეექმნას, თავის პრინციპებს არ უნდა გადააბიჯოს. როცა რაიმე პრობლემა მაქვს, ვცდილობ, ჩემში მოვაგვარო, ჩემს თავში ვეძებო მიზეზი. საკუთარი თავის შეცვლა შემიძლია, სხვების შეცვლა ძალიან რთულია.

- გიცდია?

- მიცდია, მაგრამ უშედეგოდ. ეს დიდი ხნის წინ იყო. ბოლო დროს მივხვდი, რომ ადამიანები არ იცვლებიან.

- ვის შეცვლას ცდილობდი დიდი ხნის წინ?

- არა, კონკრეტულად არავის, ზოგადად ვამბობდი, შეიძლება ეს მეგობარი იყოს, უბრალო ნაცნობი, ოჯახის წევრი თუნდაც...

- უარყოფით თვისებებზე რას მეტყვი?

- მოულოდნელად შეიძლება მოვიწყინო, ცუდი ხასიათის დამალვა არ შემიძლია. შემიძლია ეს ხასიათი გარშემომყოფებზე გადავიტანო, ზოგჯერ ესენი ჩემი ოჯახის წევრები არიან, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ კავშირი ჩემს ცუდ ხასიათთან და არ იმსახურებენ ჩემგან წყენას.

- როგორც ვიცი, არც ისე შეძლებული ოჯახიდან ხარ, გქონია ისეთი პერიოდი ცხოვრებაში, როცა სხვის ნივთზე თვალი დაგრჩენია, თუნდაც სათამაშოზე?

- დედა სხვანაირად მზრდიდა. არასდროს ვაკეთებდით აქცენტს ფულზე. სრულიად პატარა ნივთით შეიძლებოდა ბედნიერი ვყოფილიყავი. სხვა პრინციპები, სხვა ღირებულებები გვქონდა. ბავშვს არ სჭირდება ძვირადღირებული სათამაშო, პატარას სჭირდება სითბო და სიყვარული. ეს კი ყოველთვის იყო ჩემს ოჯახში. ამიტომ არ შემიძლია ვთქვა, რომ რამე მაკლდა ბავშვობაში. 20-21 წლის ასაკიდან მეც დავიწყე მუშაობა.

- გულჩვილი ხარ? რაზე შეიძლება იტირო?

- კი. არ ვიცი, ყველაფერზე, ფილმის სევდიან ფინალზე. ამას წინათ, გადასასვლელზე მანქანამ დაარტყა ძაღლს და მოვკვდი ტირილით.

- ბოლოს როდის და რაზე იტირე?

- გუშინ ტაქსში. რაღაცები გამახსენდა და წამომივიდა ცრემლები. სხვების დასანახად ტირილი არ მიყვარს, მაგრამ მარტო რომ ვრჩები ხშირად ვტირი. მერე კარგად ვარ ხოლმე, ასე ვთქვათ, ვმკურნალობ (იცინის).

- „ცეკვავენ ვარსკვლავებმა“ რა შეცვალა შენში?

- კომუნიკაბელური გავხდი.

„თვალები უნდა მომეწონოს, ეს გადამწყვეტია. უნდა მომეწონოს როგორ მიყურებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სიყვარული გულისტკენის გარეშე არ არსებობს, მით უმეტეს, როცა შორდები. ახლა კარგად ვარ“

EXCLUSIVE

„ოპერაციის დროს ექიმი გამოვიდა და მითხრა, ან დედა გადარჩება, ან შვილი, არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთო“

უფრო მორიდებული ვიყავი მანამდე. უაზროდ მეჩვენებოდა თუნდაც ინტერვიუ, ერთი და იგივე კითხვები. როცა ვთვლი, რომ არ უნდა ვილაპარაკო, არ ვილაპარაკებ. თუ უნდათ, თქვან, რომ მე ლაპარაკი არ ვიცი. თუნდაც გოიმი დამიძახონ. არ მიყვარს, როდესაც ადამიანი რაღაცას ხელოვნურად აკეთებს.

- ხშირად შენ და სალომე ჭაჭუას ერთმანეთს გადარებენ, გამოკითხვებიც კი ვნახე სოციალურ ქსელში, რომელი უფრო კარგი მოცეკვავეა. ეს ხომ არ გაკომპლექსებს?

- არა. ეს ხალხის აზრია და არანაირი უფლება არ მაქვს მათ აზრის გამოთქმა ავუკრძალო. ორივე კარგად ვცეკვავთ. ვიღაცას სალომე მოსწონს, ვიღაცას მე მოვწონვარ. უბრალოდ, ზოგიერთი შეფასების არასწორ ფორმას ირჩევს, როცა ერთი მოსწონს, მეორეს ლანძღავს. ამას ვერ ვიგებ, მაგრამ არც მწყინს ასეთი ადამიანებისგან. უბრალოდ, პატივს არ ვცემ მათ. თუ პიროვნულად არ მიცნობ, არ იცი რას წარმოვადგენ და მხოლოდ იმით მაფასებ ფეხი როგორ ავწიე და დავტრიალდი, მე კი არ ვარ შეურაცხყოფილი, ამით საკუთარ თავს აყენებ შეურაცხყოფას.

- „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ, ალბათ, თაყვანისმცემლების რიცხვმა მოიმატა. აბეზარ თაყვანისმცემლებს როგორ იშორებ?

- არ მყავს ასეთები, მართლა არ მყავს. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ დრო ცოტა მაქვს. ვერ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ კომპიუტერთან ვიჯდე და ყველა წერილს ვუპასუხო. ამიტომ მათაც არ აქვთ იმის საშუალება, რომ თავი მომაბეზრონ.

- როგორი ბიჭები მოგწონს?

- ძლიერი, საინტერესო, შემდგარი, იუმორის გრძნობით.

- გარეგნობა?

- თვალები უნდა მომეწონოს, ეს გადამწყვეტია. უნდა მომეწონოს როგორ მიყურებს.

- პირველად როდის შეგიყვარდა?

- თუ ამას სიყვარული ჰქვია, 1-2 კლასში. ბავშვობაში ბევრი ბიჭი მომწონდა ერთდროულად. მაგრამ მერე, როცა უკვე სიყვარულში მიტყდებოდნენ, აღარ მომწონდა (იცინის). სერიოზული სიყვარული 15 წლის ასაკში მქონდა. 2 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მერე დავშორდით, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

- მან გატკინა გული თუ შენ?

- მატკინეს, მატკინეს... მერე კიდევ შემიყვარდა და... ბოლოს ცოტა ხნის წინ მიყვარდა.

- ახლა სად არიან?

- რა ვიცი, დაბოდიალობენ სადღაც (იცინის).

- ჯულიანა, შენი და გიორგი ყიფშიძის რომანზე მინდა გკითხო, გიორგიმ ერთ-ერთ ინტერვიუში არ უარყო თქვენი ფლირტის ამბავი...

- მართლა? მე არასდროს არაფერს ვამბობდი ამის შესახებ და არც ახლა ვაპირებ რაიმეს თქმას.

- სწორედ იმ პერიოდში, როცა შენ და გიორგი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ პარტნიორები იყავით, გიორგის ურთიერთობა გაუფუჭდა ცოლთან. გიორგის მეუღლე, ანა მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად...

- არაფრის თქმა არ მინდა.

- ახლა ანა და გიორგი ერთად არიან.

- რა კარგია.

- და მაინც, ის რაც იყო თქვენს შორის, იყო კარგი თუ ახლა ცუდად გახსენდება?

- ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში იყო, ყოველთვის კარგად მახსენდება. ცუდი ისედაც ბევრია გარშემო. არ შემიძლია გულში ტკივილი დავაგროვო. მირჩევნია ცუდი უბრალოდ ამოვშალო და მხოლოდ კარგი დავტოვო. კარგი ყოველთვის მთავრდება. ამას უნდა შევეგუოთ და ახალ ეტაპს დაველოდოთ.

- არის ახალი ეტაპი შენს ცხოვრებაში სიყვარულის მხრივ?

- არა.

- ე.ი. შენი გული თავისუფალია?

- არ ვიცი. უბრალოდ, ახლა მაქვს პერიოდი, როცა ამაზე არ ვფიქრობ. ახლა შეყვარებული არ ვარ, არც არავინ მომწონს. აღარ მინდა არანაირი სასიყვარულო ურთიერთობა.

- დაგღალა, გული გატკინა?

- სიყვარული გულისტკენის გარეშე არ არსებობს, მით უმეტეს, როცა შორდები. ახლა კარგად ვარ. ბედნიერი ვარ ჩემი საქმით.

- დღეს რითი ხარ დაკავებული?

- „თელაში“ ვარ ერთ-ერთი პედაგოგი. ახლახან ქავთარაძეზე გავხსენინთ „თელას“ ფილიალი მე და ოთო ფოლადაშვილმა და იქაც გვყავს ძალიან კარგი ბავშვები, მოყვარულებიც. ამას გარდა, მე და ოთო საერთაშორისო კონკურსისთვის ვემზადებით, რომელიც 22 მარტს გაიმართება თურქეთში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა ჩარკვიანის ცხოვრ

my View
ნინო მჭედლიშვილი

„უდარდელი მაშინ ვიყავი, როცა ვერ ვხვდებოდი მამაჩემი რატომ ყიდულობდა ას გრამ კარაქს, ას გრამ ძეხვს და ას გრამ ყველს“

„მას მერე ცრემლი ბევრჯერ მომდგომია თვალზე, მაგრამ სხვის დასანახად - აღარ“

„აგვისტოში 60 წლის გავხდები, დიდი ბიჭი ვარ უკვე“, მითხრა მამუკა ჩარკვიანმა ინტერვიუს ბოლოს.

მიუხედავად იმისა, რომ 80-მდე სიმღერის ავტორია, საკუთარ თავს კომპოზიტორს დღესაც არ უწოდებს. მისი სიმღერების უმეტესობა ჰიტია. მამუკას თინეიჯერებიც უსმენენ.

პირველ ცოლთან განქორწინებამ და ზედმეტმა თავისუფლებამ მის ცხოვრებაზე ცუდი გავლენა მოახდინა. ეს იყო 14-წლიანი გამოუფხიზლებლობის პერიოდი. ამ პერიოდზე მამუკა ჩვენს ინტერვიუში გულახდილად ყვება. დღეს ეტლით უწევს გადაადგილება, ფეხზე ოპერაცია გაიკეთა. თუმცა ექიმები მის წამოდგომას რამდენიმე დღეში ვარაუდობენ.

დარდიანი და უდარდელი ბავშვობა

- უდარდელი წლები არ არსებობს. დარდი და სევდა თანამდევია ადამიანისა, ცხოვრების ყველა ეტაპზე. თუ ვილაც უდარდელია, ის სულელია. იმას სევდაც არ აქვს.

- მაგრამ ბავშვობაში ხომ ნაკლებად აცნობიერებ იმ პრობლემებს, რაც შენ გარშემოა...

- რა თქმა უნდა. უდარდელი მაშინ ვიყავი, როცა ვერ ვხვდებოდი მამაჩემი რატომ ყიდულობდა ას გრამ კარაქს, ას გრამ ძეხვს და ას გრამ ყველს. ერთხელ ვუთხარი, მამა, ყოველ მეორე დღეს მაღაზიაში მიდიხარ, ერთხელ იყიდე ნახევარი კილო და აღარ მოგიწევს მაღაზიაში წასვლა-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ფული არ ჰქონდა. „დილის“ რედაქტორი იყო მაშინ. როცა ნიგნები გამოსცა და ფეხზე დადგა ჯანსაღი, მაშინ მივხვდი, რატომ მოჰქონდა ასი გრამი ყველი სახლში ყოველ მეორე დღეს. ამ ფიქრებმა სულ დაშალა ჩემი უდარდელი წლები.

- მშობლები ცდილობდნენ, თქვენთვის, შვილებისთვის არ დაენახვებინათ გაჭირვება?

- ცდილობდნენ, მაგრამ მე მახსოვს ბულიონი, რომელსაც დედა ხარშავდა, ნახარშში ეყარა ქათმის ფეხები და ერთი ნაჭერი ქათმის ღვიძლი. მაშინ არც ვიცოდი, რომ ქათმის ეს ნაწილები იაფად, ცალკე იყიდებოდა. ხორცი ფუფუნება იყო. ვფიქრობდი, ეს ასე უნდა ყოფილიყო, უკეთესი რომ ჰქონოდათ, იმას მაჭმევდნენ და გემრიელად გეახლებოდით ამ წყალწყალა ბულიონს მეც და ჩემი დაც.

ქუჩის აკადემია

- ცელქი ვიყავი, მაგრამ დამჯერი. არავითარ შემთხვევაში მომთხოვნი. ვეგზავნებოდი მშობლებს მაღაზიაში პურზე, ყველაფერზე, რაც საჭირო იყო. არ მეთაკილებოდა. ეს ჩემ მოვალეობად მიმაჩნდა. ეზოში კი ვცელქობდი, მაგრამ ისე გამოვძვრებოდი ხოლმე სიტუაციიდან, რომ მამაჩემი ვერაფერს იგებდა. დღესაც არ იცის, რამდენჯერ დამაკავეს, რამდენჯერ ვიჩხუბე.

- რაზე გაკავებდნენ?

- რაზე უნდა დავეჭირე. ვიდექით ბირჟაზე, მოვიდოდნენ და გვჩხრეკდნენ. დღესაც ასე აკეთებენ და სნორს შვრებიან, იმხელა დანები უდევთ ბიჭებს ჯიბეში... ხან ჯანოს ხათრით მიშვებდნენ, ხან თვითონ ვახერხებდი თავის გამართლებას. არც იმხელა დანაშაული მქონდა, ციხემდე რომ მისულიყო საქმე. ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს, არავისთვის წამირთმევია.

- რა მოგცათ ქუჩამ, გამოცდილების თვალსაზრისით?

- კაცობა მასწავლა, კაცად ჩამომაყალიბა. ერთხელ, მეზობელს ვეჩხუბე. ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო ის ბიჭი, ბურთი წამართვა და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, მცემა. მოვედი სახლში ტირილით, ვუამბე მამაჩემს ყველაფერი. სახლიდან გამომაგდო. სანამ ტირილს არ მორჩები და იმ ბიჭს საკადრის პასუხს არ გასცემ, კარს არ გაგიღებო, მითხრა. წავედი და სადარბაზოსთან ჩავუსაფრდი. ხელში ქვა მიჭირავს. დავინახე თუ არა დავუძახე, მოდი აქ-მეთქი. წამოვიდა ჩემსკენ და გავუქანე ქვა თავში. გაუტყდა თავი. ამოვედი სახლში და მამაჩემს ვუთხარი, აბა, გადაიხედე აივნიდან, თავი დავუტეხე-მეთქი. მისმა დედამ ისე დაგვწყევლა, სამ დღეში მე გამიტყდა თავი. ბურთი გამომქონდა სარდაფიდან და რკინას ავარტყი თავი. იმას არ ვამბობ, რომ კარგად მოვიქეცი, მაგრამ ეს მამაჩემმა გამაკეთებინა, მეორედ ცრემლი არ დაინახოს შენს თვალზე ვინმემო, მითხრა. მას მერე ცრემლი ბევრჯერ მომდგომია თვალზე, მაგრამ სხვის დასანახად - აღარ. ამას ერქვა ქუჩური გაგება.

- მამას უსწავლებია, ქუჩას კი აბრალებთ.

- მამამ ბევრი რამ მასწავლა. თავიდან მეგონა, რომ ჯანსაღი პოეტი იყო, მერე - კარგი პოეტი, მერე - უფრო კარგი პოეტი. ახლა ვთვლი, რომ მამაჩემი გურუა.

- განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ მშობლებისგან?

- მახსენდება, ოღონდ არ ვიცი როგორ ვთქვა (ეღიმება). იმას არ აჰყვე, დაილუპები, ძალიან შორს წაგიყვანსო, მითხრა. იმას არ ავყევი, მაგრამ სმას ავყევი. დალაგებული იყო ყველაფერი, ხალხს სასმელ-საჭმელი ჰქონდა და მექეიფებოდა. ქეიფმა დამღუპა.

- დედაზე რას მეტყვით?

- ძალიან მაგარი ქალია დედაჩემი. აქამდე მეგონა, რომ მამაჩემი იყო მაგარი, თურმე დედაჩემი ყოფილა ის ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება მართავდა ოჯახს ისე, როგორც მას სურდა. ასეც უნდა ყოფილიყო. ჭკვიანი ქალია დედაჩემი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, ირმა ჩხეიძე. მამაჩემს ცოლად რომ მოუყვანია, დედამისისთვის დაუძახია, დედა, ცოლი მოვიყვანეო. ხომ არ გაგიჟებულხარო, უკითხავს დედამისს. მართლა მოვიყვანე, აგერ მყავსო, რა გვარის ქალიაო, ჩხეიძეო, ამოიყვანეო, უთქვამს დედამისს.

- გვარებთან მიმართებაში გართულება თქვენც გაქვთ?

- არა, თუმცა მსიამოვნებს რომ მყავს ყიფიანი, ჩხეიძე, აფაქიძე, ჩიჩუა.

მოკლეკაბიანი მუსიკის მასწავლებელი

- მუსიკას რომ „დავეჯახე“ მაგრად არ მინდოდა. ვეჯღანებოდი მასწავლებელს, რომ გაკვეთილიდან გამოვეგდე. ვერ ვხვდებოდი რად მინდოდა სოლფეჯიო, სექსტაკორდები, კვარტსექსტაკორდები. სკოლამივე იყო მეშვიდე მუსიკალური სასწავლებელი. ია მასწავლებელი მყავდა. ძალიან ლამაზი ქალი იყო. რამდენი წლის იქნებოდა მაშინ არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ დამამახსოვრდა. მოკლე კაბები მაშინაც მოდაში იყო. სულ მოკლე კაბა ეცვა და რომ ჯდებოდა უფრო ზევით იწეოდა კაბა. მოადუნე ხელიო, მეტყოდა და მარჯვენა ხელს მუხლზე მადებინებდა, მარცხენა ხელით მაკვრევინებდა. ვკვდებოდი ამაზე. მერვე კლასში ვიყავი დაკვრა რომ დავიწყე. ჩემით ვისწავლე გიტარაც და ფორტეპიანოც. შეიძლება კარგად არცერთზე არ ვუკრავ, მაგრამ მე ხომ გიტარისტი არ ვარ. მე არც პიანისტი ვარ. რაც მჭირდება იმდენს ვუკრავ.

- როდის მიხვდით, რომ კომპოზიტორი იყავით?

- მაგ სიტყვას ყოველთვის გავურბივარ. ყოველთვის ვამბობ, რომ მე სიმღერების ავტორი ვარ და არა კომპოზიტორი. კომპოზიტორი არის ბიძინა კვერნაძე, ჯანსაღ კახიძე. 80 სიმღერის ავტორი ვარ, აქედან ბევრი ჰიტია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მე დიდი კომპოზიცია არ დამიწერია.

- ვინ არის თქვენი ყველაზე დიდი კრიტიკოსი?

- ჩემი ცოლი, მამა, დედა, შვილი... მეუბნებიან, სულ სხვა სტილი შემოიტანე ესტრადაზეო, შენი სიმღერები არავისას არ ჰგავსო. ეს მხოლოდ მახარებს.

- პროფესია როგორ აირჩიეთ?

- სარეჟისოროზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ იმ წელს თბილისში არ იყო მიღება ამ ფაკულტეტზე. ავად ვიყავი და მოსკოვში არ გამიშვეს. სადმე ხომ უნდა ჩამებარებინა, ხომ უნდა მესწავლა. ფილოლოგიურზე ჩავაბარე. მაშინ მაინტერესებდა ძველი ქართული ლიტერატურა, უახლესი ლიტერატურა. სტუდენტობის პერიოდში წერილებს ვწერდი ქართველ მწერლებზე.

სასიყვარულო გამოცდილება...

- 19 წლის ასაკში დავქორწინდი. 5 წელი ვიცხოვრეთ ერთად. მე ეზო მინდოდა, ბიჭები მინდოდა. მას მეოჯახე ქმარი უნდოდა, მზრუნველი მამა. ვიჩხუბეთ. წაიყვანა დედამისმა და აღარ მოაბრუნა. ამასობაში დრო გავიდა. ლამაზ ქალს ყურადღებას აქცევენ სხვებიც. მერე ჭორებს იგებ, გარკვევაც აღარ გინდა, მექანიკურად ეუბნები, ჩემთან შერიგება თუ გინდოდა, იქ რა გინდოდაო?

- ეჭვიანი ხართ?

- ყველა კაცი ეჭვიანია, არ უნდა მისცე საბაბი. ცოლს არ დავდევ, არ ვამოწმებ სად დადის, მაგრამ თუ მოვიდა მთვრალი ღამის 2 საათზე, ვიეჭვიანებ, რა თქმა უნდა.

- და თუ თავად მოხვალთ ღამის 2 საათზე მთვრალი, მან არ უნდა იეჭვიანოს არა?

- ყოველდღე მეც არ უნდა მოვიდე მთვრალი, მაგრამ კვირაში ერთხელ შეიძლება იქეიფოს კაცმა ბიჭებთან ერთად.

- საკუთარ ბრალეულობას ხედავთ პირველი ოჯახის დანგრევაში?

- ვხედავ, მაგრამ საინტერესოა, ის თუ ხედავს, რომ მისი ბრალიც იყო. ეგ აღარ მიკითხავს. საკითხავად დრო აღარ იყო, ქვეყანა ჩაერია და აირია მონასტერი. გავიდა დრო. დრო ყველ-

„აივნიდან აივანზე მომიწია გადახტომა. ქმარი მოვიდა სახლში“

„იმ ავადსახსენებელი დროის მერე, რომ გამოვედი სიმღერით, სიტყვით, ჩემს ხალხს მოვუყევი ყველაფერი. საზოგადოებამ მაპატია, მიმიღო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეგზისეული გამოცდილება

„ლამაზ ქალს ყურადღებას სხვებიც აქცევენ. მერე ჭორებს იგებ, გარკვევაც აღარ გინდა, მექანიკურად ეუბნები, ჩემთან შერიგება თუ გინდოდა, იქ რა გინდოდაო?“

„აქამდე მეგონა, რომ მამაჩემი იყო მაგარი, თურმე დედაჩემი ყოფილა ის ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება მართავდა ოჯახს ისე, როგორც მას სურდა“

EXCLUSIVE

„ერთხელაც ლოგინიდან ველარ ავდექი, ძალიან დაღლილი ვიყავი“

აფრის მკურნალიაო ვითომ. მიდიხარ და გხვდება სხვა, ერთი, მეორე, მესამე, მეათე. მერე აღმოჩნდება, რომ ნახევარი თბილისი შეგხვდა უკვე, ნახევარი თბილისი შენს სახლშია ნამყოფი, ნახევარ თბილისთან შენ ხარ ნამყოფი შენი გიტარით ხელში. უძღვნი სიმღერებს... 14 წლის მერე მივხვდი, რომ დავიღალე. ჩემი მეგობარია დედა ელისაბედი. მაშინ არ იყო დედაო. ეზოში ვართ და ვხედავ რომ მეორე სართულიდან იყურება ლამაზი, გარუჯული გოგო. ეს ვინ არის-მეთქი, ვკითხე ელისაბედს. შენი მეზობელია, ირმა ჰქვიაო, მიპასუხა. გადავედი მანქანიდან და ავძახე აივანზე, უკაცრავად, ყავაზე დამპატიჟებ-მეთქი? დაიბნა, როდისო, მკითხა. ახლა-მეთქი, ვუთხარი. მობრძანდითო. ავედით, ყავა დავლიეთ. ძალიან მომეწონა თქვენთან, თუ შეიძლება, კიდევ მოვალ-მეთქი, წასვლის წინ დავიბარე. მეზობელს უარს როგორ მეტყოდა. დაგირეკავ-მეთქი, შევპირდი. არ დამირეკავს. კორპუსის კუთხეში შემხვდა, დავაბზრიალე, რაღაცები ვუთხარი, კიდევ დავპირდი დაგირეკავ-მეთქი და წამოვედი. დავტოვე გაშტერებული. ისევ არ დამირეკავს. ყვავილებით დავხვდი ერთხელ ქუჩაში და ასე დავახვიე თავბრუ. ბოლოს დავურეკე, ავედი, წავუკითხე ესენინი, ბლოკი, „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“. ცოლად რომ მოვიყვანე, მეკითხებოდნენ ჟურნალისტები, ის მაინც არ გაგიგიათ, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო. აბა, გლდანში და ვარკეთილში ვიარო ქალისთვის, აგერ თუ მყავს-მეთქი, ვპასუხობდი.



- ყველაზე რთული პერიოდი ცხოვრებაში სწორედ მეორე ცოლთან გამოიარეთ. გიფიქრიათ იმაზე, როგორ აიტანა ამდენი?

- თუ ვერ გამიძლებდა, წავიდოდა, ქალის მეტი რა არის? არ წავიდა და დარჩა ბოლომდე. კი არის გაჭედილი ჩარკვიანებში (იღიმება). თავის მოვალეობას ხუთიანზე ასრულებს.

- და ამდენი რომ ანერვიულეთ...

- სიმღერა ხომ დავუწერე (იცინის). რა ვქნა, რით გამოვისყიდო ჩემი დანაშაული, რა გავაკეთო, 24-წლიანი თანაცხოვრების მერე სიმღერა დავუწერე.

„ერთი შემხედე, რა ახლოსა ვარ, რა ახლოსა ვარ, ერთი შემხედე.
ხელში მიჭირავს ატმის რტოსავით მზე, რომლის სევდა მე ვერ ვიშვილე.
მე დაღლილი მზე მიჭირავს ხელში, ჩემს მეტი კაცი ვერ შეეხება.
შემოდგომის მზე ტირის და კივის და სიყვარული გულში იღვრება“.

ძმაკაცი მამა

- ერთი ბიჭი გყავთ ირმასთან?

- საერთო კი. ირმას ჩემი ქალიშვილის ტოლი გოგონა ჰყავს. ჯაკო 18 წლის არის.

- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილს? როგორ ურთიერთობას ამჯობინებთ მასთან?

- ერთ ეპიზოდს გიამბობთ და დასკვნა თავად გამოიტანეთ. ოღონდ, სწორად უნდა გაიგოთ თქვენც და მკითხველმაც რასაც ახლა ვიტყვი. ჩემს შვილს არ მოერიდა, მოსულიყო ჩემთან ღამის სამ საათზე და ეთქვა, დღეს რაღაც სალაპარაკო მაქვს ერთ ბიჭთან და გამომყევიო. გავყევი. იმ ბიჭმა ჰკითხა, ეს ვინ არისო. ჩემი ძმაა, მამაჩემია, ყველაფერია ჩემთვის, ამისი ნუ გერიდებაო, უთხრა. გამიხარდა. საუბარს არც დავსწრებივარ, მანქანაში ვიჯექი. ასე რომ, მთავარი შვილთან მეგობრობაა. უნდა იმეგობრო, რომ გენდოს, ყველაფერი გაგანდოს, მოგიყვეს, გაგიზიაროს.

საყვარლის აივნიდან აივანზე

- ის ავადსახსენებელი პერიოდი როდის დაიწყო თქვენს ცხოვრებაში?

- პირველ ცოლს რომ გავშორდი მაშინ. დამრჩა ბინა, რომელსაც არ ვკეტავდი. მთელი თბილისი ჩემს სახლში იყრიდა თავს. ის თოთხმეტწლიანი პერიოდი იყო ჩემი ტკივილი. მერე დავიღალე. ერთხელაც ლოგინიდან ველარ ავდექი, ძალიან დაღლილი ვიყავი. ირმას (მეორე ცოლს) ვიცნობდი უკვე. დილის შვიდ საათზე მივადექი და ზარი დავრეკე. რა გჭირსო, მკითხა. მეძინება და შეიძლება დავიძინო-მეთქი, ვკითხე. დაიძინეო, მითხრა. დავწექი და დავიძინე.

- მარტო ცხოვრობდა მაშინ ირმა?

- შვილთან ერთად. წყნეთიდან ვიყავი ჩამოსული, ღამენათევი, მოვუყევი ისტორია, რაც წყნეთში შემემთხვა და დავრჩი.

- რა შეგემთხვათ?

- იმ ისტორიას ვერ მოვყვები. აივნიდან აივანზე მომინია გადახტომა. ქმარი მოვიდა სახლში.

- მამუკა, უკან რომ დაბრუნებულიყავით, თქვენი ცხოვრების რომელ ეპიზოდს ამოიღებდით?

- არ ვიცი. ერთი ეპიზოდი რომ ამოვიღო, ყველაფერი დაინგრევა, ყველა ეპიზოდი ერთმანეთზეა მიბმული, ჩამოინგრევა ცხოვრება. არაფერსაც არ ამოვიღებდი. იმ ავადსახსენებელი დროის მერე, რომ გამოვედი სიმღერით, სიტყვით, ჩემს ხალხს მოვუყევი ყველაფერი. საზოგადოებამ მაპატია, მიმიღო. თვითონ მოვყევი და არ გავხადე სალაპარაკო. ხალხს გულწრფელობა მოსწონს. მე ხალხთან ერთად ვცხოვრობ, ძალიან მიყვარს ხალხი და მათაც ვუყვარვარ, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. რომ მეკითხებიან, რამდენ სიმღერს იმღერებ კონცერტზეო, ვბრაზდები. მე ბოლომდე ვმღერი, იქამდე, სანამ არ დავეცემი. ვინც წინასწარ იცის, რამდენ სიმღერას იმღერებს კონცერტზე, ის კრეტინი მგონია. ვისაც უნდა იმას ეწყინოს. შენ ხომ ხალხისთვის მღერი. თუ ხედავ, რომ მათ შენი მოსმენა კიდევ უნდათ, როგორ უნდა უთხრა, დამთავრდა კონცერტიო?!

P.S. 7 მარტს „ასა ჰოლში“ მამუკა ჩარკვიანის სოლო კონცერტი ანშლაგით ჩატარდა და მამუკამ ყველასთვის უკვე ნაცნობ და საყვარელ სიმღერებთან ერთად რამდენიმე ახალი სიმღერაც შეასრულა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის, რაც დღემდე არ იცოდით

EXCLUSIVE

„აუცილებლად უნდა დააფიქსირო რისთვის ხარ მადლობელი. თუ ამას დილა-საღამოს დაწერთ ბევრად უკეთესია“

დეა თავბერიძე

„გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, მე სავსებით დარწმუნებული ვარ ამაში“, - მეუბნება წარმატების ექსპერტი თამარ საგინაშვილი, სწორედ ამ მიდგომამ გამოიყვანა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა. „ხერხემლის გაუსაძლისი ტკივილის გამო კვირეების განმავლობაში ჩაწოლილი ვიყავი. გვერდზე ვერ ვბრუნდებოდი და საკუთარი ხელით წყალსაც ვერ ვსვამდი“, - იხსენებს დღეს ის „პრაიმტაიმთან“.

ხერხემლის ტკივილი, „განუკურნებელი“ დისკოზი და სხვა უამრავი მწვავე დიაგნოზი წარსულში დარჩა... წლების წინ საკუთარი „უიღბლობით“ სასოწარკვეთამდე მისული ქალის საპირისპირო რეალობა ამგვარია - „მე სრულიად შევცვალე ჩემი ცხოვრება და შევქმენი ჩემი წარმატება“.

ეს ყოველივე მან მოგვიანებით თავისსავე წიგნში „სამასმეერთე მილიონერი“ აღწერა. დღეს კი „პრაიმტაიმის“ საშუალებით, სწორედ იმ კანონებს გააცნობს მკითხველს, რომლის მეშვეობითაც ცხოვრება შეცვალა.

ეს კანონები თითოეულ თქვენთაგანს საკუთარი თავის პოვნასა და იმ შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში დაეხმარება, რომელიც თქვენშია და რომლის მიგნებაშიც ჯერ კიდევ რაღაც გიშლით ხელს.

თამარ საგინაშვილი:

- ყველაზე დიდი შესაძლებლობები კრიზისის დროს იქმნება... ჩემთვის კრიზისი ჩემი ჯანმრთელობის გაუარესება იყო, რომელიც მედიცინის დასკვნით გამოუვალი მდგომარეობა გახლდათ... რაღაც მომენტში მივიღე გადაწყვეტილება და ვთქვი, რომ ასე უბრალოდ ველარ გაგრძელდებოდა. ასე ვერ ვიცოცხლებდი. მივიღე თუ არა ეს გადაწყვეტილება მაშინვე მოვიდა შესაბამისი ინფორმაციაც. ერთ-ერთი ნორბეკოვის ტრეინინგზე სიარული იყო. აქედან დაიწყო ცვლილებები ჩემს ცხოვრებაში. როდესაც გადავხედე ჩემს პრობლემებს, რომელიც ოდესმე მქონია, აღმოჩნდა, რომ ყველამ მომცა ძალიან დიდი შესაძლებლობა, ყოველი სტრესის მერე დაიწყო აღმავლობა, ეს იყო ჯანმრთელობის და ურთიერთობის გამოსწორება, საკუთარი თავის მიღება, აბსოლუტური მიმღებლობა სამყაროსი და ჩემი დამოკიდებულება, რომ თუ რამე არ ხდება, ასეა საჭირო და იმიტომ არ ხდება, და ვიცი თუ ეს არ მოხდა, რამე უკეთესი მოხდება.

ყველაზე მთავარი და ყველაზე მარტივი რეცეპტი წარმატების მოსაპოვებლად

100 %-იანი პასუხისმგებლობა

ჩვენ გვჭირდება მხოლოდ და მხოლოდ 100 %-იანი პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, რაც არის ყველა წარმატებული ადამიანის უპირველესი თვისება. თუ რამე არ გამოდის, ჩვენში უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი.

როდესაც ადამიანს რაიმე იდეა მოუვა მას მოსდის შესაბამისი ენერგია, რომ ეს იდეა განახორციელოს. უბრალოდ, უნდა ადგეს და გააკეთოს. არ იცის საით წავიდეს? რაღაც აუცილებლად უნდა გააკეთოს, ინფორმაცია მოიძიოს, ნაბიჯები გადადგას, მეგობრებში გაავრცელოს თავისი იდეა, საიდანღაც აუცილებლად მოვა პასუხი.

ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჩვენ თვითონ ვიზიდავთ აბსოლუტურად ყველაფერს.

დავსვათ სწორი კითხვები

მისაბაძი ადამიანები არიან ჩვენი მასწავლებლები და უნდა ავიღოთ მათგან წარმატებისა თუ ბედნიერების მოდელი. ჩვენი მასწავლებლები არიან ის ადამიანებიც, რომლებიც წინააღმდეგობას გვიმქნიან და რაღაცით გვაღიზიანებენ, ისინი ზუსტ გაკვეთილებს გვასწავლიან.

ამიტომ, თუ რამე არ გამოგვდის კითხვა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავუსვათ - რა მიშლის ხელს ამის მიღწევაში, გამოუვალი და გაუკეთებელი სამყაროში არაფერია.

შინაგანი წინაღმდეგობა ეს არის ბლოკები, რომლებიც უბრალოდ ხელს გვიშლიან, ამა თუ იმ სურვილის განხორციელებაში.

მოვუსმინოთ და უბრალოდ დავუსვათ საკუთარ თავს კითხვები - რა მოხდება თუ მე ამას გავაკეთებ, რა მიშლის ხელს? რა ნაბიჯები შეიძლება გადავდგა, რომ ეს გავაკეთო, ვინ შეიძლება ამაში დამეხმაროს? თუ მოდის შინაგანი წინააღმდეგობა, მაშინ უნდა ჩავუღრმავდეთ და შევცვალოთ საწინააღმდეგო შეხედულებებით. შეიძლება ეს ზოგისთვის ადვილი იყოს, ზოგისთვის რთული, მაგრამ ამისთვის არსებობს ინტერნეტი, რომელიც სავსეა უამრავი სავარჯიშოებით, ვებინარებით, ტრეინინგებით, არის ცოცხალი ტრეინინგები საქართველოში.

თუ ადამიანს უნდა და სწორად დასვამს კითხვას, რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ ეს საკითხი მოვაგვარო, ის აუცილებლად იპოვის გზას და აუცილებლად მოვა ინფორმაცია, მაგრამ თუ ის სვამს კითხვას ასე რატომ მიშლის ყველა ხელს? რატომ ვცხოვრობ ამ უბედურ ქვეყანაში, რატომ ვცხოვრობ მაინცდა მაინც ასეთ ცუდ დროს? და ასე შემდეგ... ან თუ ის აბრალებს სხვას, - მთავრობა ხელს არ გვიწყობს, მშობლებმა ფული არ დამიტოვეს, ბიძაჩემმა სამსახური არ მიშოვა, მეზობელმა დამთარსა... თუ ასე არ აბრალებს ყველაფერს სხვას, სვამს კითხვებს, პოულობს პასუხებს და იღებს გადაწყვეტილებებს, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის გზას აუცილებლად იპოვის და ეს გზა იქნება მისი წარმარტების ერთ-ერთი ნაბიჯი. მერე როგორ განავითარებს ეს უკვე სხვა საკითხია.

როდესაც მე ავიღე პასუხისმგებლობა ჩემს თავზე და ვთქვი, რომ მე ასე ველარ ვიცხოვრებ, არ მაქვს არავის იმედი, მე თვითონ უნდა გავუმკლავდე ჩემს პრობლემას და მივხედო ჩემს თავს. გავაკეთე.

გამოვჯანმრთელდი, შევცვალე ჩემი ცხოვრება. ვიპოვე საყვარელი საქმე, ვისწავლე ძალიან ბევრი და დღემდე ვსწავლობ, დღესაც ორსამ ტრეინინგს ერთდროულად გავდივარ. შევიძინე ახალი საქმიანობა, დავიწყე ბიზნესი, ჯერ წიგნი გამოვეცი, მერე დავიწყე ტრეინინგების ჩატარება, ინდივიდუალური მუშაობა და ასე შემდეგ. ახლა მაქვს უამრავი გეგმა, ეს ყველაფერი მოიტანა ერთმა გადაწყვეტილებამ, რომ მე ვარ პასუხისმგებელი საკუთარ თავზე.

მადლიერება

შემდეგი საფეხური არის მადლიერება ყველასა და ყველაფრის მიმართ რაც კი არსებობს დედამიწაზე. უფალმა, ფაქტობრივად, შეგვიქმნა სამოთხე დედამიწის სახით, აქ არის ყველა პირობა იმისთვის, რომ ადამიანებმა იცხოვრონ ნორმალურად, ჰარმონიულად, ყველასთვის ყველაფერი არის სამყოფი, კონკურენტიც კი იმისთვის არის, რომ მოდუნების საშუალება არ მოგცეს და უფრო უკეთესი გააკეთო.

მადლიერება იმის გამო, რომ დედამიწაზე ვცხოვრობთ, ჩვენმა სულმა აირჩია, რომ აქ მოვსულიყავით. მადლიერება იმის გამო, რომ მან აირჩია ის მშობლები, რომლებიც გვყავს.

მადლიერება იმის გამო, რომ ყოველი მომენტი ჩვენი ცხოვრებისა არის ჩვენთვის იდეალური და ყველაზე შესაფერისი გაკვეთილის მომცემი.

ჩემი წარსული არის ჩემი საჩუქარი, რადგან სწორედ ჩემმა წარსულმა შემქმნა ისეთი, როგორიც დღეს ვარ, ამას როდესაც მივიღებთ, მაშინ ის პროგრამები, რომლებიც ჩვენ ბავშვობიდან მოგვდევს და რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ძალას დაკარგავს.

თუ მე დღეს ჩემს თავს ვიღებ ისეთს, როგორიც ვარ, მაშინ ვიღებ ყველას და ვარ მადლობელი. როცა მადლობელნი ვართ, შესაძლებლობებიც ძალიან ადვილად გვეძლევა, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ მაშინ, როდესაც ვართ უმადურები და მაშინ, როდესაც ვაბრალებთ ყველაფერს სხვებს და ვერც მაშინ, როდესაც ვართ საკუთრი თავით უკმაყოფილონი.

აუცილებლად უნდა დააფიქსირო რისთვის ხარ მადლობელი. თუ ამას დილა-საღამოს დაწერთ, ბევრად უკეთესია. რადგან რისთვისაც ჩვენ მადლობას არ ვიხდით, იმას ვკარგავთ. მადლიერება ათბობს ადამიანს შიგნიდან, ალღობს ყინულს და იმ დალექილ შრეებს, რაც ნეგატივის გამო დაგვიგროვდა. მადლიერებას და სიყვარულს შეუძლია მხოლოდ ამ ყინულის გალღობა. მადლიერებასა და სიკეთეს როდესაც გაუშვებ სამყაროში, ის აუცილებლად დაგიბრუნდება.

სიტყვები არის კოდი, ყველა სიტყვაში არის ჩადებული ძალიან სერიოზული ვიბრაციები. სიმშვიდეს, მადლიერებას და სიყვარულს აქვს ძალიან მაღალი ვიბრაციები.

ავტორი: შემდეგ ნომერში თქვენ გაეცნობით თუ როგორ ხდება სურვილების სწორად ფორმულირება და გაშვება სამყაროში, რა დატვირთვა აქვს ვიზუალიზაციასა და აფერმაციას, რა გავლენას ახდენს მშობლების „აკრძალვები“ თითოეულის მომავალზე და როგორ ხდება ოცნებების ახდენა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ხვალ რომ მითხრას პატრიარქმა, რომ ჩემი გადაცემა არის უზნეო და ერის დამღუპველი, ამ გადაცემის წაყვანას შევწყვეტ“

„დაგასახიჩრებ, აგკუნავ“ - მუქარა გია ჯაჯანიძის პირადი მიმოწერიდან

„დღეს საქართველოში მაყურებელს არ აინტერესებს სხვისი პრობლემა, მას აინტერესებს ლანძღოს და ტალახში ათრიოს ადამიანი“

დეა თავბერიძე

გია ჯაჯანიძის „სხვა რაკურსმა“ შეიძლება ითქვას, რომ ყველანაირი რეიტინგი მოხსნა. ხმაურიანი გადაცემების შემდეგ ყველგან და ყველა ამ შოუზე ლაპარაკობს. საუბრობენ დაუსრულებლად - სოციალურ ქსელში, ტრანსპორტში, მაღაზიაში, ქუჩაში... და სტუმრებთან ერთად წამყვანსაც განიკითხავენ...

გაღიზიანებულთა ლანძღვა-გინებამ სოციალური ქსელიდან ტელეწამყვანის მობილურში გადაინაცვლა. სიბრაზის ჩასაცხრობად ახლა უკვე პირადად მას უკავშირდებიან. გია ჯაჯანიძე პირად მიმოწერას დღეს „პრაიმტაიმის“ საშუალებით მკითხველს უზიარებს.

გია ჯაჯანიძე:

- ვიღაც ქალი მწერს - ეშაფოტზე ხარ ასაყვანი, ხორცები უნდა ჩამოგათალოთო, დაგასისხლიანებ, ძვლებში დაგამტვრევო, ზოგი შოუში ატომური ბომბის ჩაგდებით მემუქრება - შენ გარყვენი ერი და დაღუპე საქართველოო, ძალიან ბევრი მუქარაა.

ყველა ჩემ წინააღმდეგ არის, ძალიან დიდი აგრესია წამოვიდა. გეები ჩივიან, რომ მათ დისკრედიტაციას ვეწევი და მათ უფლებებს ვარღვევ, ტრადიციულები მლანძღავენ - რატომ ეწევი ამათ რეკლამირებასო, მორწმუნეები ბრაზობენ თუ რატომ მომყავს ურწმუნოები და ეს საშინელი ხალხი გადაცემაში. ურწმუნოები კი მწერენ, რა უნდათ მღვდლებს სტუდიაშიო.

გავაკეთე მხიარული გადაცემა და რა დროს მხიარულებაა, ვის ეცინება. ვიღუპებით საით მივდივართო. გავაკეთე ტრაგიკული, ისედაც ტირილსა და გოდებაში ვართ და რატომ გვატირებო.

მე არ ვარღვევ კანონს, რასაც ირგვლივ ვხედავ, იმას ვაკეთებ და იმას ვაჩვენებ, არავის პროპაგანდას არ ვენევი. ყველაფერს ვეხები ნაწილ-ნაწილ. მინდა მთავრობას ვაჩვენო რაც ხდება საქართველოში, რომ იმუშაოს ერის მენტალობასა და ერის ფსიქოლოგიაზე. ვინ დაადგინა ვინ არ უნდა ილაპარაკოს და ვინ უნდა ილაპარაკოს? საზოგადოებამ უნდა ნახოს ყველა ფენა, როგორ მსჯელობს და როგორ ესმის ქართული მენტალიტეტი.

სირაქლემას პოზაშია დღეს საქართველოს უდიდესი ნაწილი, მაშინ, როცა ამბობენ ჩვენ მართლმადიდებლური ქვეყანა ვართო და ფარისევლები ამ ლოზუნგით გამოდიან, როგორ შეიძლება ქრისტიანულ ქვეყანაში ამხელა რაღაც მოხდეს? გულწრფელად ვამბობ, იმ ხალხს ვისაც აღიზიანებს ჩემი გადაცემა მოვუწოდებ, სხვა არხებს უყურონ.

გაოცებული ვარ იმით, რომ ამ კრიტიკის ფონზე, რეიტინგი იყო ძალიან მაღალი. მიკვირს, საწამლავი თუ არის ეს გადაცემა რატომ იღენებენ ამ საწამლავს? რატომ უყურებენ, როგორც თავად ამბობენ, ამ სიმახინჯეს?

ეს სერიოზული გამოსაკვლევია. ჩემი სუბიექტური აზრი კი ამგვარია - დღეს საქართველოში მძვინვარებს საშინელი ძალადობა, ეს არის ძალადობა ყველანაირი. პირადში მოწერილი მესიჯებით ვამბობ. ძალიან დიდი აგრესიაა. დღეს საზოგადოებას უნდა, რომ ვინმე ობიექტი აირჩიოს და ჯიჯგნოს. კარგშიც ცუდი უნდათ რომ დაინახონ.

ვფიქრობ, ეს ყოველივე არის იმ არარეალიზებულობის ბრალი, რაც ჩვენს ქვეყანაში ბევრს სჭირს. რეალიზაციას ვერ გაუნია თავის ნიჭს, გარეგნობას და აგრესიას ამ კუთხით ავლენს.

„სირაქლემას პოზაშია დღეს საქართველოს უდიდესი ნაწილი“

როცა გავაკეთე გადაცემა საშინელ პრობლემაზე, ნარკომანიაზე, მოვიწვიე საზოგადოების წევრები და განვიხილე მათთან ერთად, - არ ჰქონდა რეიტინგი. არავინ დაინტერესა ამ პრობლემამ.

გავაკეთე გადაცემა ემიგრანტებზე, ადამიანები, რომლებიც საზღვარზე არალეგალურად გადადიან, იღუპებიან, ამხელა პრობლემა წამოვჭერით, არც ამაზე გაამახვილა არავინ ყურადღება, რეიტინგი არ ჰქონდა გადაცემას საერთოდ და რამდენი სერიოზული თემაც დაიდო, იმდენი არ იყო მაყურებელი. ეს რისი მიმანიშნებელია? იმის, რომ საქართველოში მაყურებელს არ აინტერესებს სხვისი პრობლემა, მას აინტერესებს ლანძღოს და ტალახში ათრიოს ადამიანი.

ამ შოუებში კი მარტო მე მერჩიან, დაინახეს, რომ გადაცემა რეიტინგულია, არ გამოვრიცხავ, რომ კონკურენტი არხებიც რაღაც პროვოკაციას აწყობდნენ. რადგან დაუჯერებელი იყო ამ გადაცემის რეიტინგი, იმხელა პოპულარობა მოიპოვა ამ მოკლე დროში.

მე ვამხელ იმ დაფარულ თემებს რის დამალვამაც შეიძლება უარესი საშინელება მოგვიტანოს. თუ ზედაპირზე ამოვა ის თემები რაც ჩვენს ქვეყანაშია, მაშინ, მშველელიც გამოჩნდება, თუ დაფარული იქნება, ეს უფრო საშინელ ხასიათს მიიღებს და ერთიც, თუ შენ შიგნით არა ხარ გარყვნილი, ჯაჯანიძე კი არა, ვერასოდეს ვერავინ გაგრყვნის.

ვიღაცამ პირადში მომწერა პატრიარქს რატომ სტკენ გულს ასეთი გადაცემებითო. ხვალ რომ მითხრას პატრიარქმა, რომ ჩემი გადაცემა არის უზნეო და ერის დამღუპველი, ამ გადაცემის წაყვანას შევწყვეტ.

ჩემს გადაცემას ბევრი უყურებს როგორც გასართობს, ერთობა, ხალისობს ამაზე, არიან ადამიანები რომლებიც ტრაგიკულად აღიქვამენ, მე ვფიქრობ, რომ სხვა რაკურსით არის ტრაგიკული ნაწილი და ტრაგიკული ისტორიები, რაც საქართველოში ხდება.

როცა ტელეფონზე დაგირეკავან გემუქრებიან და როცა საშინელებს გწერენ გადაგამტვრევ და დაგასისხლიანებო... ვხედავ თუ რა დიდ აგრესიას ანთხევენ. მე შიში არა მაქვს, მე მიცავს კანონი და მიცავს ღმერთი... მე მაქვს ღია „ფეისბუქი“, რომელსაც ვაჩვენებ არხის იურისტებს და ყველამ იცის ვინ რას მემუქრება და ვინ რას მწერს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქუთაისის „ტორპედოს“ მხარდაჭერა და საჩუქარი „პრა

ირაკლი კლიმიაშვილი: „სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანი ყველა თამაშის მოგება და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაა, რათა დაბალი საფეხურებიდან რაც შეიძლება მაღლა ავიწიოთ“

europe-bet.com

მაგდა კლდიაშვილი

„პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივმა აქციამ რეგიონები მოიარა. აჭარის შემდეგ შეხვედრა ქუთაისში შედგა, სადაც ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, ირაკლი კლიმიაშვილი და ნიკოლოზ საბანაძე გაიცნეს.

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინნკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე - ეს იმ ფეხბურთელებს სრული ჩამონათვალია, რომლებიც 16 შეხვედრის განმავლობაში ქართველმა გულშემატკივრებმა გაიცნეს.

16 შეხვედრის შემდეგ, თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს ამ აქციის შეფასება, იმ ფეხბურთელების კომენტარების საფუძველზე, რომლებმაც ერთობლივ აქციაში მიიღეს მონაწილეობა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქართულ ფეხბურთს პოპულარიზაცია და ასეთი სახის აქციები სჭირდება, რათა მაყურებელი სტადიონზე დაბრუნდეს.

რაც მნიშვნელოვანია, ახლა უკვე საფეხბურთო კლუბებმა დაიწყეს ამ პროექტის მხარდაჭერა და ამის გამოხატულება იყო ბათუმში, ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელობის სიურპრიზი და საჩუქარი გულშემატკივრებისთვის. შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა და სტაფის სხვა წევრებმა „ევროპაბეთის“ ბათუმის ფილიალში გუნდის შარფები მოიტანეს, ამიტომ, გარდა ბურთებისა, ყველა სტუმარმა მიიღო საჩუქარი.

ბათუმს არც ქუთაისის „ტორპედო“ ჩამორჩა. ქუთათურებმა გუნდის მაისური გამოგვიგზავნეს გასათამაშებლად და იღბლიანს შეხვდა.

სპეციალურ აკვარიუმში მოთავსდა ფურცლები, რომელსაც ბურთის და მაისურის აღმნიშვნელი ნიშანი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ მაისური პირველივე მცდელობაზე გათამაშდა და სტუმარმა ფეხბურთელებმა საკუთარი ავტოგრაფებით დამშვენებული გადასცეს მათი გუნდის ქომაგს.

მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებს, რომლებიც „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ წამოწყებას დადებითად აფასებენ.

„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად, სტუმარი ფეხბურთელებისთვის, სიმბოლური ბილეთები დაამზადა, სადაც მათ ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტები დაასახელეს.

ირაკლი კლიმიაშვილი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც არჩევანი ტურინის „იუვენტუსზე“ შეაჩერა. ფეხბურთელი დიდი ხანია ამ გუნდის ქომაგია.

ირაკლი კლიმიაშვილი:

- მგონია, რომ ტურინის „იუვენტუსი“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას, იმიტომ, რომ სტაბილური თამაშით გამოირჩევა. სჯობს სტაბილურად ითამაშო, ვიდრე კარგად ან ცუდად.

ტურინელებმა პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე, დორტმუნდის „ბორუსიას“ წინააღმდეგ 2:1 მოიგეს, ამ კვირაში გვეცოდინება პასუხი, გააგრძელებენ თუ არა იტალიელები ყველაზე ტიტულოვან საკლუბო ტურნირზე ასპარეზობას.

ნიკოლოზ საბანაძე კი კატალონიის „ბარსელონას“ გამარჯვებაშია დარწმუნებული.

ნიკოლოზ საბანაძე:

- მგონია, რომ ჩემპიონთა ლიგას „ბარსელონა“ მოიგებს. მას ვგულშემატკივრობ და ძალიან მჯერა, რომ წლევანდელ ლიგას სწორედ ჩემი ფავორიტი გუნდი მოიგებს.

რაც შეეხება „ბარსელონას“, კატალონიელებმა ინგლისში, „მანჩესტერ სიტის“ 2:1 მოუგეს და განმეორებითი მატჩის წინ ფავორიტის სტატუსსაც ინარჩუნებენ.

ჩატარებული შეხვედრებიდან, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინნკირვე-

ნიკოლოზ საბანაძე: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში მოვხვდი. ვეცდები, რომ კახა ცხადაძის იმედები გავამართლო“

ნიკოლოზ საბანაძე: „მგონია, რომ ჩემპიონთა ლიგას „ბარსელონა“ მოიგებს. მას ვგულშემატკივრობ და ძალიან მჯერა, რომ წლევანდელ ლიგას სწორედ ჩემი ფავორიტი გუნდი მოიგებს“

ირაკლი კლიმიაშვილი: „მგონია, რომ ტურინის „იუვენტუსი“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას, იმიტომ, რომ სტაბილური თამაშით გამოირჩევა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ПРАЙМТАЙМИСА“ ДА „ЕВРОПАБЕТИС“ ერთობლივ წამოწყებას

„სჯობს სტაბილურად ითამაშო, ვიდრე კარგად ან ცუდად“

„ძალიან სასიამოვნოა მსგავსი ღონისძიებები ჩვენთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც. უფრო ახლო ურთიერთობები ჩნდება ამით“

ლი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე;

ტურინის „იუვენტუსი“ - ირაკლი კლიმიაშვილი;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია;

რაც შეეხება „ჩელსის“, ლონდონელებმა სწორედ წინა კვირას დაასრულეს ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა.

ნიკოლოზ საბანაძეს კახა ცხადაძემ რამდენიმე დღის წინ გერმანიის წინააღმდეგ ეროვნულ ნაკრებში უხმო. ფეხბურთელი ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა გუნდის თავკაცის იმედები გაამართლოს.

ნიკოლოზ საბანაძე:

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში მოვხვდი. ვეცდები, რომ კახა ცხადაძის იმედები გავამართლო.

მცირე პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა ირაკლი კლიმიაშვილიც, რომელმაც ქუთაისურ კლუბს ბედი მინიმუმ, მაისის ბოლომდე დაუკავშირდა. ფეხბურთელი ამბობს, რომ გუნდის მიზანი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ირაკლი კლიმიაშვილი:

- სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანი ყველა თამაშის მოგება და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაა, რათა დაბალი საფეხურებიდან რაც შეიძლება მაღლა ავიწიოთ. ჩემს გეგმებს რაც შეეხება, კონტრაქტი „ტორპედოსთან“ მაისის ბოლომდე მაქვს და შემდეგ ვნახოთ, რა, როგორ იქნება.

რაც შეეხება „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას, ორივე ფეხბურთელი დადებითად აფასებს მას და ამბობს, რომ ეს აუცილებელი და საჭიროა.

ნიკოლოზ საბანაძე:

- ძალიან სასიამოვნოა მსგავსი ღონისძიებები ჩვენთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც. უფრო ახლო ურთიერთობები ჩნდება ამით. რაც ბევრი იქნება ასეთი აქცია საქართველოში, უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს.

ირაკლი კლიმიაშვილი:

- ჩემს პრაქტიკაში ყოფილა ასეთი შემთხვევები. სასიამოვნოა ფეხბურთელებისთვის, რომ საკუთარ გულშემატკივართან ასეთი ახლო კონტაქტი გვაქვს. ამისთვის დიდი მადლობა „ევროპაბეთსა“ და „პრაიმტაიმს“, რომ გვაძლევენ ჩვენ - ფეხბურთელებს ამის საშუალებას. მინდა წარმატებები გისურვოთ.

შეხვედრა რეგიონებში დასრულებულია. „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ ისევ დედაქალაქში ბრუნდება, სადაც სხვა ქართველ ფეხბურთელებს გაიცნობს ქართველი გულშემატკივარი.

„რაც ბევრი იქნება ასეთი აქცია საქართველოში, უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს“



„სასიამოვნოა ფეხბურთელებისთვის, რომ საკუთარ გულშემატკივართან ასეთი ახლო კონტაქტი გვაქვს“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთო

მაგდა კლდიაშვილი

ბათუმის „დინამო“ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მესამე ადგილს იკავებს და ჩემპიონობის რეალური შანსიც აქვს, ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ საკუთარი გულშემატკივრისთვის უფრო ახლოს სწორედ საკუთარი ქალაქის გუნდის ფეხბურთელები გაგვეცნო. ბათუმელ ქომაგთან შესახვედრად გიორგი ქავთარაძე და ანზორ სუხიაშვილი მოვიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპაბეთის“ ბათუმის ფილიალში მრავლად მოვიდნენ საყვარელი გუნდის ქომაგები, რომლებსაც გათამაშებაში მონაწილეობა სურდათ. აქციის დაწყებიდან დღემდე, ტოტალიზატორში შეკრებილი გულშემატკივარი „ევროპაბეთისგან“ საჩუქრად ბურთებს იღებს. გასულ წელს, ბურთებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საჩუქარიც დაემატა ეროვნული ნაკრების მაისურების სახით, ბათუმში კი ადგილობრივი „დინამოს“ ხელძღვანელობისგან ადგილზე შეკრებილმა ყველა გულშემატკივარმა საჩუქარი მიიღო.

ეს, ერთგვარი სიურპრიზი იყო ჩვენთვისაც, რადგან, მხოლოდ სტუმარი ფეხბურთელების მოსვლის შემდეგ გავიგეთ, რომ ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც ჰქონდა საჩუქრები საკუთარი ქომაგისთვის. კლუბის ხელმძღვანელობამ ბათუმის „დინამოს“ შარფები მოიტანა და უსაჩუქროდ ამ დღეს არავინ დარჩენილა. უფრო მეტად იღბლიანებს კი ბურთებიც შეხვდათ, რომელზეც საკუთარი ავტოგრაფები სტუმარმა ფეხბურთელებმა დატოვეს და ისე გააჩუქეს.

„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად, გიორგი ქავთარაძისა და ანზორ სუხიაშვილისთვის სიმბოლური ბილეთები დაამზადა, რომელზეც მათ ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტი დაასახელეს. ორივემ ფსონი კატალონიის „ბარსელონაზე“ დადო და საყვარელი გუნდის გამარჯვება ივარაუდა.

„ძალიან კარგი აქციაა, მივესალმები. ხალხის დაფასებაა ეს, ამიტომ, სასიხარული იყო. გათამაშდა ბურთები, შარფები. კარგი იქნება, თუ გაგრძელდება“

გიორგი ქავთარაძე: „ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, დარწმუნებული ვარ, რომ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“

გიორგი ქავთარაძე:

- ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, დარწმუნებული ვარ, რომ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას.

ანზორ სუხიაშვილი, როგორც აღმოჩნდა, ბავშვობიდან კატალონიური გრანდის გულშემატკივარია, ისიც, თანაგუნდელივით, თავდაჯერებულია და ამბობს, რომ მისი საყვარელი გუნდი გაიმარჯვებს.

ანზორ სუხიაშვილი:

- ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ „ბარსას“ და მგონია, რომ სწორედ ჩემი საყვარელი გუნდი მოიგებს ამ ტურნირს.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეს უკვე მე-15 შეხვედრაა. აქციის განმავლობაში ქართველ გულშემატკივარს შემდეგ ფეხბურთელებთან შეხვედრის საშუალება ჰქონდათ: გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე და ანზორ სუხიაშვილი.

როგორც ფეხბურთელებმა შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნეს, წამოწყება ქართული ფეხბურთისთვის ძალიან საჭირო და დროულია.

გიორგი ქავთარაძე:

- ძალიან კარგი აქციაა, მივესალმები. ხალხის დაფასებაა ეს, ამიტომ, სასიხარული იყო. გათამაშდა ბურთები, შარფები. კარგი იქნება, თუ გაგრძელდება.



ანზორ სუხიაშვილმა წარმატებები უსურვა ტოტალიზატორში შეკრებილ გულშემატკივარს და ბათუმის „დინამოს“ სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

ანზორ სუხიაშვილი:

- ნამდვილად კარგი გათამაშება იყო. წარმატებებს ვუსურვებ აქ შეკრებილ ხალხს და გამარჯვებებს. ხშირად უნდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბლივმა აქციამ რეგიონებში გადაინაცვლა

EXCLUSIVE

პროექტის ფარგლებში შეხვედრა ტოტალიზატორის ბათუმის ფილიალში გაიმართა, სადაც ბათუმელმა გულშემატკივარმა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელები გაიცნო

„ნამდვილად კარგი გათამაშება იყო. წარმატებებს ვუსურვებ აქ შეკრებილ ხალხს და გამარჯვებებს. ხშირად უნდა ჩატარდეს ასეთი აქციები“

ჩატარდეს ასეთი აქციები. რაც შეეხება ბათუმის „დინამოს“, რამდენად შევძლებთ ჩემპიონობას, ამაზე საუბარი ახლა რთულია. ყველაფერი წინაა. კონკრეტული მიზანი გვაქვს დასახული - ევროსაგზურის მოპოვება. თავის დროზე გავიგებთ ყველაფერს, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელებიც. როგორც გუნდის გენერალური დირექტორი, ოთარ ფედიჩკინი აცხადებს, მათი კლუბი ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ წამოწყებებს და სიამოვნებით მიიღეს მასში მონაწილეობას, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია მუდამ ისმოდეს ბათუმის „დინამოს“ სახელი.

ოთარ ფედიჩკინი:

- მინდა, პირველ რიგში, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, თქვენ წამოწყებულ საქმეს, რადგან ეს ძალიან სჭირდება ქართულ ფეხბურთს. კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ბათუმის „დინამოს“ სახელი და



ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება, ვცდილობთ ჩავერთოთ და მონაწილეობა მივიღოთ. დღეს, კიდევ ერთხელ, „დინამოს“ ხელმღვანელობამ ჩვენი გუნდის გულშემატკივარი გაახარა და გუნდის შარფები გადავეცით საჩუქრად. ასეთი აქციები აკლია ქართულ ფეხბურთს და რაც უფრო მეტი იქნება, მით უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს.

შეხვედრით კმაყოფილება ვერ დამალეს ბათუმელმა გულშემატკირებმა, რომლებმაც საყვარელი გუნდის ფეხბურთელები ტაშით დააჯილდოვეს და წარმატებები უსურვეს. ბათუმის „დინამო“ კი ერთ-ერთი რეალური კანდიდატია იმისა, რომ ზაფხულიდან ევროპის მნიშვნელოვან საკლუბო გათამაშებებში შესარჩევი ეტაპიდან ჩაერთოს.

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია;

რაც შეეხება „ჩელსის“, ლონდონელები ოთხშაბათს, ფრანგულ „პსჟ“-სთან ორთაბრძოლაში გამოეთიშნენ ელიტარულ საკლუბო ტურნირს, დანარჩენ გუნდებს კი ჯერ კიდევ რეალური შანსი აქვთ, რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგონ.

შეხვედრა ბათუმში დასრულებულია. შემდეგი გაჩერების ადგილი ქუთაისია, სადაც იმერელი ქომაგი ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს - ირაკლი კლიმიაშვილსა და ნიკოლოზ საბანაძეს შეხვდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ერთი-ერთში“ დანიშნულ საცოლეს

my View
თამარ გონგაძე

„X ფაქტორის“ ჩაწერას ვესწრებოდი. სცენაზე კონკურსანტებს შორის მაღალი, მოდელის პარამეტრების გოგონა გამოვიდა. 18 წლის მარიამ ივარდავამ ჯენის ჯოპლინის სიმღერა შეასრულა. სიმღერის დაწყებამდე, იფიქრებდით, ამან რა უნდა იმღეროს, მოდელივით გამოვიდა და იპრანჭებაო. მაგრამ გააღო თუ არა პირი, ისეთი სპეციფიკური, ხრინწიანი ხმა ამოუშვა, ჟიურის თმა ყალყზე დაუდგა. გოგონას ძლიერი ვოკალით დარბაზის მონუსხვა არ გასჭირვებია. იქვე, პირველ რიგში შენიშნავდით ფეხზე მდგომ მომღერალ გოგა მესხს, რომელიც მომღერალ გოგონას გულშემატკივრობდა. ეტყობოდა, რომ მისიანი იყო. გავიკითხე და მარიამი გოგას საცოლე აღმოჩნდა. „ვერ დავჯექი. საკუთარ კონკურსზე არ მინერვიულია ასე. ჰაერი არ მყოფნიდა, ვერ ვსუნთქავდი, აივანზე გავედი რამდენიმეჯერ. ძალიან ვინერვიულე. ამხელა სცენაზე პირველად იდგა და ვღელავდი. რომ არ მღეროდეს, არ დავთანხმდებოდი მის „X ფაქტორში“ მისვლას. ხელი შეეწყე. განსხვავებული ტემბრი აქვს. ჯენის ჯოპლინს, არეტა ფრანკლინს და ტინა ტერნერს ყველა ვერ მღერის. მარიამს ეს კოზირი აქვს“ , - საცოლით ამაყობს გოგა.

„ვერ დავჯექი. საკუთარ კონკურსზე არ მინერვიულია ასე. ჰაერი არ მყოფნიდა, ვერ ვსუნთქავდი, აივანზე გავედი რამდენიმეჯერ. ძალიან ვინერვიულე“

„რუსთავი 2“-ის მუსიკალური რედაქტორი სოფო ტოროშელიძე და გოგა მესხი წლების წინ პროექტ „ვარსკვლავების აკადემიაში“ ერთად მონაწილეობდნენ. „სოფოს მივაწვდინე ხმა, კასტინგში ჩემი საცოლე მონაწილეობს-მეთქი. იქაც ჯოპლინი იმღერა. სოფომ დამირეკა, მარიამს შენი მოყოლა რად უნდოდა, შენ ვისთან ხარო? :) ჟიურისაც მოეწონა და გადაიყვანეს. „X ფაქტორი“ მისთვის დიდი გამოცდილება იქნება“.



„მუცლის მონაა და აღვილად გამომივიდა, „მაკდონალდსში“ დავპატიჟე. ჩიზბურგერზე გიჟდება. პირველი პაემანიც იქ გვქონდა“

გოგა მეგა შოუს პირველ სეზონზე ბექვოკალში მღეროდა. არ არის გამორიცხული მეორე სეზონზეც ვიხილოთ. „ახლა განსაკუთრებით მესიამოვნება ბექვოკალში სიმღერა.

მესხს სიმაღლით შესაფერისი საცოლე უპოვია, მარიამი მეტრი და 78 სანტიმეტრია, ამით ჟიურიც დაინტერესდა. მარიამი მეთორმეტე სკოლის მოსწავლეა.

ერთმანეთი ორი წლის წინ „იმედში“, პროექტში „ახალი ხმა“ გაიცნეს. მარიამი ამ პროექტიდან იმიტომ არ გვახსოვს, რომ ის კასტინგიდან გაუშვეს. რატომღაც დაიწუნეს.

„დედამ არ იცოდა მარიამს ხელს რომ ვთხოვდი და შოუს რომ უყურებდა, ქალი ჩაკეცილა“

გოგა მესხი:

- ძალიან ლამაზია და რომ გავიცანი სიმპათია მქონდა, მაგრამ ვენები არ გადამიხსნია. ერთხელ რეპეტიციისას „იმედში“ მომახალა, ზედმეტად თავდაჯერებული ტიპი ხარო. და მე მოვიხიბლე. მანამდე გოგონებისგან ფანცქვალს და აქტიურობას მიჩვეული ვიყავი, მათი ყურადღებით გათამამებული გახლდით. მარიამმა ასეთი მიდგომით დამაინტერესა. განსხვავებული და ძლიერი გოგოა და ეს მხიბლავს. მიზანდასახული და მტკიცე ხასიათის არის.

მერე გოგა ექვსი თვით საზღვარგარეთ წავიდა. „ფეისბუქზე“ პირველმა გოგომ მისწერა...

„16 წლის ვარო რომ მითხრა, გავოცდი. 20 წლის მეგონა. დიდი შეხედულება აქვს. მე ათი წლით უფროსი ვარ. ასაკი რომ გავიგე - შემეშალა, ბოდიში-მეთქი :) და ევროპაში წავედი, ხან ფესტივალზე, ხან „პაეზდკაში“. ერთი მესიჯიც არ გამიგზავნია. და პირველმა თვითონ მომწერა, სად დაიკარგეო? ვენეციიდან სკაიპით თბილად მოვიკითხე. გასულ ზაფხულს ჩამოვედი, შევხვდით და მას შემდეგ დღე არ ჩაგვიგდია, ერთმანეთი არ გვენახოს. ერთხელ გამომიტყდა, შენთან სერიოზული ურთიერთობის დაწყებას არც ვაპირებდი, მექალთანე მეგონეო.

- სწორი წარმოდგენა ჰქონდა?

- ვიყავი. მექალთანე, რა, ცუდია? ძალიან მექალთანე მეგონე და მინდოდა შენთვის ჭკუა მესწავლებინაო, გამომიცხადა. ცივი იყო თავიდან. ასე დაიწყო ურთიერთობა. ხო მაგარია? ჰოდა, ახლა სახლშია :) მარიამმა რადიკალურად შემცვალა. გვერდით აღარ გამიხედავს. მარტო ვიზუალურად არა, საერთოდ სხვა ტიპია. კარგი გაზრდილი შვილია. ერუდირებულია და სხვანაირად აზროვნებს. გამიმართლა.

„ზედმეტად თავდაჯერებული ტიპი ხარო, მომახალა. და მე მოვიხიბლე. მანამდე გოგონებისგან ფანცქვალს და აქტიურობას მიჩვეული ვიყავი, მათი ყურადღებით გათამამებული გახლდით“

მარიამ ივარდავა:

- გოგა ისე იქცეოდა, მე მასზე ასეთი შთაბეჭდილება მქონდა შექმნილი. მეგონა თავში ჰქონდა ავარდნილი და მექალთანე იყო. როდესაც გავიცანი აბსოლურად საწინააღმდეგო ადამიანი აღმოჩნდა. თბილი და არაჩვეულებრივი ადამიანია.

- გოგა, როგორ „დაკერე“ ასეთი გოგო შესახვედრად?

- მუცლის მონაა და ადვილად გამომივიდა, „მაკდონალდსში“ დავპატიჟე. ჩიზბურგერზე გიჟდება. პირველი პაემანიც იქ გვქონდა. მე ნაყინის გარდა არ ვიკვებები ამ პროდუქტით.

- და რა შეცვალა პირველმა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგა მესხი „X ფაქტორში“ ამღერებს

„მარიამმა რადიკალურად შეიცვალა. გვერდით ალარ გამიხედავს“

შეხვედრამ?

- ჩემკენ მობრუნდა. ნახა, რომ ცანცარა და გამვლელი არ ვიყავი. მე ვიპოვე ისეთი ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება მინდოდა, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო. ორი კვირით საზღვრგარეთ გამგზავრება მომიხდა. მარიამის დედამ მომწერა, ნამტირალევი გამოვიდაო. რა გატირებს, პირდაპირი რეისით ჩამოვალ-მეთქი, ვამშვიდებდი. მე და ჩემი სასიდედრო ძმაკაცები ვართ. მარიამს მაგარი მშობლები ჰყავს. წასული რომ ვიყავი, მარიამის დაბადების დღე დაემთხვა და ყვავილების გამოგზავნა ევროპიდან მომიხდა. მხატვარ მეგობარს, ნინო ნაკვეთაურს მარიამის სელფისგან პორტრეტი შევასრულებინე. ორიგინალური გამოვიდა. რომ ჩამოვედი და ეს პორტრეტი თვითონ მივუტანე ცოტა ხანი ხმა ვერ ამოიღო.

- მარიამ, როდის მიხვდი, რომ გოგა გიყვარდა?

- ჩემ დაბადების დღეს საქართველოში არ იყო და მივხვდი, რომ რთულად იყო საქმე.

- როგორი შეყვარებულები ხართ?

გოგა: გვიკამათია, მისგან წამოვსულვარ და უცებ მწერს - მოდიო და მეც უკან ვბრუნდები.

- რითი შეგცვალა?

- ჩემი „შავბნელი“ წარსულის მქონე გვერდზე აღარ ვიყურები. მაჩო გოგა მესხი შეიცვალა. გოგონებო, ვინც წუხდებით და ისევ მწერთ, შეგიძლიათ შემეშვათ. მე ვაიგნორებ ყველას, ღმერთმა ჩემზე უკეთესი გაპოვნინოთ. მე თავი დამანებეთ.

- აეჭვიანებ?

- დაბალი დოზით. ეჭვიანობა მუღამიც არის. სიყვარულს ახლავს. სასიამოვნოდ მეც წავიეჭვიანებ ხოლმე.

- ამასობაში შენ პროექტ „ერთი-ერთში“ მიიღე მონაწილეობა. და მარიამს ხელი სთხოვე. როდის და როგორ დაგეგმე?

- ჩემს მეგობრებთან - გიორგი ცხვარიაშვილთან, ლერი და გუგა რობაქიძეებთან ერთად ვიჯექი. ლერის იდეა მოუვიდა - მაგარი და ლამაზი ჟესტი იქნება ხელი რომ სთხოვო პირდაპირ ეთერშიო. შობაზე ლამაზ დღეს როდის სთხოვ ხელსო, ამტეხეს. ბიძამ და ბიძაშვილმა დამირეკეს, რა ზომის ბეჭედი ვიყიდოთო? მე ნეკზე რომ ჩამომეტევა-მეთქი, „შევუკვეთე“. რა ვიცით ნეკზე რა გეტევაო, მითხრეს. სცენაზე ბეჭდის კოლოფი არ გავხსენი, რომ არ მორგებოდა, შევრცხვებოდი. სხვათა შორის, მოერგო. კაცებისთვის ეს ჟესტი დიდად არაფერია. აჩუქე ყვავილები და ხელის სთხოვე, მერე რაა. გოგოსთვის ამაღელვებელია, ვიცი. მაგრამ იმდენად მაგარი გამოვიდა, ჩემი მეგობარი ბიჭებიც ნერვიულობდნენ.

„ერთხელ გამომიტყდა, შენთან სერიოზული ურთიერთობის დაწყებას არც ვაპირებდი, მექალთანე მეგონეო. მინდოდა შენთვის ჭკუა მესწავლებინაო, გამომიცხადა. ცივი იყო თავიდან. ასე დაიწყო ურთიერთობა. ხო მაგარია?“

- მარიამმა არ იცოდა?

- მეგრელია, რაღაცებს მიხვდა. წინ დაჯექი, რა გაცვია-მეთქი, დავკითხე. ეს იმიტომ გამოვკითხე, რომ მეთქვა ვიღაცებისთვის ეს გოგოა და იქ დასვით-მეთქი. მაინცდამაინც კოკერის „My Fathers Son“ მქონდა იმ დღეს შესასრულებელი. მამა აფხაზეთის ომს შეეწირა (1993 წლის 27 სექტემბრის მერე არავის უნახავს), ამიტომ სიმღერაც სხვა დატვირთვით შევასრულე. მთლიანად ემოციური დღე იყო. გული და სული ჩავდე. დედამ არ იცოდა მარიამს ხელს რომ ვთხოვდი და შოუს რომ უყურებდა, ქალი ჩაკეცილა.

მარიამი: „ნამიოკებით“ მივხვდი, რომ რაღაცას აწყობდა. მაგრამ მაინც დიდი ემოცია დამეუფლა. დარბაზი ფეხზე იდგა. ბედნიერი ვიყავი. ამ სიყვარულმა გამზარდა. ბევრი მასწავლა და ხასიათი გამომისწორა.

გოგა: ნიშნობის გაკეთება ნათესავების გასაცნობად თავიდან მოგვიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ულამაზესი საცოლე მყავს და პატარძლობა მოუხდება, ქორწილი არ გვექნება. რომ ჩამოვწერეთ 500 კაცი შეგროვდა! გიო ცხვარიაშვილი მეუბნებოდა, თუ გინდა ბილეთებს გავყიდი შენი კონცერტი - ქორწილისთვისო. მაპატიე, ცხვარო, ვერ მოგართვი. ამიტომ მოკიდე ხელი და წადი ევროპაში. პრაღა მიყვარს, საკუთარი ორი თითივით ვიცი, რვაჯერ ვიქნები ნამყოფი. მარიამის ნათესავებთან მიუნჰენშიც უნდა ჩავიდეთ, გველოდებიან. მიუნჰენის „ბაიერნს“ ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. მანამდე მარიამი სამედიცინო ინსტიტუტში აბარებს. მე სამედიცინო ფაკულტეტზე ვსწავლობდი და მესამე კურსიდან გამოვიტანე საბუთები და თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობოზე ჩავარე. დედა მღეროდა, მამა მესაყვირე იყო, სულ მოგზაურობდნენ. ჩემი სიმღერაცეკვა არ უნდოდათ, მაგრამ არ გამოვიდა.

- რას ეტყვი მარიამს ჩვენი გაზეთის მეშვეობით?

- სანამ ცოცხალი ვარ მეყვარები!!!

მარიამ ივარდავა: „ამ სიყვარულმა გამზარდა. ბევრი მასწავლა და ხასიათი გამომისწორა“

„მაჩო გოგა მესხი შეიცვალა. გოგონებო, ვინც წუხდებით და ისევ მწერთ, შეგიძლიათ შემეშვათ. მე ვაიგნორებ ყველას, ღმერთმა ჩემზე უკეთესი გაპოვნინოთ. მე თავი დამანებეთ“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N10 (311) ორშაბათი, 16 მარტი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

exclusive

რას ნახავთ „X ფაქტორის“ მეორე სეზონში – ფლირტი, კინკლაობა და ახალი დუელი

„რაც ბევრი იქნება ასეთი აქცია საქართველოში, უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს“

ნუკა კვალიაშვილი მეორე შვილის დედა გახდება - რა ცვლილებები შეიტანა მომღერალმა გარეგნობაში

exclusive

„ერთი-ერთში“ დანიშნულ საცოლეს გოგა მესხი „X ფაქტორში“ ამღერებს

exclusive

ქეთი მატაბელისა და გია გუგუშვილის წინააღმდეგობებით სავსე სიყვარულის ისტორია

„შანსი მომცეს და ამ ქვეყნიდან არ გამიყვანეს, კიდევ მაქვს, ეტყობა, რაღაც გასაკეთებელი“

exclusive

ვინ აღმოაჩინა გოდერძი შარაშია სიმღერის ნიჭი

„ქვეყანაში, სადაც ძალიან ბევრ მშიერ ბავშვს სძინავს, ვერავის ვთხოვ დამიმესიჯეთ-მეთქი“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

მამუკა ჩარკვიანის ცხოვრებისეული გამოცდილება

„უდარდელი ვიყავი მაშინ, როცა ვერ ვხვდებოდი, მამაჩემი რატომ ყიდულობდა ას გრამ კარაქს, ას გრამ ძეხვს და ას გრამ ყველს“

exclusive

ჯულიანა ბარგნარის პირადი ტრაგედია

„ოპერაციის დროს ექიმი გამოვიდა და მითხრა, ან დედა გადარჩება, ან შვილი, არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება